C M Y K

საერთო გაზეთი

№28 (340) ● 23 სექტემბერი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

ფრიდონ თოდუა:

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიცხოვროთ არა ისე, რომ მხოლოდ ჩვენ ვიყოთ კარგად, არამედ სხვებიც, მთლიანად ჩვენი ქვეყანა იყოს ბედნიერი და წარმატებული

სოსო მანჯავიძე:

ერთ საგანგაშო ინფორმაციას მოგანვდით — დღე-დღეზე იგეგმება კომპრომატების გამოქვეყნება „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატზე...

„თუ ჩვენ სახელმწიფო ვართ, წესით და რიგით, ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, სასწრაფოდ უნდა დამიძახოს პროკურატურამ, უშიშროების სამინისტრომ, სადაზვერვო სამსახურებმა, მთავრობამ.

ჰოდა, დამიძახონ და დამკითხონ! — მე მზად ვარ, მივაწოდო ჩემს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია.“

საკაიფო ქვეყანა

saqarTvelos 9 wlis ganmavlobaSi narkomanebi marTavdnen?

რატომ აგინებს ქართველებს თვითმარქვია ეროვნული გმირი ანუ მოსიარულე პოლიტგვამი?

საერთო გაზეთი

საერთო გაზეთი — ვაზეთი ეროვნული ეკითხველისთვის

რედაქტორის გვერდი

ვახტანგ ხარჩილავა

აბსოლუტური სიცრუეა, რომ „ნაციონალები“ პიარის ხელოვნებას ზედმიწევნით კარგად ფლობენ.

ის, რასაც „ნაციონალები“ აკეთებენ, პიარი კი არა უკიდურესი ცინიზმით და უტიფრობით განხორციელებული ძალადობა და ფსიქოლოგიური ზეწოლაა ადამიანებზე.

ტვინების გამაუპატიურებლები — ასეც შეიძლება ეწოდოს ამ პოლიტიკური შეფერილობის სექტას თუ ბანდას, რომელიც მოუშორებელ და მოურჩენელ ჭირად ექცა საქართველოს.

„ნაციონალების“ პიარი გონებაჩლუნგებზე და სულელებზეა გათვლილი.

ყველა ქვეყანას ჰყავს სულელები და მათ შორის ჰყავს საქართველოსაც, მაგრამ იმ-

დენი ნამდვილად არა, რომ მათი ხმები „ნაციონალებს“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის ეყოთ.

სულელებს ნებაყოფლობით თავმოსულელებულნი, მაგალითად, „თავისუფალი დემოკრატები“ და სხვა ე. წ. ოპოზიციური პარტიებიც რომ მივუმატოთ, „ნაციონალები“ მაინც მარცხისთვის არიან განწირულნი.

ასე რომ, სულ ტყუილად ტიკტიკებენ ზამბარებიანი თოჯინებივით დაქოქილი ბაქრაძეები და ბოკერიები, მინაშვილები და თაქთაქიშვილები, საჯაიები და ბოკუჩავები — „ნაციონალები“ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებენ.

უფრო მეტიც, ისინი იმ ხმების ნახევარსაც ვერ მიიღებენ, რაც 2012 წლის არჩევნებში მიიღეს.

სულ ტყუილად ფლანგავთ მილიონებს, სულ ტყუილად ხარჯავთ დროს და ენერგიას, „ნაციონალებო“, — ქართველმა ხალხმა თქვენ უკვე გამოგიტანათ განაჩენი და, რაც არ უნდა მოხდეს, ეს განაჩენი არ შეიცვლება!

სოკრატეს როლში მოვლენილ გიგი უგულავას ვუსმინე ამასწინათ „რუსთავი-2“-ზე და საბოლოოდ დავრწმუნდი — **მიუხედავად იმისა, რომ სოკრატესავით ლაპარაკობს, ეს კაცი სინამდვილეში ბრიყვია** და იცით, რატომ არის ბრიყვი? იმიტომ, რომ სხვები ჰგონია ბრიყვები, მთელი ქვეყანა ჰგონია ბრიყვი.

აი, ეს არის სიბრიყვის პირველი ნიშანი, სიბრიყვის დამადასტურებელი უტყუარი საბუთი.

— წიგნებს ვკითხულობ... კარგია, წიგნების კითხვა... თითოეული ახალი წიგნი ახალი სამყაროს ფანჯრებს გიხსნისო, — მჭევრმტყველებდა უგულავა.

კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ისეთ წიგნებს კითხულობდი, ბატონო უგულავა, სადაც არაფერი წერია იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, როგორ უნდა ექცეოდეს სხვა ადამიანებს, რა ღირებულებებს უნდა ემსახუროს და ა.შ.

სინანულის ერთი სიტყვაც არ დასცდენია უგულავას, თუნდაც ერთი ადამიანისთვისაც კი არ მოუხდია ბოდიში, რომ არაფერი ვთქვათ ხალხზე და ქვეყანაზე, რომლებსაც უგულავამ და მისმა პოლიტძმაკაცებმა, თავიანთი უგუნურებით, სიხარბით, სისასტიკით და დაუნდობლობით უდიდესი მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენეს.

აჰ, არაფერი გაქვთ მოსანანიებელი და არაფერს არ ნანობთ, „ნაციონალებო“?

ჰოდა, ვერ ელირსებით თქვენ ქართველი ხალხისგან შენდობას და პატიებას და აქედან გამომდინარე, ვერც იმ საარჩევნო ხმებს ელირსებით, რომელთა დახმარებითაც კვლავ ხელისუფლებაში მოსვლას და კვლავ იმის გაკეთებას აპირებთ, რასაც ცხრა წლის განმავლობაში აკეთებდით.

არ იზამთ ამას? გამოსწორდით? შეიცვალეთ? გაკეთილშობილდით?

კი მაგრამ, რომ არაფერი გეტყობათ არც ლაპარაკში, არც საქციელში?

ამიტომაც გითხარით, პიარის ბაიბურში არ ხართ თქვენ, „ნაციონალებო“ და არც ადამიანურობისა და არც ადამიანის ბუნებისა გაგებებათ რამე, თორემ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად ადამიანებისთვის თვალში ნაცრის შეყრის ტაქტიკას არ აირჩევდით.

თქვენ გგონიათ, თუ ყოველდღე ტონობით ნაცარს შემოგვაყრით თვალებში, ამით თქვენი რეიტინგი მაღლა აიწევს, ჩვენ კი პირწმინდად დაგვავიწყდება, ვინ იყავით გუშინ, გუშინწინ და კიდევ იმის წინ.

გინდა ერთი მუჭა იყოს, გინდ ერთი ტონა, ნაცარი, მაინც ნაცარია, თქვე დასანაცრებელო ნაცებო...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოთა“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ბავშვის დაბადებას ცხრა თვე სჭირდება, მაგრამ რამდენი თვე და რამდენი წელი სჭირდება ქართული სამართლის დაბადებას?

ე.წ „ნაცელიტის“ მიერ უკანონო პატიმრად სახელდებული, ხოლო „ნაცაქტივის“ მიერ აწ უკვე გმირად შერაცხული გიგი უგულავა, ფაქტობრივად, „ერთი ღამის უფლებით“ დაუბრუნდა ერთგულ მეუღლეს, რადგან ბიძინა ივანიშვილის უგულო მოსამართლემ ცუდად აიქნია ჩაქუჩი და პირდაპირ 4 წელსა და 6 თვეზე დაახეთქა.

შეიძრა „სანაცეთი“, ხან მარჯვნივ გაიჭრნენ, ხან – მარცხნივ; ხან მთაწმინდის აღმართს აასკდნენ, ხან – დაასკდნენ, მაგრამ ვეღარაფერი გააწყვეს.

ადამიანური თვალსაზრისით, ნებისმიერი ადამიანი დასანანია იზოლირებისთვის, მაგრამ რადგან ასეთი სახის დასჯა არსებობს ქვეყანაში, დამნაშავე უნდა დაისაჯოს!

ეს ყველაფერი გასაგებია. ისიც, რომ კონკრეტული პირის, ამ შემთხვევაში **გიგი უგულავას** ცოლები, შვილები, ახლო ნათესავები, ოჯახის წევრები, დაქალ-ძმაკაცები და ა.შ ერთჯერადი საყვარლებით დამთავრებული, ყველანი მოხარულები იქნებოდნენ თუ გიგი ციხის კედლებს სამუდამოდ დატოვებდა. არავინ არის გასამტყუნარი, თუ თავისიანის თავისუფლება სურს და ყოველ ღონეს ხმარობს ამისათვის, მაგრამ შესაბამისი ორგანო რომ შესაბამის ბრალს ვერ წაუყენებს ეჭვმიტანილს 9 თვის მანძილზე და შემდეგ, ასევე შესაბამისი ორგანო რომ ადექვატურ სასჯელს ვერ მიუსჯის, ის ქვეყანა ქვეყანაა და რაიმე სახის წინსვლას უნდა ელოდოს იმ ქვეყანაში მცხოვრები ხალხი სამართლიანობის აღსრულებისა და დამკვიდრების კუთხით?

ბოლოს და ბოლოს, 9 თვე რომ ადამიანის ბრალეულობას ვერ ამტკიცებ, საკუთარი თავის კომპრომატი არ არის?

რატომ უკვირს შემდეგ ვიღაც-ვიღაცებს, როცა ხალხს საფუძვლიანი ეჭვი უჩნდება ამ ყველაფრის შემხედვარეს, რომ ესეც ერთგვარი თამაშია – რამდენიმე კაცი სათაგურში გამომწყდეული წრუწუნასავით უნდა ყოფილიყო, ხალხი რომ მთლად არ გადარეულიყო, გადასარევი კი, ბლომადაა. სისხლის სამართლის დამნაშავეები, სწორედ იმიტომ, რომ სასამართლოს არ ეცნო ოფიციალურად სისხლის სამართლის დამნაშავეებად, ზოგი ვიღაცამ გადაიყვანა თურქეთის საზღვარზე (არადა, ღრმად თავმომკვდარუნებული შესაბამისი ორგანოების გარდა ყველამ იცის ის „ვიღაცა“ ვინ არის და გადაყვანილები ვინ არიან); ზოგი – გაუშვეს; ზოგი – გადამალეს; ზოგი – წინსწრებით გადააფრინეს; ზოგს – ბრალი ვერ უმტკიცდება და არის ერთი დაგნარი – ქვეყანაა თუ ღობემძვრალების დოღი?!

ის პროკურატურა პროკურატურაა რომელიც ღიად მოქმედ დამნაშავე უგულავას ბრალს ვერ უმტკიცებს? ან, ვანო-ხერხემალს და ბაჩო-პუბლიცისტს რომ იმის გამო გამოკეტავს, რაც ბავშვური თამაშობაა იმ დანაშაულებთან შედარებით, რაზეც პასუხი უნდა მოეთხოვოთ? და საერთოდ, ის სასამართლო სასამართლოა, რომელსაც ზეწოლის, ქვეწოლის თუ გვერდწოლის გამო, ზამბარასავით აქვს დაღრეცილი თემიდას სასწორი? საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, ბატონი მერაბ ტურავა იმას უნდა ამბობდეს ღია ეთერით, ზეწოლა ხორციელდებოდა ჩემზე საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან, მათ შორის თავმჯდომარე **გიორგი პაპუაშვილის** სახითო და ამაზე შესაბამისი რეაგირება არ იყოს?

მოკლედ რომ ვთქვათ, კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მაგრამ ზოგიერთები კიდევ უფრო თანასწორები არიან...

მოსამართლის მიერ გატყორცნილ 4 წელსა და 6 თვემდე რა მოხდა, ხომ საინტერესოა, რატომ ხტოდა და ჭყლოპინებდა სიხარულის მარად არაადექვატურად გამომხატველი „ტაბულა ბიცოლა“ ჩვენ მაინც ძლიერები ვყოფილვართო?

საკონსტიტუციო სასამართლომ (მერაბ ტურავას გამოკლებით, რაც კანონის მკაცრი დარღვევაა) გიგი უგულავას საქმეზე სარჩელი „გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. არაკონსტიტუციურად ცნეს გარკვეული მუხლები და ნაწილები, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების, ან ბრალის წაყენების საკმარისი საფუძველის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში გატარებული აქვს 9 თვე. გადაწყვეტილებას ხელი მოაწერეს: **გიორგი პაპუაშვილმა, კონსტანტინე ვარძელაშვილმა, თამაზ ცაბუტაშვილმა, ქეთევან ერემაძემ, მაია კოპალეიშვილმა, ზაზა თავაძემ, ოთარ სიჭინავამ, ლალი ფაფიაშვილმა** – არ მოაწერა **მერაბ ტურავამ**.

ვამბობთ, ხალხი ბრძენიაო, ჰოდა, ეს ბრძენი ხალხი ამბობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური თავმჯდომარე **გიორგი პაპუაშვილი** კი არა, **კოტე ვარძელაშვილია, გიგა ბოკერიას** მეჯვარე და ბავშვობის ძმაკაცი, ერთად გამოიარეს სტუდენტობა, ერთად შეაბიჯეს სოროსის სკოლაში ბუდაპეშტში და რა თქმა უნდა, გიგი გამართლდებოდა;

გიორგი პაპუაშვილი, გიგი უგულავა და **ახვლედიანი** ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან მეგობრობდნენ;

თამაზ ცაბუტაშვილი – ზურაბ ადეიშვილის ძმაკაცად წოდებული მოწაფე, სააკაშვილის ხელისუფლების დროს კახეთის სამხარეო პროკურორი, ადეიშვილის ოჯახის პირადი მოლარე და ზონდერპროკურორია და რა თქმა უნდა, გამართლდებოდა გიგი – ამ „დონეებთან“ დანარჩენები უკვე აღარ ღირს სახსენებლად...

საკითხავი მრავალია, მაგრამ რამდენიმე რომ ვიკითხოთ, ისიც საკმარისია – ბრალდებულმა უგულავამ თუ არ მიითვისა ის, რასაც ედავებოდნენ, აბა, ვინ მიითვისა? რაშიც უგულავა გამართლდა (მასთან ერთად **დავით კეზერაშვილი**), აბა, ვისი ბრალეულობა იკვეთება? რანაირად არის, რომ დანაშაული ჩადენილია და დამნაშავე არ არსებობს?

„თბილსერვისის საქმეზე“ უგულავას 9 წლიანი პატიმრობა შეეფარდა, მაგრამ გარკვეული მუხლების ამინისტირების შემდეგ საპატიმრო ვადა საგრძნობლად შეიკვეცა, დანარჩენებში კი უცოდველი ბატკანივით სუფთა და წმინდა აღმოჩნდა – გადასარევი ამბავია სწორედ! ეს, რასაც ედავებოდნენ და, რასაც რატომღაც არ ედავებიან, იმ საქმეების საქმე ვისი საქმეა, ნეტავ?

თუმცა, ჯერ, მომდავებელი ვინ არის და შემდეგ, რა მნიშვნელობა აქვს მოედავებიან თუ არა, მთელი რიგი უწყებებები მხოლოდ იმაზე მუშაობენ რომ დაიხსნან კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული „ფიცხელა“...

მთელ ამ ამბავში, ანუ სისხლის სამართლის დამნაშავეების უდანაშაულოდ ცნობაში, დიდი ეჭვია, რომ მართლაც თავისუფლად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მონაწილეობენ ის პროკურორები და მოსამართლეები, რომელთაც თავისებად მიიჩნევენ ძებნილებად სიმბოლურად გამოცხადებული, მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი და ა.შ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის სისტემის შემქმნელ-მამოძრავებელ-აღმასრულებლები.

გიორგი ჩხეიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

საკაიფო ქვეყანა

საქართველოს 9 წლის განმავლობაში ნარკომანები მართავდნენ?

ჰიტლერი, თითქმის ყველა გამოსვლაში ახსენებდა ყოვლის შემძლე ღმერთს, დარწმუნებული იყო თავის უცოდველობაში ღვთაებრივ მისიაში, რომლის განხორციელებისათვის მოევლინა იგი სამყაროს. მე მესმის ფიურერის, რადგან იმ უძლიერესი ნარკოტიკების ზემოქმედების ფონზე რასაც იგი მუდმივად მოიხმარდა. ილუზიების მოზღვავება გასაკვირი არ არის. **მიხეილ სააკაშვილი** დავით აღმაშენებელთან გატოლებას ცდილობდა, შეიძლება პრივატულ საუბრებში ისიც საუბრობდა თავის ღვთაებრივ მისიაზე. ჰიტლერის ნარკოტიკების დოზას ექიმი აკონტროლებდა მიშას კი კონტროლი არ უყვარდა. ამიტომ ცინგლი და დუჟი უხვად ეფრქვია სახეზე. ხელისუფლებაშიც მრავლად ჰყავდა ნარკოტიკის მომხმარებლები. მარტო ის რად ღირს, რომ „სოდი“ – სუბოტექსის ოფიციალურ დისტრიბუტორად მოიხსენიებოდა საზოგადოებაში. მისი ხელმძღვანელი კი როგორც ნარკოტიკის მომხმარებელი ასევე გაქნილი რეალიზატორიც გახლდათ. თან როგორც სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეომასალიდან ნათლად ჩანს, გვამების შემგროვებელიც. „ზაკაზჩიკი“ ვანო ორ გვამს უკვეთს და დიდ პრემიას ჰპირდება. ერეკლე კოდუას კი თვალები ულაპლაპებს (ეტყობა, ხშირად იმატებდა, კოკაინს) მის უკანონო ქმედებებზე რომელიც სხვისი ქონების მითვისების, ცემის, დატერორების, უკანონოდ დაკავების, ოჯახის წევრების სასარგებლოდ ბიზნესის „ახევის“ და სხვა უამრავი სიბინძურის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილია. კოდუაც დარწმუნებულია, რომ ქვეყანას ემსახურებოდა მისი მეუღლე **ნანუკა ჟორჟოლიანი** კი ხშირად იხსენებს რა ამაგი აქვს მის გარეწარ ქმარს ქვეყნის წინაშე. თურმე დღე და ღამე არ ეძინა და სულ მუშაობდა. დიახ, ეტყობა როგორც ყველაფერში ნარკოტიკის მოხმარების დროსაც ღორობდა და მერე რაღა დააძინებდა? არც იმ ღამეს ეძინა ალბათ ჟორჟოლიანთან განხორციელებული ზარის გამო სვანეთში სპეც. ოპერაცია, რომ დაგეგმეს და სამი უდანაშაულო ბიჭი ჩადებული წამლის გამო ცემის და წამების ფონზე ციხეში გამოამწყვდიეს. **გია თელია** სანამ არ მოკლავდა ვერც მანამდე დაიძინებდა, მისი ნარკოტიკების რეალიზაციის „ტრასები“ არ გამჟღავნებულიყო. **ვალერი გელაშვილის** ცემასაც უძილო ღამე შეეწირებოდა, რადგან ვანოს პირადად შეპირდა მიშას მტრის „ჭკუის სწავლებას“. **გვიჩიანიც** ხო უნდა გამოემწყვდია უდანაშაულოდ ციხეში, ხოდა, კიდევ არ ეძინა. ვერ დაიძინებდა როცა **ლევან გვაზა-ბის** ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ. 2005 წელს დიდი აჟიოტაჟი ატყდა, დავით კეზერაშვილის და მისი ახლობლების ნარკოტიკების მოხმარებასთან და დამოკიდებლებასთან დაკავშირებით. კოდუას კეზერას „გაპარსვა“ ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ „ზემოთ“ გაიგეს და თითი დაუქნიეს. თუმცა არ გაჩერდა სხვა თანამშრომელი და ინფორმაცია პრესის ფურცლებზეც მოხვდა და სატელეფონო საუბრები ტელევიზიაში გაჟღერდა. დიდხანს უმტკიცებდნენ ნანუკა და ერეკლე როცა თავდაცვის მინისტრი გახდა „კეზერა“, კოდუა აღნიშნულ სიტუაციაში უდანაშაულო და კრავივით სპეტაკი იყოო, თუმცა არც კეზერას აკლდა ჭკუა და გონება, ერთგული ხალხიც ერეკლეზე მეტი ჰყავდა, მას აჩვენეს „ოპერატიული გეგმის“ ასლი, აღნიშნულ საიდუმლო დოკუმენტს ბიჭი კოდუა ხელმოწერით ამტკიცებდა. აბა, როცა კეზერა თავდაცვის მინისტრი გახდა გასაყოფი რა ჰქონდათ. კეზერა იარაღით ვაჭრობას აკონტროლებდა და კოდუა ნარკოტიკების რეალიზაციას. მართალია ორივეს „გაუბაზრდა“, მაგრამ რა,

ვას დავალებით, უდანაშაულო ბიჭებს „შეტენეს“ მკვლელობა, რომლებიც დღესაც იხდიან სასჯელს და უამრავი ჩადენილი დანაშაულის გამო ვერ დაიძინებდა, რადგან დანაშაულის განცდას მაინც ხშირად შეახსენებდა ნარკოტიკით დაბნელებული შინაგანი მე. ცნობილი ფაქტია მისი მოადგილეების ნარკოტიკთან დამოკიდებულებაც, **კახა მისირელი,** რომელსაც კბილებით იცავდა გენერალური ინსპექციისგან, რადგან სარწმუნო ინფორმაციას ფლობდნენ მისი ნარკოტიკზე დამოკიდებულების შესახებ და **დათო ჟვანია**, რომელიც ლონდონში მასთან ერთად გაფრინდა ერეკლეს **ბადრი პატარკაციშვილთან** აუდენციის დროს. თუმცა კაიფში ჟვანიას აგრესიული ხასიათის გამო ვანო მერაბიშვილს მისი დასჯა მოუთხოვია. ბოლოს კი გადამეტებულმა დოზამ იმსხვერპლა. რაიონის ნარკომანის უფროსებზე, რომლებსაც კოდუა მფარველობდა და ნარკოტიკების მომხმარებლები იყვნენ და სხვა „სოდის“ წვრილფეხოები „მთავარია გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული“. ხოდა არც კეზერა არ დაიჩაგრა, აბა 2008 წლის ომში გათეთრებულ მილიარდ ლარს, მარტო თვითონ ხომ არ ჩაიდებდა ჯიბეში? ამიტომაც წაუყენეს სასაცილო ბრალდება და მოუხსნეს ინტერპოლის ძებნაც. თუმცა პროკურატურას, სარწმუნო წყარომ მაცნობა, რომ უამრავი მამხილებელი დოკუმენტი გადასცეს. მათთვის ცნობილია, რომ ომამდე

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს გამოყოფილი ჰქონდა 513 მილიონ 270 ათასი ლარი შემდეგ დაამატეს 442 მილიონ 100 ათასი ლარი. თანხა კი გაფუჭებულ ტექნიკაში დაიხარჯა. 2008 წლის ომის დროს აღნიშნული თანხით, შეძენილი ტექნიკიდან ვერაფერი გამოიყენეს. თანხები გაწერილი იყო ყაზარმების მშენებლობისთვის, თუმცა მხოლოდ კოსმეტიკური რემონტით შემოიფარგლნენ. პროკურატურაში წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით იარაღის ისეთი სახეობებია შესყიდული, რომელიც საქართველოში თვალით არ უნახავთ. 2008 წლის ომით ნაც.ელიტამ და მათმა დასავლელმა მფარველებმა ხელი კარგად მოითბეს, აბა მთავარ ამსრულებელ „კეზერას“ ხომ არ გასწირავდნენ? საინტერეოა 2008 წლის ომში „უგულავას სამფლობელოში“ რატომ გამოაგზავნეს ვაშინგტონიდან ერთი კონტეინერი მორფი თითქოს დაჭრილი ჯარისკაცებისთვის, ან სად გაქრა, არადა პროკურატურამ აღნიშნულ საკითხზეც პირობა დაარღვია რადგან საზოგადოებას შეპირდა, რომ ნარკოტიკის „გაუჩინარების“ შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას მიაწვდიდა, თუმცა ეტყობა არ ან ვერ გაარკვია და დუმილი ამჯობინა. ნაც.ელიტის წევრის **პეტრე ციხკარიშვილის** „რევოლუციამდელი“ გატაცების სკანდალიც „ნაცების სასარგებლოდ შებრუნებული თემა იყო. „ქრონიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში **კახა თარგამაძე** მაშინდელი გატაცების მიზეზებზე საუბრობს „ჩვენი აგენტურის საშუალებით, მივიღეთ ინფორმაცია, რომ ეს პიროვნება დაკავშირებული იყო ნარკოტიკების გასაღებასთან გვითხრეს, რომ ამას იქედან აქვს წამოღებული რაღაც, მერე არ გადაიხადა ფული და ამის გულისთვის გაიტაცეს. შეიძლება გაასაღონ და ა.შ მერე როგორც იცით, ცისკარიშვილი გმირი გახადეს... „თარგამაძის თქმით, მან შუამავალი გაგზავნა **ვეფხია მარგოშვილთან** და ცისკარიშვილის გათავისუფლება მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიკვიდაციით დაემუქრა. “არა ძმაო, მაგას ფული აქვს გადასახდელი, საქონელი წაიღო და სანამ ფულს არ გადაიხდის, არ გამოვუშვებთო!“ – მიპასუხა მარგოშვილმა და რაღაც ასტრონომიული ციფრი დამისახელა. ასე იხსენებდა **კახა თარგამაძე** „ჰეტოს“ პანკისურ ტყვეობას. სამწუხაროა, რომ ჩვენ გვყავდა ნარკომანი სახელმწიფო მინისტრი, პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, დეპუტატების ჯგუფი, შსს მინისტრის მოადგილე, შსს ს სამსახურის უფროსები, მათი თანამშრომლები. ახალგაზრდებისთვის ცუდი მაგალითი იყო როცა სტაჟიან ნარკომანებს მაღალი თანამდებობები ეკავათ. სახელმწიფო სამსახური ნარკომანს არ უნდა ანდო, თუმცა როცა პრეზიდენტი გაქანებული ნარკომანია და საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრის თითქოს, ნარკომანებთან უკომპრომისო მებრძოლია, ძალიან სასაცილოა. მისი არაადეკვატური ქცევები ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ამაზრზენი იყო. ვფიქრობ საზოგადოებას კარგად ახსოვს მახათას მთაზე მიშას არანორმალური მოქმედება. ისეთ „კაიფში“ იყო, ჯერ ჯიბეს ვერ მიაგნო, რაღაცის „ჩაჩურთვას“ უშედეგოდ ცდილობდა, შემდეგ კი შეშლი გამომეტყველებით პატრიარქის სავარძელში „ჩაენარცხა“. სამწუხაროა, რომ 9 წლის განმავლობაში ნარკომანი, კრიმინალი, უსულო რობოტები მართავდნენ ქვეყანას დღეს, სისხლში შეღებილი მოგროვილი ქონების დახმარებით ძველ პოზიციებზე დაბრუნებას ლამობენ, სინანულის გრძნობაც არ გააჩნიათ ჩადენილი საზიზღარი დანაშაულის გამო. ბედავენ და ხალხის ძარცვას, წამებას, მკვლელობას სამშობლოსთვის გაწეულ სამსახურად ნათლავენ. დაუსჯელობის იმედით ხმაც „დაუვაჟკაცდათ.“ დაავიწყდათ ოპოზიციურად განწობილ მოქალაქეებს როგორ ექცეოდნენ, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზეწოლა, ტერორი, ნარკოტიკის ჩადებით დაპატიმრება. ოპოზიციურად განწყობილ ბიზმესმენებთან საბრძოლველად ფინანსურ პოლიციას იხმარდნენ (ნარკომანები არც იქ აკლდათ) „ამ დროს დიდი ვანო“ თათბირზე „შნირებს“ ასე მოძღვრავდა – „გალახული კაცი, საქართველოში არის „ჩმორი“ და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, ცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკი ჩაუდეთ“. ეს ვანო, კრიმინალებისაგან ნუთუ არ გაგიგია - „არიფი კედელთან არ მიაყენოო.“

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„ერთ საგანგაშო ინფორმაციას მოგაწვდით — დღე-დღეზე იგეგმება კომპრომატების გამოქვეყნება „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატზე...“

„საერთო გაზეთი“ საკრებულოს დეპუტატ სოსო მანჯავიძეს ექსკლუზიურად ესაუბრა.

სოსო მანჯავიძე:

მალე დაინახავს ირაკლი ღარიბაშვილი ვინ იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც მას გადაუდგებიან. ვიმეორებ, მისივე გუნდის წევრები აპირებენ ამას!

— სოსო, როგორც წესი, თქვენი პროგნოზები მართლდება, მაინტერესებს როგორ აფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, როგორი მოლოდინები გაქვთ და რა ფარული დინებებია „ქართულ ოცნებაში“?

— დღეს საქართველოში ძალიან მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა შექმნილი, ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფლება ვეღარ მართავს პროცესებს. ლარის დევალვაცია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ფაქტობრივი კრიზისის წინაშე აყენებს, რაც შემდგომში უფრო გაღრმავდება. პირდაპირ გეტყვით, ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე თვეში სრულიად უმართავი პროცესები დაიწყება, რა თქმა უნდა, ამ ტიპის პროცესები ხელშეწყობილი იქნება გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ. ამ ძალებში უნდა მოვიაზროთ, როგორც პოლიტიკური პარტიების გარკვეული ჯგუფები, ასევე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კრიზისი, რომლის ზღვარზეც ვართ, პირდაპირ უბიძგებს საქართველოს მოქალაქეებს პროტესტი გამოთქვას, რასაც, რა თქმა უნდა, ინტერესთა ჯგუფები საკუთარი კერძო მიზნების მისაღწევად გამოიყენებენ. რაღაც მიმართულებით ყოველივე იმდენად გამჭვირვალეა, რომ ყველაფერი ზედაპირზეა, თუმცაღა დღევანდელ ხელისუფალს პოლიტიკური პროცესები აშკარად გაექცა და ისინი თვითდინებაზეა მიშვებული, რაც გასაკვირიც არაა, თუ იმ საკადრო პოლიტიკას გავითვალისწინებთ, რომელსაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ატარებს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკელებმა დეფაქტო გადატრიალება მოაწყვეს და საქართველოს ხელისუფლებაში უკვე აღმასრულებელ ფრთაში საბრძოლო პოზიციები დაისაკუთრეს. თუმცა რესპუბლიკელებზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ. ის შეკრებები, რომელიც, შესაძლოა, ახლო მომავალში გაიმართოს, დასაშვებია ქვეყანაში მასიური არეულობის წინაპირობა გახდეს.

— დააკონკრეტეთ ვინ აპირებს არეულობის მოწყობას საქართველოში და რა მიზნით ?

— პირდაპირ გეტყვით, არსებობს ინფორმაცია, რომ აქციების ორგანიზებას **ჯონდი ბაღათურია** მოახდენს, შემდგომში გამოხტებიან, ერთიანი ფრონტით შეუტევენ ხელისუფლებას და არევენ ქვეყანაში სიტუაციას. მათი მიზანი, გარდა საკუთარი გამორჩენისა, ერთპიროვნულად სახელმწიფოებრიობის მოშლაა, რომ მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ. ამ ლიფსიტებს კი ვერც წარმოუდგენიათ რამდენად ცუდ სამსახურს უწევენ საკუთარ სამშობლოს. მათი როლი ქაოსის დათესვაშია. მათ აქციებს აუცილებლად შეუერთდება „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატი. ღარიბაშვილის კარიერაც საფრთხის ქვეშაა, მოკლედ, ეს არის შეთქმულება პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ. დიახ, **მალე დაინახავს ირაკლი ღარიბაშვილი ვინ იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც მას გადაუდგებიან. ვიმეორებ, მისივე გუნდის წევრები აპირებენ ამას და ღარიბაშვილს, ძალიან გაუჭირდება, რომ ამ რყევებს გაუძლოს.** ვურჩევ მას, უფრო ეფექტურად აამუშაოს ქვეყნის სპეცსამსახურები, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა მსგავსი პროვოკაციებისგან ქვეყნისა და მოსახლეობის დაცვა. დიახ, სასწრაფოდ უნდა ჩაშალოს აღნიშნული მარგინალური ჯგუფის გეგმა. ეს მისი პირდაპირი და კონსტიტუციური მოვალეობაა.

— ვის გულისხმობთ „ქართული ოცნებიდან“? რესპუბლიკელები კოალიციის დატოვებას გეგმავენ?

— სახელებისა და გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ამის ჩამდენი არა მხოლოდ კოალიციის, არამედ უშუალოდ პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იქნებიან. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, ამ ბოროტმა და დეზტრუქციულმა ძალამ, რაც უნდოდა, ყველაფერი მიიღო - ხელში ჩაიგდო ხელისუფლება, შესაბამისად, კოალიციის დატოვებას არ იჩქარებს. თუმცაღა თუ იმ სცენარით განვითარდა მოვლენები (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ) ამ მარგინალების გვერდით რესპუბლიკელებსაც ვიხილავთ. ისინი საჭირო დროს და მომენტს ელოდებიან.

— საუბარი უსუფაშვილის გაპრემიერებაზეც ყოფილა...

— არაფერია გამორიცხული. ვიმეორებ, თუ ეს დესტრუქციული ძალები ქვეყანაში ქაოსის მოწყობას მოახერხებენ რესპუბლიკელებიც მათთან ერთად ჩაერთვებიან ამ ბრძოლაში. **ახლა კიდევ ერთ საგანგაშო ინფორმაციას მოგაწვდით - დღედღეზე იგეგმება კომპრომატების გამოქვეყნება „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატზე. ხალხის თვალში ქართული ოცნების სრული დისკრედიტაცია უნდა მოხდეს. ვიმეორებ, ეს სცენარი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერაა დაწერილი და მისი მიზანია, რომ პარტია „ქართულმა ოცნებამ“, როგორც პოლიტიკურმა ძალამ, საერთოდ აღარ იარსებოს.** საუბარია ალასანიარესპები-მარგველაშვილი პლუს ნაცები კოალიციის შექმნაზე და ამ ძალების ხელისუფლებაში მოყვანაზე, თუმცა შესაძლოა ფსონი საბოლოოდ არა ამ ძალებზე, არამედ სულ სხვა პოლიტიკურ ძალაზე გაკეთდეს.

— ე.წ. პრორუსულ ძალებს გულისხმობთ?

— იცით, ისიც გასარკვევია, ვინ პრორუსულია და ვინ პროამერიკული. პროქართული ძალა პოლიტიკურ ასპარეზზე რომ არ არის, ეს ფაქტია. არის რამდენიმე წესიერი, პატრიოტი და გულანთებული პოლიტიკოსი, თუმცა სრულ იზოლაციაში არიან, დაბლოკილები არიან. დიახ, ვინ ვისზე მუშაობს, მგონი, თავად მათმა პატრონებმაც აღარ იციან. მთავარია, ქვეყანაში შეიქმნას არასტაბილურობის განცდა და საჭირო გახდეს ისეთი ახალი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ქაოსს დაალაგებს. ხვდებით ვინ იქნება ეს პოლიტიკური ლიდერი? რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძე, რომელიც ამერიკელებსაც აწყობთ და რუსებსაც. ასე რომ, შესაძლოა ყველაფერი ეს სწორედ **ნინო ბურჯანაძის** ხელისუფლებაში მოყვანისთვის კეთდებოდეს. **ირმა ინაშვილის** „პატრიოტთა ალიანსიც“ რომ იქნება მომავალ ხელისუფლებაში წარმოდგენილი, ესეც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ. მოკლედ, წინ მძიმე პროცესები გველის, არჩევნებამდე მშვიდობიანად ვერ მივალთ, დიახ, სამწუხაროდ ეს ასე იქნება, ვიმეორებ, სამწუხაროდ.

ქეთი, ექსკლუზიურად გეტყვით, (მომაწოდეს ინფორმაცია) იგეგმება ციხეებში სიტუაციის არევა, ბუნტი, სამინისტროს თანამშრომლების მძევლად აყვანა, პატიმრებისა და საპატიმრო დაწესებულებების თანამშრომლების დახოცვა. და არ მგონია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი ბატონი კახიშვილი ამ ყველაფერს გაუმკლავდება. ეს ქვეყანაში ქაოსის გამოწვევის სქემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. არ დაგავიწყდეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ ციხის კადრებმა მოაშორა ხელისუფლების სათავეს, მგონი ამით ყველაფერი გითხარით. გავმეორდები, წინ ბევრი მძიმე რამ გველის. ქართველი ხალხის გონიერების იმედი მაქვს, თორემ ცუდად წავა ჩვენი საქმე. მივიღებთ კიდევ ერთ მართულ და ქვეყნისთვის მტრულად განწყობილ ადამიანებს ხელისუფლების სათავეში და ამას ეს ქვეყანა უკვე ვეღარ გადაიტანს. აუცილებელია სამთავრობო ცვლილებები. რესპუბლიკელების ნელ-ნელა განეიტრალება და ჩამოშორება ხელისუფლების სათავეებიდან, თორემ ეს ყველაფერი ამ მთავრობას ძვირად დაუჯდება, ის ამ ყველაფერს გადაჰყვება.

„თუ ჩვენ სახელმწიფო ვართ, წესით და რიგით, ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, სასწრაფოდ უნდა დამიძახოს პროკურატურამ, უშიშროების სამინისტრომ, სადაზვერვო სამსახურებმა, მთავრობამ.

ჰოდა, დამიძახონ და დამკითხონ! — მე მზად ვარ, მივაწოდო ჩემს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია.“

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

სამწუხაროა, რომ „ოცნებამ“ სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემის ძირფესვიანი დემონტაჟი არ მოახდინა, რის შედეგებსაც დღეს ვიმკით

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით ვესაუბრებით „სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელს ბატონ პეტრე მამრაძეს.

— ბატონო პეტრე, ვიდრე საუბრის ძირითად თემაზე გადავიდოდეთ, თქვენ როგორ შეაფასებდით ყოფილი ქალაქის მერის გიგი უგულავას გარშემო შექმნილ ვითარებას, ნაციონალებმა თითქმის იზეიმეს მისი ერთდღიანი „თავისუფლება“, იყო მუქარები რევანშისა, რა პროცესებთან გვაქვს საქმე?

— ეს მართლაც საინტერესო მოვლენა იყო, რაც მოხდა, თუ გავაანალიზებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ სცნო კანონის გარკვეული მუხლი არაკონსტიტუციურად და გააუქმა, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება მართალია, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს ანტიკონსტიტუციური კანონის 205 მუხლი, მიღებული იყო სააკაშვილისა და მისი „ნაცების“ მიერ, და როცა ამ კანონს ღებულობდნენ, ხმა არ ამოუღია არავის; ამდენი წლის განმავლობაშიც არავის გაუპროტესტებია, რატომ? იმიტომ, რომ თავად სჭირდებოდათ, ისევე როგორც სხვა რამეები, მაგალითად, საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო სიები და სხვა კანონები. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსულმა „ოცნებამ“ ეს კანონი არ შეცვალა, პირიქით, მოირგო და შეირგო, აი, შედეგიც! განა პირველი დღიდანვე არ უნდა შეექმნათ კომისია, რომელიც გადახედავდა გარკვეულ კანონებს და შეცვლიდა? მაშინ ხომ ეს კანონიც შეიცვლებოდა. თუ შესაცვლელი იყო, რას აკეთებდა პარლამენტი? პაპუაშვილს ერთ ლარად უზარმაზარი ბინა მისცა სააკაშვილმა იმისთვის, რომ ასეთი მრუდე კანონები ჩაეწერათ კონსტიტუციაში, ამიტომ იყო ის „ნაცების“ მორჩილი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ქადაგიძეც სააკაშვილის მორჩილი არ იყო?

„ოცნებამ“ სისტემის დემონტაჟი არ მოახდინა, ამიტომ მთელი ერი იმკის ამ მძიმე შედეგებს, რაც დღეს ხდება. აი, ასეთია ჩემი პასუხი ამ კითხვაზე.

— მსოფლიო პოლიტიკური პროცესი მიმართულია ევროპისკენ, ლტოლვილებისკენ, რომელნიც პრაქტიკულად იპყრობენ მას, რადგანაც არსებობისთვის ბრძოლა უხდებათ, მძიმეა მათი ხვედრი. ფერადმა რევოლუციებმა გააღატაკა აზია-აფრიკის ქვეყნები, რას უნდა ველოდოთ?

— მე შევეცადე, ღრმად შემესწავლა ეს მოვლენები და რეალობა დამენახა. ავიღოთ თუნდაც ეგვიპტე, ის, რომ იქ მოხდებოდა მასობრივი გამოსვლები და მოუხდებოდა პრეზიდენტს გადადგომა, აშშ-სთვისაც გარკვეულწილად მოულოდნელი იყო, რადგანაც ის სერიოზულად კორუმპირებული პიროვნება იყო, ფაქტობრივად, იქ რეფორმები არ გატარებულა იმის შიშით, რომ რადიკალი ისლამისტები არ მოსულიყვნენ ქვეყნის სათავეში. თუმცა, ის არაფრად აგდებდა იმას, რომ 60 მილიარდს გადაჭარბა მისმა ქონებამ. ცნობილი მეცნიერები წერდნენ, თუ რატომ არის ეგვიპტის მოსახლეობაზე ღატაკი; იმიტომ, რომ მუბარაქის ქონება 60 მილიარდს აჭარბებსო. იანუკოვიჩმაც იგივე ქნა, როცა უკრაინის ქონების დიდი ნაწილი თავის შვილებს დაურიგა, ხოლო თავად ქვეყნის საგარეო ვალმა 50 მილიარდს მიაღწია, ამას ხალხი ხომ ხედავს, არა? პრაქტიკულად, ყველა იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც ევროპისკენ მიემართება ლუკმა-პურის საძებნელად, იყო კლანური მმართველობა, რამაც შექმნა იქ ფეთქებადი სიტუაციები და არამდგრადი პოლიტიკური ვითარება. ცხადია, ის რაც მოხდა, გარკვეულწილად გარეფაქტორებმაც განაპირობა როგორც ისინი დასავლეთის მმართველობას აბრალებენ, მაგრამ, ფაქტობრივად, იქ იყო მომწიფებული ამის პირობები. ჯერ კიდევ 20 წლის წინ, ცნობილი მეცნიერები აღნიშნავდნენ, რომ დასავლეთში დემოგრაფიული ფაქტორი თავის სიტყვას იტყვისო, კერძოდ, ევროპაში შვილების რაოდენობა ოჯახში ორზე ნაკლებია და მოსახლეობის რაოდენობის შენარჩუნებას კი სჭირდება სულ ცოტა სამი შვილი. მოსახლეობის სწრაფმა კლებამ გამოიწვია ეს ყველაფერი, იქ მოსახლეობა სწრაფად „ბერდება“, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში და კერძოდ, ლონდონში, მკვიდრი ლონდონელი მხოლოდ მოსახლეობის 30 პროცენტია, არ არის ეს პრობლემა?

— თქვენ ფიქრობთ, რომ მიგრაციის ეს პროცესი, რაც დღეს სახეზეა, მაინც მოხდებოდა, უბრალოდ, პროცესები დაჩქარდა?

— დიახ, ეს მაინც მოხდებოდა, ახლა ერთბაშად ბევრნი დაიძრნენ ევროპისკენ, თორემ იქ მუსლიმანური მოსახლეობა დიდი ხანია დამკვიდრდა. ხალხთა დიდი გადასახლება მოხდა და კვლავაც გაგრძელდება. ეს მეცნიერთა აზრია და არა ჩემი. ხშირად მიკითხავს დემოგრაფებისთვის, არსებობს ქვეყანაში შესვლის გარკვეული წესები, ვიზა, პასპორტი და ასე შემდეგ. მათი პასუხი იყო, რომ ვიზები მათ არ დასჭირდებათ და შევლენ ძალისმიერად, რომელსაც ევროპა წინ ვერ აღუდგებაო. ასეც მოხდა სწორედ, ვინმე სთხოვს ამ ლტოლვილებს პასპორტს ან ვიზას? ან უწევენ მათ წინააღმდეგობას?

ეს პროცესები დღეს დააჩქარა სირიის მოვლენებმა „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნამ, რადიკალურმა მოპყრობამ.

— ევროპაში თავისი ქვეყნის მოქალაქეებისათვის არა აქვთ სამსახურები, დასაქმების სერიოზული პრობლემებია და ამდენ ლტოლვილებს როგორ დაასაქმებენ?

— იცით რა, ევროპაში უმაღლესდამთავრებულ უმუშევრებს იმდენი კომპენსაცია აქვთ, რომ ურჩევნიათ იყვნენ დაუსაქმებელი და ელოდონ სამსახურს თავისი სპეციალობით, ვიდრე სხვა დაბალი ხელფასის მქონე სამსახურში იმუშაონ. აი, სწორედ ეს უბიძგებს დღეს ამ ლტოლვილებს, ევროპაში ეძიონ სამუშაო, რომელთაც მკვიდრი ევროპელები არ კადრულობენ.

დიდი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი რასელი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში წერდა, რომ დასავლური ცივილიზაცია თავის ინტელიგენციასთან ერთად გაქრებოდა, თავისი გაინტელიგენტების კვალობაზე. დღეს სწორედ ეს პროცესები ხდება. ევროპის მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ აქამდეც ივსებოდა და ახლაც ის შეივსო სხვა კონტინენტსა თუ ქვეყანაში მაცხოვრებლების ხარჯზე.

— თუ ევროპელი მეცნიერები წინასწარ განსჭვრეტდნენ ევროპის ასეთ დემოგრაფიულ კრახს, არ შეეძლოთ, რომ შეემუშავებინათ გადარჩენის გზები, ან კანონები?

— შეიმუშავეს, მაგრამ დასავლური ელიტა ამ პროცესს ვერ მოერია, ჩადით აბა გერმანიაში, ნახეთ, რამდენი მაჰმადიანი ცხოვრობს, უნდოდათ კი მათ ეს ყველაფერი? ცხადია, არა, მაგრამ პროცესი ვერ შეაჩერეს ვერც ადრე და დღეს, საერთოდ ვერ შეაჩერებენ, რადგანაც ამ ყველაფერმა მასობრივი ხასიათი მიიღო, ფაქტობრივად ეს პროცესი უმართავია. დიდ ბრიტანეთში არის ადგილები, სადაც ბრიტანელი საერთოდ არ ცხოვრობს უკვე დღეს, ამ ადგილებს უცხოელები დაეპატრონენ.

ერთი მნიშვნელოვანი რამ მახსენდება ისტორიიდან, ფაშისტური გერმანიის აგრესიის დროს, არცერთ ბრიტანელს ლონდონი არ მიუტოვებია, ყველა იბრძოდა ინგლისში, გერმანიამ დესანტი ვერ გადასხა, ისე იცავდნენ ისინი სამშობლოს, სამაგიეროდ, დღეს მათმა შვილიშვილებმა უბრძოლველად ჩააბარეს თავისი სამშობლო უცხოელებს, ზემოთაც გითხარით, დღეს ლონდონში კატასტროფაა. რა იქნება ახლო მომავალში, როცა ამ ქალაქს ეს ლტოლვილები შეესევიან? ან სულ გაქრებიან ისინი, ან სულ ხუთ ათ პროცენტამდე დარჩებიან და მეტი არაფერი. რამდენიმე პოლიტიკოსმა უკვე აღნიშნა ეს ფაქტი იქ და ამაზე ლაპარაკი, მოგეხსენებათ, დღეს ევროპაში ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ მაშინვე რასისტის იარლიყს მიაკრავენ ასეთ პიროვნებას.

— დღეს უკვე კვოტები გადაინაწილეს ევროკავშირის ქვეყნებმა მიგრანტების მისაღებად. თუ ყველა აზია-აფრიკული ქვეყანა ევროპაში გადასახლდება, რა ელის მათ მიტოვებულ სამშობლოს? ან კი შესძლებს ევროპა ყველას დაკმაყოფილებას, ასე ხომ უსასრულოდ გაგრძელდება ეს პროცესი?

— იცით რა მოხდება, რაღაცა პერიოდის მერე ევროპაში შესვლა ავტომატურად შეწყდება, რადგანაც იქ უკვე აღარ იქნება სამუშაო ადგილები, ეკონომიკა გადაწყვეტს ყველაფერს, სულ რომ კარი ღია ჰქონდეს ევროპას, მათი ადგილი იქ აღარ იქნება, უბრალოდ ვერ იარსებებენ, ლუკმა-პურს ვერ იშოვიან და იმიტომ. თურქეთში ხომ დაბრუნდნენ თურქები, რომელთაც ფული გერმანიაში იშოვეს და მერე სამშობლოში წამოიწყეს ბიზნესი, ასე იქნება ამ შემთხვევაშიც.

ქართული ეკონომიკა დღეს ევროპისთვის არის სტატისტიკური ნული, სამწუხაროდ, საქართველო დღეს გადაიქცა იმ ტერიტორიად, სადაც შემოდის გარედან ჩვენგან სამუშაოდ წასული ხალხის დოლარები, და ეს თანხა ჩვენს ტერიტორიაზე იცვლება ქართველების მიერ უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე. შევხედოთ ერთმანეთს, ვინმეს რამე გვაცვია ქართული წარმოებისა? მაწონს რომ ვყიდულობთ, ისიც კი უცხოეთიდან შემოტანილი ფხვნილით მზადდება და ვის ვსაყვედურობთ? ეს არის შემზარავი მემკვიდრეობა, რაც სააკაშვილის სადისტურმა მმართველობამ დაუტოვა ქვეყანას.

ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, ჩვენთვის დიდი ზარალის მეტი არაფერი მოუტანია, ამას აღნიშნავენ სპეციალისტები. რატომ? იმიტომ, რომ გასული სექტემბრიდან დიდი თანხები იკარგება, ათობით მილიონი ამ ხელშეკრულების ხაზით, მაგრამ ეს ხელშეკრულების ბრალი კი არ არის, ჩვენი მთავრობა იხვეწებოდა, ხელი მოგვაწერინეთო, მათაც შეასრულეს თხოვნა. დავზარალდით იმიტომ, რომ საბაჟოზე ისინი შეღავათებით სარგებლობენ, საქონელი შემოაქვთ და მდიდრდებიან, სამაგიეროდ, ჩვენ არაფერი გაგვაქვს, გადასახადს კი ვიხდით და ვზარალდებით. სპეციალისტებმა ისიც კი მოითხოვეს, რომ ამ ხელშეკრულების ზოგიერთი პუნქტის მოქმედება შეჩერდეს, რომ არ დავზარალდეთ. ეს ძალიან საგულისხმო ფაქტია, ვიმეორებ, ამ ხელშეკრულებას მაშინ ექნება ძალა და აზრი, თუ რამეს შევიტანთ ევროპაში, სხვა შემთხვევაში ისედაც დაქცეულ საქართველოს გადასახადები ემატება და მეტი არაფერი. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ისრაელს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წელიწადში 15 მილიარდი დოლარის მოგება აქვს ეკონომიკაში, რადგანაც ამ ხელშეკრულების შეღავათით სარგებლობს — აი, მიდგომა და ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა. ასე რომ ეს ასოცირების ხელშეკრულება ევროპისთვის გახდა მომგებიანი, ჩვენ კი ჯერჯერობით არაფერი გაგვაქვს. ევროპული ბაზარი იმდენად დიდია, რომ ჩვენი პროდუქციის არშეტანა მათ არ დააზარალებს, თუმცა, არც შეტანა არ ააშენებს. ამიტომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას სერიოზული მიდგომა სჭირდება, რომ თავი დავიმკვიდროთ.

ეთერ კასრელიშვილი
599 110 200

ვახტანგ ხომიზურაშვილი:

პირდაპირ გეტყვით – რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ეს არის საავალუტო ფონდის მიერ საქართველოში განხორციელებული აბსოლუტურად საზიანო პოლიტიკის შედეგი

გვესაუბრება თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ვიცეპრეზიდენტი (1994-2006 წ.წ.), ფასიანი ქაღალდების ბაზრის ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:

– ბატონო ვახტანგ, გასულ კვირას ლარი ისევ მნიშვნელოვნად გაუფასურდა. 10 სექტემბერს, „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემაში, სადაც ლარის კურსი ყალიბდება, ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ 2,02-მდე გამყარდა, მერე კი მკვეთრად დაეცა – 2,42-ზე. ამჯერად, რასთან გვაქვს საქმე?

– კარდინალურად არაფერი შეცვლილა, ლარი ისევ არასტაბილურია, „ეროვნული ბანკი“ მონეტარულ პოლიტიკას არ ცვლის, ვგულისხმობ, რეფინანსირების სესხებს. იგი თავს იმით იმართლებს, რომ ამით, კომერციული ბანკების ლიკვიდურობას ზრდის, მაგრამ რეალურად, პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა – დაახლოებით, ნახევარი წლის წინ, „ეროვნული ბანკი“ რეფინანსირების სესხებს გასცემდა, მაგრამ უკან მოკლევადიანი სესხები უბრუნდებოდა, ანუ, ბანკებში დალექილი სესხების უძრავი ნაშთი, რომელიც მაშინ წარმოიქმნება, როცა „ეროვნული ბანკი“ სესხების გაცემას უმატებს. თავიდან ასეთი რამ არ ყოფილა და მერე გაჩნდა. რატომ გაჩნდა, საკითხავია. ის, რომ ეს თანხები სავალუტო ბაზარზე არ ხვდება, აბსოლუტური აბსურდია. იმიტომ, რომ რეალურად, ბანკებს საკმარისზე მეტი ლიკვიდურობა აქვთ, დანარჩენი თანხები, უბრალოდ, სავალუტო ბაზარზე მიემართება, ანუ, დოლარის ვერ შეძენაზე. ეს ერთი მიზეზი, მეორე – „ეროვნული ბანკი“ აუცილებელი რეზერვების გატარების პოლიტიკას აქტიურად და კვალიფიციურად არ იყენებს. ანუ, იგი დეპოზიტებიდან მოზიდულ სავალდებულო რეზერვებს – კომერციულ ვალუტაში: ევროში, დოლარსა და ლარში, გარკვეულ საგარანტიო სადეპოზიტო ნორმას უწესებს, ანუ, კომერციულმა ბანკმა მოზიდული რეზერვიდან თანხები „ეროვნულ ბანკში“ სპეციალურ ანგარიშზე უნდა განათავსოს. თავისთავად, ეს, კომერციულ ბანკს მოზიდული სახსრების ღირებულებას უძვირებს, რომელიც მერე, სესხებში მიემართება. აქედან დასკვნა, „ეროვნული ბანკი“ ამ ინსტრუმენტს მოქნილად არ იყენებს. წარმოიდგინეთ, როდესაც „ეროვნული ბანკი“ სარეზერვო ნორმას ზრდის (მნიშვნელობა არ აქვს ლარის თუ დოალრის მიმართ), ამ შემთხვევაში, დეპოზიტების ღირებულება, ბუნებრივად იზრდება. შესაბამისად, სესხიც ძვირდება. ეს მომენტი გასათვალისწინებელია. „ეროვნულ ბანკს“ სარეზერვო ნორმა დოლარზე რომ გაეზარდა, მოზიდული თანხა დოლარების დეპოზიტების ღირებულება თავისთავად გაიზრდებოდა, მაგრამ შესაბამისად, გაიზრდებოდა სესხის ღირებულებაც დოლარზე. ანუ, ლარის სესხებზე უფრო მეტი მოთხოვნილება გაჩნდებოდა, შედეგად, კომერციული ბანკები იძულებული გახდებოდნენ მოზიდული დოლარის მასის ნაწილი უბრალოდ, გადაეხურდავებინათ, ანუ, კონვერტაცია ლარში გაეკეთებინათ და შესაბამისად, ლარის სესხები გაეცათ. ანუ, „ეროვნულ ბანკს“ ბევრი ვარიანტის გამოყენება შეუძლია, მაგრამ რატომღაც, არ იყენებს. მესამე – „ეროვნული ბანკის“ საქმიანობა – მონეტარული, სავალუტო პოლიტიკა, იგივე, „ბლუმბერგის“ სისტემაში განხორციელებული სავალუტო ოპერაციები ჩალითაა დაფარული, იმდენად გაუმჭირვალე, დახურულია გეგონება, „ნასას“ პროექტია. ეს ნეგატიურად აისახება თვითონ განწყობაზე, ბადებს ეჭვებს, აჟიოტაჟს, რაც შესაბამისად, ზედმეტი წნეხია ლარზე იმიტომ, რომ მოსახლეობა, კომპანიები უნდათ თუ არა დამატებით იძენენ დოლარს, რადგან ლარის მიმართ ნდობა, პრაქტიკულად, ყოველდღიურად იკარგება.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, „ბლუმბერგის“ სისტემას, იგი არაჯანსაღი, რისკიანი საინფორმაციო სისტემაა. აღნიშნული სავაჭრო სისტემა, ისევე როგორც „როიტერსი“, მშვენივრად გამოიყენება უცხოეთში, სადაც დიდი ოდენობით სავალუტო ნაკადები, გარიგებებია, მაგრამ სადაც პატარა ეკონომიკებია, ქვეყნიდან ვალუტის გადინების დროს, სავალუტო კურსზე ზემოქმედება მცირედი თანხებით შეიძლება მოახდინო, ან თუ ადგილი აქვს ლარის ფულადი მასის გაზრდას, რასაკვირველია, ამისთვის, სულ სხვა სისტემაა საჭირო, რომელიც სიახლე არაა – ესაა სავალუტო, სავაჭრო, საბირჟო სისტემა. იგი უამრავ ბერკეტს ითვალისწინებს და ჯანსაღი, სამართლიანი სავალუტო კურსის ფორმირებას უწყობს ხელს. ეს საკითხი, დღეს, რატომღაც, მთავრობის არცერთ წევრს არ დაუყენებია. მესმის ასე რატომაც ხდება – ეს მაინც სპეციფიური საკითხია, რასაც სიღრმისეული, პროფესიული ცოდნა სჭირდება. საჭიროა საბირჟო საქმის სპეციალისტის მიდგომა, რასაც პოლიტიკურ ელიტას, მმართველ გუნდს ვერ მოვთხოვთ, მაგრამ რა უშლით ხელს ექსპერტები მოიწვიონ, დამიძახონ და მკითხონ: რა სჯობს, რა რას გამოიწვევს, როგორი ეფექტი იქნება და ა.შ. ეს მომენტი უგულვებელყოფილია, რაც იმაზე მიუთითებს, რამდენად გახსნილია თვითონ მთავრობა, განსაკუთრებით, ეკონომიკური გუნდი, რათა ეს პოტენციალი, ალტერნატიული აზრი გამოიყენოს.

– ბატონო ვახტანგ, ჩვენ ქვეყნის შიდა პოტენციალს სათანადოდ ვერ ვიყენებთ, სამაგიეროდ, არ გვაკლია უცხოელი კონსულტანტების რჩევა-დარიგებანი თუ როგორ ვმართოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

– დიახ, ბევრმა ქვეყანამ, ვინც შიდა ინტელექტუალური პოტენციალი ვერ გამოიყენა, უცხოელ კონსულტანტებს მიმართა, იგივე, სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს, ევრობანკს და ა.შ. მაგრამ ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკები სპეციფიურია, გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ეს რჩევები აბსოლუტურად, არაეფექტიანია. რატომ? – იმიტომ, რომ სპეციფიური მომენტები იმდენად ძლიერ ზეგავლენას ახდენს თვითონ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ პროცესებზე, რომ მსგავსი შაბლონური, სტანდარტული მიდგომა, უცხოელი კონსულტანტების მხრიდან, მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ შედეგს იძლევა. შეგვიძლია პირდაპირ ჩამოვთვალოთ მთელი რიგი ქვეყნები, დაახლოებით, 25 ქვეყანა, სადაც სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები კოლაფსით დასრულდა. ყველაზე მსხვილი ქვეყნები რომ ავიღოთ, ესაა ლათინო-ამერიკული ქვეყნები – მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია. აქ, ცოტა გონივრული მიდგომაა საჭირო. დღეს, საქართველოს მიმართ სავალუტო ფონდის დაახლოებით, 20 წლიანი პოლიტიკა ასე შემიძლია შევაფასო – პირდაპირ გეტყვით, ესაა სავალუტო ფონდის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული არათანმიმდევრული, არალოგიკური, აბსოლუტურად საზიანო პოლიტიკა. რატომ? – პირველი – სავალუტო ფონდის რეკომენდაცია იყო სავალუტო საბირჟო სისტემის შექმნა, ხოლო შემდეგ, როგორც გვითხრეს აუცილებლად უნდა გვეფიქრა იმაზე, რომ შეგვექმნა ეროვნული ვალუტის კურსის დაზღვევის სისტემა. ანუ, ესაა სპეციალური სავალუტო კონტრაქტები, რომლის მეშვეობითაც შეგიძლია, მომავალში, ვალუტის კურსი დაზღვიო. ეს შევქმენით და საკმაოდ მაღალ დონეზეც განვავითარეთ, ანუ მაშინ სავალუტო ბირჟა საერთაშორისო დონეზე იდგა, სადაც ფულადი ბაზრების განვითარების, დაახლოებით, ხუთი მიმართულება იყო. ეს ყველაფერი „ნაცმოძრაობის“ დიდი დახმარებით მოსპეს. ამის შემდეგ, სავალუტო ფონდი აბსოლუტურად, ჩუმადაა, ერთი შეფასება, რეკომენდაცია არ გაუკეთებია, თითქოს არც არსებობდეს. საქართველოში საინვესტიციო გარემოს შექმნის და შესაბამისი პოლიტიკის გატარების საკითხი რომ დადგა, აქცენტი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე გაკეთდა. მაგრამ ფასიანი ქაღალდების ბაზარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა და შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების გამოშვება სტიმულირებული იქნებოდა. იმიტომ, რომ ინვესტიციები ზუსტად, ამ ფასიან ქაღალდებში აისახება, რომელიც მერე ბირჟაზე ხვდება. ამ შემთხვევაში, სავალუტო ფონდის ე.წ. ექსპერტებმა, პირდაპირ გეტყვით, ასეთი პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვეს იმიტომ, რომ ასე სახელმწიფო, იგივე, კომპანიები სასესხო კაპიტალზე ნაკლებად იქნებოდნენ დამოკიდებულნი, მათ შორის, მსოფლიო ბანკის სესხებზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხებზე და ა.შ. ანუ ეს იყო საერთაშორისო ბანკების წმინდა კომერციული ინტერესები. საბოლოო ჯამში, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, ეს ბანკები, ისე როგორც მსოფლიო ბანკი და ევრობანკი, რომლებიც ფაქტობრივად, სავალუტო ფონდის ქოლგის ქვეშ არიან, მსოფლიოში საერთო პოლიტიკის გამტარებლები არიან. აქედან გამომდინარე, ყველაფერი მარტივადაა – განვითარებადი ქვეყანა რაც უფრო დამოკიდებულია უცხოურ სასესხო კაპიტალზე, რაც უფრო დამოკიდებულია იგივე სავალუტო ფონდზე, რაც უფრო მეტადაა ჩაფლული საგარეო ვალში, მით უფრო მართვადია, მით უფრო შეუძლია გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ნებისმიერი პროცესების, ნებისმიერი საკანონმდებლო დონეზე აყვანილი სტანდარტების მართვა. ანუ, ფაქტობრივად, მთელი სახელმწიფო მართვადი ხდება.

– როგორ შეაფასებთ „ეროვნული ბანკიდან“ ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფას?

– ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფა, წმინდა პოლიტიკური ნაბიჯია. ზედამხედველობა „ეროვნული ბანკის“ გავლენის სფეროში უნდა იყოს და რასაკვირველია, მას არ უნდა გამოეყოს. თუ მათ უფრო მეტი გამჭირვალობა, მეტი საპარლამენტო კონტროლი სჭირდებათ, მაშინ ზედამხედველობის სამსახური, პარლამენტის წინაშე, ანგარიშვალდებული უნდა გახადონ. გამოყოფა უკვე პოლიტიკურ დანიშვნას ნიშნავს. იქედან გამომდინარე, რომ ზედამხედველობის სამსახურს კომერციულ ბანკებზე ზემოქმედების რეალური ბერკეტები გააჩნია, სადაც ქვეყანაში არსებული კაპიტალის 70%-ია კონცენტრირებული, დასკვნის გაკეთება რთული აღარაა – რა კუთხით შეიძლება იყოს გამოყენებული იგივე, ზედამხედველობის სამსახური. აქ, ცალკეული პიროვნებები არაფერ შუაშია. „ეროვნული ბანკის“ სისტემა ისეთი უნდა გახდეს, რომ პიროვნებაზე დამოკიდებული არ იყოს. ეროვნული ბანკი ქმედითუნარიან მონეტარულ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, თავის ფუნქციებს კვალიფიციურად ასრულებდეს. ეს ნაბიჯი, პირდაპირ ვიტყვით, შენელებული მოქმედების ნაღმია, რომელიც შეიძლება ცუდად აფეთქდეს, რაც სერიოზული დაფიქრების საგანია.

– როგორ ფიქრობთ, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ მომდევნო სამი თვის მანძილზე ინფლაციური პროცესები ისევ გაგრძელდება?

– რასაკვირველია, ეს პროცესი გაგრძელდება თუ რეალურად, რეფორმების თვალსაზრისით პოზიტივის ვექტორი არ გამოჩნდა. რეფორმებში ვგულისხმობ, არა იგივე მონეტარულ პოლიტიკას, საფინანსო ან ფულად ბაზრებს, არამედ თვითონ ბიზნესის განვითარებას, რაც ინვესტიციების მოზიდვის, წინაპირობების შექმნის გარეშე არ ხდება. აქ, აუცილებელია ისეთი მიმართულებების განვითარება როგორებიცაა საკანონმდებლო და მათ შორის, საგადასახადო რეფორმები. იმიტომ, რომ ჩვენთან, შევარდნაძის მერე, საგადასახადო კოდექსი, პრაქტიკულად, არ შეცვლილა. ქმედითი ცვლილებები არ მომხდარა. უნდა შემუშავდეს როგორც მცირე, საშუალო ბიზნესის, ისე ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების სტიმულირების მექანიზმები და შესაბამისად, ეს საგადასახადო კოდექსს მიებას. განსავითარებელია ისეთი მიმართულება, როგორიცაა საფინანასო ლიზინგი, რომელიც პრაქტიკულად, ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის შველაა, მაგრამ ამას ისევ და ისევ ამ რეფორმების გატარება და წინაპირობების შექმნა სჭირდება, რათა ეს მიმართულება განვითარდეს. თუ გვინდა სამუშაო ადგილები შევქმნათ, მოვიზიდოთ ინვესტიციები, გაიხსნას გადამამუშავებელი საწარმოები და ა.შ., რაც შესაბამისად, პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ამისათვის რეფორმები უნდა გავატაროთ. ამ შემთხვევაში, რეფორმების გამტარებლები სამინისტროები არ არიან იმიტომ, რომ ნებისმიერი მინისტრი, მოადგილე, რომელიც 1-2 წლითაა მოსული, აუტკივარი თავის ატკიებას არასდროს დაიწყებს. კი ბატონო, ამაში შეიძლება უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთონ, მაგრამ ძირითადი აქცენტი ადგილობრივებზე უნდა გაკეთდეს და არა მოჩვენებითებზე ან იმ ექსპერტებზე, რომლებიც ბევრ ბრტყელ-ბრტყელ, ზოგად ფრაზებს ლაპარაკობენ, არამედ ისეთები შეირჩნენ რომელთაც უკვე შექმნილი აქვთ რაღაც და რეალური რეფორმების გეგმის დადება შეუძლიათ. ეს იქნება შველა. სხვანაირად, გვირაბის ბოლოს სინათლეს ვერ ვხედავ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ვინ გასცემს პასუხს ენერგოსისტემაში არსებულ პასუხგაუცემელ კითხვებს?

რატომ გაუძვირეს ელექტროენერგია ჩვენს მოსახლეობას ზემოგებაზე მომუშავე ენერგოკომპანიებმა და რატომ არ კლებულობს საქართველოში საწვავის ფასი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის მკვეთრი ვარდნის ფონზე? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „საერთო გაზეთს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ანალიტიკოსი, ეკონომისტი ANDRIA GVIDIANI ესაუბრა.

- იმ დროს, როცა „თელასი“ საპრივატიზაციოდ გამოიტანეს, ენერგომომარაგების კუთხით ქვეყანაში ძალიან დიდი პრობლემები გვქონდა და ლოგიკურად გამართლებული იყო მისი გასხვისება, თუმცა არსებობდა პრეტენზიები, ერთი შეხედვით გაბერილი ტარიფების მიმართ. რასაკვირველია, იყო კორუფციული გარიგების ნიშნები მაღალ პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან დაკავშირებით, რაც ბევრ რაღაცაში გამოიხატებოდა, თუნდაც საპრივატიზაციო თანხა ავიღოთ, მოგეხსენებათ, „თელასი“ ძალიან საეჭვო ფასად (25 მილიონი დოლარი) გაიყიდა. როცა ძალზე გიჭირს, შეიძლება გიღირდეს შედარებით იაფად გაყიდვა, გარკვეულ დათმობებზე შეიძლება წასულიყვნენ, მაგრამ ასეთი დიდი კომპანია, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი შეიძლებოდა უფრო მომგებიან ფასად გაყიდულიყო და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საინვესტიციო ვალდებულებები ჩადებულიყო. რაც შეეხება „ენერგოპროს“ შემთხვევას, აქაც ძალიან ბევრი კითხვებია კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა პრივატიზაციამდე საეჭვოდ გაზარდა (თითქმის გაორმაგდა) ელექტროენერგიის ტარიფი, თუმცა ეს საკითხი გასაიდუმლოებულია, ხელშეკრულებები არ საჯაროვდება, რაც ასევე ბევრ კითხვას ბადებს და ისინი იქამდე იარსებეს, სანამ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. „თელასის“ აქციების 75%-ს რუსული „ინტერ

რაო“ ფლობს და გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერგიის იმპორტის კუთხით, გარკვეულწილად რუსეთზე ვართ დამოკიდებული, საშუალება არ გვეძლევა გარკვეული მოთხოვნები დავაყენოთ“.

- ფაქტია, ელექტროენერგიის გაძვირება მძიმედ დააწვება ჩვენს ისედაც ეკონომიურად შეჭირვებულ მოსახლეობას, რომელიც გულისწყრომას გამოთქამს ხელისუფლების, განსაკუთრებით სემეკის მიმართ, რომელიც ტარიფის გაზრდას ყოველთვის აუცილებლობით ხსნის.

- ტარიფი რთული მეთოდოლოგიისაა, რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: ელექტროენერგიის შესყიდვა, გატარება, განაწილება-დისტრიბუცია ცალკე შესასყიდი ფასი აქვთ. სემეკმა ენერგოკომპანიებს ელენერგიის შესასყიდი და სადისტრიბუციო თანხა დაახლოებით სამი თეთრით შეუმცირა, რამაც მოახდინა ასე ვთქვათ, ოქროს შუალედის დაჭერა, აქედან გამომდინარე, დღეს სახეზე გვაქვს ყველაზე ოპტიმალური ტარიფი. არსებობს გარკვეული მოსაზრებები იგივე პოლიტიკოსების მხრიდან, რომ ტარიფი საერთოდ არ უნდა გაზრდილიყო, იმ შემთხვევაში, თუ ტარიფი არ გაიზრდებოდა, საკმაოდ დიდი პრობლემები შეიქმნებოდა ენერგოსექტორში, ენერგოკომპანიებს ელენერგიის შესყიდვის პრობლემა შეექმნებოდათ და დენის გრაფიკით მიწოდების საკითხი დადგებოდა. გაზრდილი ტარიფის ფონზე გრაფიკსა და მსგავსი სახის გართულებაზე საუბარი თითქმის გამორიცხულია, რადგან კომპანიებს ნორმალურად ფუნქციონირების გარემო შეექმნათ. სემეკმა მათ ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელენერგიის შესყიდვის ტარიფი უცვლელი დაუტოვა. „თელასმა“ 2015 წლის სექტემბრიდან 20016 წლის დეკემბრის ჩათვლით 3,3 მილიარდი კვტ/სთ ელენერგიის შესყიდვა უნდა მოახდინოს, აქ შედის, როგორც ჰესებისა და თბოელექტროსადგურების გამომუშავებული დენი, ისე იმპორტი (8%), რომელსაც ძირითადად რუსეთიდან ვღებულობთ. ამ კომპანიას მხოლოდ თბოელექტროსადგურის გამომუშავებულ დენსა და იმპორტზე გაეზარდათ ტარიფი, რაც 2017 წლის 1 იანვრამდეა დადგენილი. „თელასი“ 1,3 მილიარდ კვტ დენს ყიდულობს ჰესებიდან, დანარჩენი, ანუ უფრო დიდი წილი თბოელექტოსადგურების გამომუშავებულსა და იმპორტულ დენზე მოდის, რადგან ზამთარში მთლიანად ამ ელენერგიაზე ვართ დამოკიდებული, იქიდან გამომდინარე, რომ ჰესები ნაკლებ ელენერგიას გამოიმუშავებენ. ამგვარი ელენერგიის შესასყიდი ფასის გაზრდა ლარის კურსის მკვეთრმა რყევამ გამოიწვია, ყოველ შემთხვევაში მე სხვა მიზეზს ვერ ვხედავ.

- თუ მხოლოდ ზამთრის სეზონზე უწევთ ენერგოკომპანიებს შედარებით ძვირი

ელენერგიის შეძენა, მაშინ რატომ ვიხდით მთელი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ფასს, ან რამდენად სწორია საფეხურებრივი ტარიფის არსებობა, რომელიც მომხმარებლის დიდ უკმაყოფილებას იწვევს?

- სეზონური და დივერსიფიცირებული ტარიფი მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა გადასულია მეთოდზე, რაც დღეღამის მონაკვეთში ტარიფების განსხვავებას გულისხმობსა, უფრო მეტიც, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მომხმარებელი ხშირ შემთხვევაში საათების მიხედვით იხდის მოხმარებული ელენერგიის ტარიფს. სხვათა შორის, ყველზე დაბალ განვითარებად სეზონური ტარიფი ითვლება. მაგალითად რუსეთში დღეღამური ტარიფი მოქმედებს, რახან ღამე ნაკლებია დენის მოხმარება და შესაბამისად ტარიფიც ნაკლებია. საათობრივი ტარიფი რა თქმა უნდა, უფრო დახვეწილი სისტემაა. ელენერგიის მოხმარების პიკი 19-დან 22 საათამდეა და შესაბამისად ტარიფიც მაღალია. ცხადია, კარგია თუ ჩვენტანაც იმოქმედებს ასეთი სისტემა, მაგრამ ასეთ მოხმარების რეჟიმზე გადასვლას დიდი ინვესტიციები ჭირდება, საჭიროა სპეციალური მრიცხველი, რომ აღირიცხოს და ბაზაში გაიგზავნოს თითოეული აბონენტის მიერ მოხმარებული ელენერგიის რაოდენობა, დრო და თარიღი, თუმცა ამგვარი ცენტრის შექმნა და მრიცხველების შეცვლა საკმაოდ ძვირი ჯდება. ჩემი ინფორმაციით, ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც არის ენერგოსექტორში პოლიტიკის განმსაზღვრელი, მუშაობს იმ მიმართულებით, რომ გამოინახოს რესურსები და დაიდოს გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ხსენებულ ტარიფზე გადასვლა, თუმცა სამწუხაროდ არ ვიცი, როდის შემოგვთავაზებენ ამ ასე ვთქვათ ნოვაციას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ელენერგიის მოხმარების, ისე ტარიფების სტაბილურობის კუთხით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მოიხსნას პიკის პრობლემა, ზამთარში მაინც ყოველთვის გვექნება პიკი, მაგრამ საათობრივი პიკია ყველაზე რთული ენერგეტიკული ქსელისთვის, ასე რომ ტარიფის საათობრივ პრინციპზე გადასვლა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

რაც შეეხება საფეხურებიან ტარიფს, ვფიქრობ, სამართლიანობის საკითხი მაინც მეორე მხარეა. ხსენებული ტარიფის შემოღება უმიზეზოდ არ მომხდარა, როდესაც ელენერგიის შესყიდვა-მიწოდების პრობლემა გვქონდა და თავიდან ბოლომდე რუსულ ენერგოსისტემაზე ვიყავით დამოკიდებული, დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ რამენაირად შეგვემცირებინა მოხმარება და მინიმალურ დონეზე დაგვეყვანა მიწოდება. აპრობირებული მეთოდია, რომ თუ გინდა მოხმარება შეამცირო, მომხმარებელს სტიმულს აძლევ, რომ რამენაირად ნაკლები დახარჯოს. სწორედ ტარიფების სხვაობა იყო სტიმული, რომ მოსახლეობაში დაბალი მოხმარების მოტივი გაჩენილიყო. ამგვარი ტარიფი გარკვეულწილად სამართლიანობის მხრივაც გამართლებულად მიმაჩნია, თუ ადამიანი 100 კვტ/სტ-მდე ენერგიას მოიხმარს, შესაბამისად მისი მატერიალური მდგომარეობა არ არის სახარბიელო იმასთან შედარებით, ვინც 700-800 კვტ-ს მოიხმარს, დაბალი ტარიფით იმან უნდა გადაიხადოს, ვისაც ყველაზე მეტად ჭირდება დახმარება და თანხების ეკონომია.

- ეს „ჰუმანიზმი“ მეტნაკლებად გასაგებია, მაგრამ ჯერ ერთი, იმპორტზე მთლიანად აღარ ვართ დამოკიდებული, თანაც ელენერგიის მსხვილი მომხმარებლები ხომ ძირითადად საწარმოებია, რომლებიც ისედაც თითებზე ჩამოსათვლელია საქართველოში. თუკი ვამბობთ, რომ ადგილობრივი წარმოების, ეკონომიკის განვითარება გადაგვარჩენს, საფეხურებიანი ტარიფით და ელენერგიის კიდევ უფრო გაძვირებით ხომ საბოლოოდ ვახრჩობთ, ისედაც სულის მლაფავ საწარმოთა უმეტესობას?

- გეთანხმებით, მართლაც არასამართლიანია ამგვარი მიდგომა. თუკი ქვეყანა მოტივირებულია მან ატრიალოს. ვფიქრობ, არასწორია ენერგოკომპანიების სასათბურე პირობებში ჩაყენება და სახელმწიფოს მხრიდან მათი ყველა მოთხოვნის უსიტყვოდ შესრულება, ასე რომ, რასაკვირველია, გადასახედია პოლიტიკა ხსენებულ კომპანიებთან დაკავშირებით. ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ იურიდიულ პირებს არ უნდა ჰქონდეთ უაზრო ტარიფები, როგორც ელექტროენერგიაზე, ისე ბუნებრივ აირსა და წყალმომარაგებაზე. რახან გადახდის უნარი მაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ უნდა დამჩაგრო. მე თუ ბიზნესს ვაკეთებ, წარმოება მაქვს, ხალხს ვასაქმებ და თუნდაც პენსიონერზე მეტად გადახდის უნარიანი ვარ, ამიტომ ნუ დამჩაგრავ, მომეცი იმის საშუალება, რომ ბიზნესი განვავითარო, შესაბამისად დასაქმების კოეფიციენტი გავზარდო და უფრო მეტი ეკონომიკური დოვლათი შევქმნა ქვეყანაში.

- მედიასაშუალებით გავრცელდა ინფორმაცია საჯარო მოხელეების ხელფასებთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ სემეკის და კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლებს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებზე გაცილებით მაღალი (თითქმის ათჯერ) ხელფასები ჰქონიათ. ძალიან მეეჭვება, მარეგულირებლის შეფს ქვეყნის პრემიერზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდეს. რა პრინციპით აქვთ დანიშნული გაღატაკებული ქვეყნის მარეგულირებლებს კოლოსალური ხელფასები და ვინ უხდის თუნდაც სემეკს, რომელიც მომხმარებელის ინტერესების დაცვის მაგიერ, ფაქტობრივად ზემოგებაზე მომუშავე ენერგოკომპანიების ინტერესს იცავს და საერთოდ, რამდენად არის საჭირო ეს მარეგულირებლები?

- მაღალი ხელფასები რა თქმა უნდა, სამართლიანად აჩენს ბევრ კითხვას, თუ რატომ აქვს სემეკის თავმჯდომარე მილორავას (15.000 ლარი – მ.ს.) და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე აბაშიძეს ამხელა ხელფასები, შეფასება გამიჭირდება, რადგან არ ვიცი რა პრინციპით დათვალეს. მოდით, მაშინ ვთქვათ, რა პრინციპით უნდა დაითვალოს. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლებს ხელფასს თვითონ კომპანიები უხდიან, ხოლო სემეკი ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას, ანუ საბიუჯეტო სახსრებია. რაც შეეხება თვითონ სემეკის არსებობის საკითხს, ის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ინსტიტუციაა ქვეყნის ენერგოსექტორში, რომელსაც აქვს ძალიან მნიშვნელოვნად გაწერილი ფუნქციები. თუ სემეკმა არ დაარეგულირა ეს სფერო, არ გასცა ლიცენზიები, არ დაუწესა კომპანიებს ტარიფები, აბა ვინ უნდა იყოს რეგულატორი, კომპანიები თვითონ ხომ არ დაიწესებენ? სემეკს ძალიან ბევრი სამუშაოები აქვს ჩასატარებელი. მარეგულირებლებისთვის მაღალი ხელფასების დანიშვნას თავის დროზე იმით ახსნეს, რომ კორუფციის პრევენცია ხდებოდა. როგორც გითხარით შეფასება გამიჭირდება, თუმცა ვფიქრობ, არარეალურად მაღალი ხელფასებია და ეს საკითხიც გადასახედია, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რამდენი უნდა იყოს. როცა ამბობ, რომ მაღალია ხელფასი თუ ტარიფი, მაშინ იქვე უნდა თქვა, რამდენი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზედაპირული, პოპულისტური მსჯელობა გამოდის. ხშირად მომისმენია იგივე პოლიტიკოსებისგან, რომ დენის ტარიფი უნდა იყოს 8 ან 10 თეთრი, მაგრამ არცერთხელ მინახავს გაანგარიშებული, დასაბუთებული დოკუმენტი თუ რატომ უნდა იყოს.

მე სემეკისა და „თელასის“ დამცველად არ გამოვდგები, მაგრამ სემეკმა თავის დროზე განაცხადა, რომ „თელასის“ ტარიფების განხილვა საჯარო იყო და თუ ვინმეს გაქვთ რაიმე მოსაზრება, განცხადება შემოიტანეთო. ენერგოომბუდსმენთან შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრიც ვიყავი, ჩვენი მთავარი მიზანი იყო, რომ თუ ვინმეს ჰქონდა გაანგარიშებული დასკვნა ტარიფთან დაკავშირებით, წარმოედგინა და ენერგოომბუდსმენს ხსენებული საბჭოს საშუალებით შემდეგ წარედგინა მარეგულირებელი კომისიისთვის. მერწმუნეთ, არცერთი ასეთი განცხადება არ შემოსულა, მაინტერესებს სემეკის გარდა ვინმემ თუ დათვალა ტარიფის ოდენობა. ჩვენ ერთი ძალიან ცუდი თვისება გვაქვს, ყველგან განტევების ვაცის ძიებას ვიწყებთ, ენერგოსფეროს შემთხვევაში ყოველთვის სემეკი გამოდის ამ როლში, რადგან ის გვთავაზობს ასე ვთქვათ, თამაშის წესებს და ტარიფებს. მეეჭვება, რომ ვინმემ შემოგვთავაზოს საქმიანი წინადადება, რომელიც ფაქტებით იქნება გამყარებული, საქმიანი გეგმა და სემეკმა არ გაითვალისწინოს.

- მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი მკვეთრად ეცემა, მაგრამ საქართველოს ბაზარს ეს რატომღაც არ ეტყობა. საწვავის იმპორტიორები, ბუნებრივია ლარის გაუფასურებას მოიმიზეზებენ, მაგრამ ინფლაციის დაწყებამდეც ზუსტად იგივე ვითარება იყო. თუ მანამდე საწვავის ფასიდან ერთი ლარი მიხეილ სააკაშვილის ჯიბეში მიდიოდა, ახლა ვის ჯიბეში გადამისამართდა?

- ვფიქრობ, ის მოსაზრება, რომ საწვავი ერთი ლარით უფრო იაფი უნდა ყოფილიყო, გაზვიადებულია, რაც საკითხში გაურკვევლობის ბრალი მგონია, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ნავთობკომპანიები ანგელოზები არიან, რაც დაამტკიცა კიდეც კონკურენციის სააგენტოს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც დაჯარიმდნენ ეს კომპანიები. სააგენტომ დაადასტურა ის ეჭვები, რაც საზოგადოებაში არსებობდა კარტელურ გარიგებებთან (საწვავის სარეალიზაციო ფასებზე შეთანხმება) დაკავშირებით. რაც შეეხება ზოგადად ნავთობის ფასებს, არაკომპეტენტურია ის მოსაზრება, რომ თუ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი განახევრდა, საწვავის ფასიც უნდა განახევრდეს საქართველოში. ნავთობის ფასი კი დაეცა, მაგრამ არ შეცვლილა ტრანსპორტირების ხარჯი, საოპერაციო ხარჯი, გადასახადები... აქ მთელი ჯაჭვია, სანამ ნავთობი საცალო მომხმარებლამდე მივა და შემადგენელი კომპონენტების ღირებულება ხშირ შემთხვევაში არ შეცვლილა. რა თქმა უნდა, კითხვები არსებობს საწვავის ფასთან დაკავშირებით, მაგრამ ერთ ლარის და ფასების განახევრების შესახებ განცხადებები რეალობას არის მოკლებული. ამ შემთხვევაშიც არ არის არანაირი კონკრეტული გათვლა თუ რატომ უნდა განახევრდეს ფასი. ხასგასმით ვამბობ, რომ არსებობს ნავთობკომპანიებთან კითხვები, რომელიც გამყარებულია კონკურენციის სააგენტოს ჩემი აზრით, ძალიან სწორი მუშაობის შედეგით, როცა დაახლოებით ორი თვის წინ გამოვლინდა ნავთობკომპანიებს შორის კარტელური შეთანხმება. მე რომ ახლა ვთქვა, საწვავიდან ერთი ლარი რომელიმე პოლიტიკოსის ჯიბეში მიდის, მაშინ ისიც უნდა ავხსნა, რის საფუძველზე ვამბობ ამას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს განცხადება თავის გამოჩენას ემსახურება. ენერგომატარებლები ის თემაა, სადაც ყველაზე მეტად შეიძლება პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ქულები ჩაწერა, პოპულიზმის პირდაპირი წყაროა. თითქმის ყველა პოლიტიკოსი პირდება ამომრჩეველს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ენერგომატარებლებზე ფასებს გაანახევრებს, არ ვიცით თქვენ თუ გინახავთ, მაგრამ ნამდვილად არ მინახავს რომელიმე პოლიტიკოსის ან ექსპერტის მიერ მომზადებული ხუთგვერდიანი დოკუმენტი მაინც, სადაც გაანგარიშებული იქნება რა უნდა ღირდეს ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი თუ საწვავი, ან დაკონკრეტებული ის პოზიცია თუ როგორ მიდის ვილაცის ჯიბეში ის ყბადაღებული ერთი ლარი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ვინ ცდილობს კახელი მევენახეების ხარჯზე ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვას?

წლევანდელი რთველი კახეთში ჯერ დაწყებულიც არ იყო, ყურძენზე ფასების გაზრდის მოთხოვნით სამ ქალაქში საპროტესტო აქციებმა იფეთქა. ერთი შეხედვით გასაკვირი თითქოს არაფერია, როდესაც მევენახეები თავიანთი ნაშრომის ღირსეულ ანაზღაურებას ითხოვენ. თუმცა, როგორც გამოჩნდა, საქმე მარტივად სულაც არ ყოფილა.

დავიწყოთ იმით, რომ მოსახლეობის უკმაყოფილებით „ნაცმოძრაობის“ წევრებმა ისარგებლეს და საკითხის პოლიტიზირებას და, რაც მთავარია, ქვეყანაში თუ არა, რეგიონში მასობრივი არეულობის მოწყობას შეეცადნენ. როდესაც პოლიტიკური პარტია, ისიც ოპოზიციური, სათავისოდ იყენებს ქვეყანაში წარმოქმნილ მოვლენებს, გასაგებია, მაგრამ საკითხავია, ვინ აკეთებს ამას. „ნაცმოძრაობის“ მატრაბაზობამ ზენიტს მიაღწია!

და არც კონკრეტულ ქარხნებს ასახელებენ. ერთს კი მიგვანიშნებენ, სად და ვინ გამართა აქციებიო. აქვე იმასაც ამბობენ, რომ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნისას ღვინის ქარხნების ნაწილი საერთოდ განადგურდა, ნაწილი კი ამ პარტიასთან დაახლოებულმა პირებმა შეიძინესო. აქედან გამომდინარე, ხალხში უკმაყოფილების გამოწვევა ძნელი სულაც არ ყოფილა. ამასთან, რაც უფრო იაფად შეიძენენ ყურძენს, მით უფრო მეტ მოგებას ნახავდნენ. ამიტომ ჩავუთვალეთ დღევანდელ ხელისუფლებას ერთ-ერთ შეცდომად ყურძნის ფასზე ნიხრის დაუწესებლობა. მეორე შეცდომა ის გახლავთ, რომ ღვინოზე წარმოების კონტროლი, როგორც ჩანს, დაბალია.

როგორც გავიგეთ, საქართველოში თურმე 50-მდე ღვინის მწარმოებელი კომპანია საქმიანობს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველა მათგანს აქვს საკუთარი ვენახები და იქიდან იღებენ ყურძენს. საკითხავია, საიდან იღებენ ნედლეულს პროდუქციის საწარმოებლად? ასეთ შემთხვევაში, ანუ 50 ღვინის მწარმოებელი კომპანიის პირობებში ყურძნის ფასი უნდა გაზრდილიყო, თავად ღვინის ქარხნებს შორის უნდა ყოფილიყო ყურძნის შესყიდვაზე კონკურენცია, დღეს კი რატომღაც პირიქით მოხდა, ყურძენზე ფასები დააგდეს. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ საქართველოში გასაყიდი ღვინის ხარისხი დაბალია! ისიც საკითხავია, საერთოდ ყურძნისგან კი მზადდება ის ღვინო, რაც ჩვენთან იყიდება?

ეს ის ხალხია, რომლებიც გლეხებს ვენახის აჩეხვაში და არა ყურძენში უხდიდნენ ფულს! ეს ის ხალხია, რომლებიც მიზერულ ფასად ჩაბარებული ყურძნის საფასურს მოსახლეობას წლობით არ უხდიდნენ! ეს ის ხალხია, რომლებმაც საქართველოში სოფლის მეურნეობა განადგურების პირამდე მიიყვანეს! ახლა კი მოსახლეობაზე მზრუნველებად გვევლინებიან, უბრალოდ, სასაცილოა.

ქვეყნის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ გაზაფხულზე განაცხადა, რომ სახელმწიფო წელსაც გასცემდა სუბსიდიას ჩაბარებულ ყურძენზე. თუმცა, იქვე აცხადებდა, რომ ფასს ბაზარი დაარეგულირებდა და ხელისუფლება კერძო ბიზნესში არ ჩაერეოდა. ჩვენი მოკრძალებული აზრით, ხელისუფლების ერთ-ერთი შეცდომა ის გადლდათ, რომ ყურძნის ფასი თვითდინებაზე მიუშვა.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში გასაყიდად გამოტანილი პროდუქციის ხარისხი დაბალია. განსაკუთრებით ჩამოსასხმელი ღვინო იწვევს მომხმარებლის უკმაყოფილებას. საქართველოში კი ღვინის გარეშე არ არსებობს არც ლხინი და არც ჭირი. სავარაუდოდ, ამით სარგებლობენ არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები. კარგი, ნორმალური ღვინის დეფიციტი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში იგრძნობა. ხომ არ იქნებოდა უპრიანი, თუნდაც ერთი ღვინის ქარხნის აშენება ამ რეგიონში, სადაც კახეთიდან, ქართლიდან ჩაიბარებდნენ ყურძენს და იქაურ მოსახლეობას აღარ დასჭირდებოდა ღვინის ყიდვისთვის რამდენიმე ასეული კილომეტრის დაფარვა. ფალსიფიცირებული პროდუქციაც ნაკლებად გაიყიდებოდა. ამით მოსახლეობაც აიცილებდა იმ დაავადებებს, რასაც ფალსიფიცირებული, ფაქტობრივად, საწამლავი სასმელი იწვევს.

რაც შეეხება საექსპერტო ნაწარმის ხარისხზე ვერაფერს გეტყვით. ერთი კი აშკარაა, რომ დღეს მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც უხარისხო პროდუქციის გასაღება შესაძლებელია.

ყურძენზე ფასების მანიპულირებაში საქმეში ჩახედული ხალხი ძირითადად ღვინის მწარმოებლებს ადანაშაულებს. გარკვეული მიზეზების გამო ეს ადამიანები ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებენ

ქართველი გლეხი ღვინოსთან ერთად ყურძნის ნარჩენებისგან შემდეგ არაყსაც ხდიდა. ყურძნის წიპწის ზეთს მსოფლიო ბაზარზე მართლაც ოქროს ფასი აქვს. განა არ შეიძლება ამ პროდუქციების ქარხნული წესით გამოშვება? მთავარი მონდომებაა, თორემ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება.

დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთის ალტერნატიული გასაღების ბაზრის მოძიებას უკიჟინებენ. ჯერ ერთი, მთავარია, არსებული ბაზრების შენარჩუნება, თორემ ახალი ბაზრის მოძიება და იქ დამკვიდრება იოლი სულაც არ არის, მით უფრო, ღვინის ბაზარზე. ახლახან ჩინეთში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მყოფმა საქართველოს მთავრობამ ამ ქვეყანასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვითაც, ამ ქვეყნის ბაზარზე ქართული ღვინო გაიყიდება. ამასთან, სოლიდური რაოდენობით. ამ დროს კი ღვინის მწარმოებლები ყურძენს აიაფებენ!

დაბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი გლეხობა მთავრობისგან უყურადღებობას ნამდვილად არ უნდა უჩიოდეს, უბრალოდ, ვნახოთ, რამდენი თანხა დაიხარჯა ბოლო ორ-სამ წელში სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი და არაკეთილმოსურნე პოლიტიზირებული „მეწარმე-ბიზნესმენის“ ქმედებით, ნაბან წყალს ბავშვსაც ნუ გადავაყოლებთ.

გია ბურდული
551 712 707

„თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიცხოვროთ არა ისე, რომ მხოლოდ ჩვენ ვიყოთ კარგად, არამედ სხვებიც, მთლიანად ჩვენი ქვეყანა იყოს ბედნიერი და წარმატებული“

სტუმრად ბატონ ფრიდონ თოდუასთან

ფრიდონ თოდუა –

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი;

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო რადიოლოგიის რეზიდენტურის პროგრამის დირექტორი;

საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მინიჭებული აქვს პროფესორის წოდება. დააარსა და დღემდე ხელმძღვანელობს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ხელმძღვანელობს სამედიცინო აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის კათედრას ენდოსკოპიის კურსით. არის საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს რეზიდენტურის სასწავლო პროგრამის დირექტორი, სპეციალობა – „სამედიცინო რადიოლოგია და რენტგენოლოგია“.

არის 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 12 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის, 2 მონოგრაფია გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ, მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებაზე, არის 81-ზე მეტი სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, 200-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე.

ა.ა. ვიშნევსკის, ა. ვ. ვიშნევსკისა და ა. ჩაჩავას პრემიების ლაურეატი სამედიცინო მეცნიერების განვითარებისათვის. სსრკ და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორი ორდენით, მიღებული აქვს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, დაჯილდოებულია ევროპის ღირსების ორდენით ერთიანი ევროპის მშენებლობაში შეტანილი ღვაწლისათვის, მალტის ორდენით, მიღებული აქვს ბელგიის სამეფო კარის შევალიეს წოდება. ანდრია პირველწოდებულის ორდენი და ალბერტ შვაიცერის ორდენი „ჰუმანიზმისა და ხალხის სამსახურისათვის“. საფრანგეთის მთავრობის მიერ დაჯილდოებულია ჯილდოთი – „მადლიერების ჯვარი“ დიდი ქველმოქმედებისა და საქმის ერთგულებისათვის. ზაზა ფანასკერტელის დიდი ოქროს მედლით, გ. მუხაძის მედლით „ქართული ქირურგიის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის“, ივ. ჯავახიშვილის ოქროს მედლით „საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო სწავლების აღდგენისა და მედიცინის ფაკულტეტის აღორძინების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის“. მინიჭებული აქვს ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობითი პრემია მონოგრაფიისათვის „ცერებროვასკულარულ პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“. არჩეულია ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრად. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით, პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით. აკად. გრიგოლ მუხაძის სახელობის პრემიით. აკად. ფერდინანდ თავაძის საპატიო მედლით „მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის განვითარების“ ხელშეწყობისა და მხარდაჭერისათვის“. არის მფლობელი საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოსი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენისა „საქართველოში მედიცინის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამახსოვრო მედლით უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარების ხელშეწყობისათვის.

– ბატონო ფრიდონ, უამრავი კმაყოფილი პაციენტი გყავთ. ძალიან ბევრი ადამიანი უდიდეს პატივს გცემთ. კარგია, რომ საქართველოში ხართ, მაგრამ მაინც, რა გახდა თქვენი მოსკოვიდან წამოსვლის მიზეზი?

– მე ვიყავი ძალიან პოპულარული კაცი მოსკოვში და მთლიანად საბჭოთა კავშირში, მიღებული მქონდა მრავალი ჯილდო, საკავშირო პრემიები, ხარისხები, იქ გავხდი პროფესორი, მაგრამ ქართველებს ყოველთვის გვქონდა და გვაქვს ის შეგრძნება, რომ ყოველი ქართველი ვალდებულია ოდესმე დაბრუნდეს სამშობლოში. ჩემში ყოველთვის იყო სამშობლოს ძახილი, ყოველთვის თან მახლდა განცდა – მე უნდა დავბრუნდე საქართველოში.

ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა რომ მიიღო, აღფრთოვანებული ვიყავით მოსკოვში მყოფი ქართველები. ეროვნული შეგრძნება ძალიან მაღალი იყო. ხალხი ფიქრობდა, აი, გავა ექვსი თვე და ჩვენი სამშობლო აყვავდება – ჩაი, მარგანეცი, მინერალური წყლები, ციტრუსი და ა.შ. აგვაშენებს, უძლიერესი ქვეყანა გვექნებაო.

სამეგრელოში რომ ჩამოვედი იმ ხანებში, მეზობელმა მითხრა, მარტო ჩვენი კამეჩის რძის ნაწარმით მსოფლიოს ბაზრებს დავიპყრობთო.

ხალხს ეგონა, რომ საქართველო მალე ახალი შვეიცარია გახდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ დავხოცეთ ერთმანეთი, დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო...

რა გვჭირს ქართველებს, ვერ გავიგე?!

სად მივდივართ? რატომ ვჩქარობთ?!

ყველა ყოფილმა საბჭოთა ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობა ისე, რომ არ დაუხოცავთ ერთმანეთი.

ქართველებს ყველაფერი დღეს გვინდა, ხვალამდე ვერ ვითმენთ, არადა, ჩქარა არაფერი კეთდება.

მე, როცა საქმეს ვიწყებ, ყოველთვის მაქვს მიზანი და ამ მიზანს ეტაპობრივად ვახორციელებ.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა. აქ ყველა ნიჭიერია, თუმცა, იცით, როგორც ჩანს, ვინც „ანაწილებდა“ დედამიწაზე მიწებს, ყველაზე უკეთესი ჩვენ მოგვცა, მაგრამ ვერ მოვუარეთ. ეს გვაჩვენა ბოლო წლებმაც.

მოთმინება გვაკლია, სიფიცხეს უნდა ვძლიოთ.

აი, თქვენ მკითხეთ, როგორ, რატომ დავბრუნდი, რა დამხვდა, რას ველოდით.

სანამ რუსეთში ვიყავი, საქართველოში ყველგან ისმოდა ჩემი სახელი. რომ ჩამოვედი, კაციშვილს არ გავხსენებივარ.

ძალიან გამიჭირდა თავიდან. ხშირად ვფიქრობდი უკან, მოსკოვში დაბრუნებაზე.

ბილეთიც ავიღე წასასვლელად.

მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბაკურ გულუა იყო. მოვიდა აეროპორტში, გაგაცილებო. ბილეთი მაჩვენეო, მთხოვა. დამიხია ის ბილეთი და მოვბრუნდი უკან.

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი 1991 წელს დაარსდა. ის საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულებაა.

აღჭურვილია ულტრათანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით, აღიარებული ლიდერია რადიოლოგიისა, ონკოლოგიის, ქირურგიის, ლაბორატორიული მედიცინის მიმართულებებში.

კლინიკა ქვეყნის სათაო დაწესებულებაა რადიოლოგიის დარგში.

ასე დავრჩი საქართველოში.

— მაინც, რატომ ბრუნდებოდით უკან, მოსკოვში?

— შეიძლება ითქვას, სამუშაო არ მქონდა. მპირდებოდნენ, შეგიქმნით სამუშაო პირობებსო და ა.შ. მაგრამ კომუნისტები წავიდნენ, მოვიდა ახალი ხელისუფლება, ჩემთვის არავის ეცალა. არც სამუშაო, არც ოთახი, არც საცხოვრებელი ბინა, არაფერი არ მქონდა.

— ბატონო ფრიდონ, ყველანი ჩვენი ფესვებიდან მოვდივართ, რა არის თქვენთვის სამეგრელო?!

— მე ზუგდიდში დავიბადე, იქ დავრბოდი ფეხშიშველი, ბებიასგან, ბაბუასგან უდიდეს სითბოს ვიღებდი. ქართულზე ადრე ჩემი კუთხის ენა შევისწავლე. მერე დავხვეწე ქართული, რუსული...

ყველას უყვარს ის ადგილი, სადაც გაჩნდა. მეგრელს — სამეგრელო, გურულს — გურია. ეს არის ჩვენი სიმდიდრე. ჩემს სამეგრელოს ვერაფერში ვერ გავცვლი.

ახლაც რომ ჩავდივარ სამეგრელოში სხვა ძალით ვივსები. მიყვარს სამეგრელო.

მეგრელი კაცი რომ მოდის ჩემთან, გვარს მეუბნება და მეგრული არ იცის, მწყინს, რაღაცნაირად. სამშობლოს განცდაა ეს, მეგრელობის, ანუ ქართველობის განცდა.

ღმერთმა ნუ დაუკარგოს საქართველოს, ქართველებს, კუთხის, წინაპრების საფლავები და მშობლიური გრძნობა.

ის თუ დავკარგეთ, რასაც მშობლები გვინერგავდნენ, დავკარგავთ ყველაფერს. მთელ ცხოვრებას დავკარგავთ.

აი, დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო.

ტრაგედია მოხდა.

დიდი მონატრებით ვიხსენებ აფხაზეთს.

ბევრ კარგ აფხაზს ვიცნობდი. ვმეგობრობდი მათთან.

ინსტიტუტს პროფესიული სამეცნიერო კონტაქტები აქვს მსოფლიოს წამყვან საუნივერსიტეტო კლინიკებთან აშშ-ში, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, რუსეთში, თურქეთში. მჭიდროდ თანამშრომლობს სამედიცინო აპარატურის მწარმოებელ მსოფლიოს ყველა უდიდეს ფირმასთან.

თანამედროვე სადიაგნოსტიკო განყოფილებებთან ერთად ფუნქციონირებს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ხუთი საოპერაციო ბლოკი და სტაციონარი ინტენსიური თერაპიის განყოფილებით. მუშაობს კლინიკურ-დიაგნოსტიკური განყოფილებები, ლაბორატორიები ჩართულია პაციენტთა კვლევების მონაცემთა ერთიანი ელექტრონული არქივების სისტემაში.

ინსტიტუტი მონაწილეობს საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში.

2008 წლის ივლისის ბოლოს სერგეი ბაღაფშს უნდა შევხვედროდი, მაგრამ დამირეკა —სასწრაფოდ წასვლა მომიწია სოხუმში. ჩემო ფრიდონ, იქნება კარგი ქართული ღვინო გამომიგზავნოო, მთხოვა...

ვიომეთ. ვიბრძოლეთ და რა მერე? მთელი ქართული გენოფონდი ჩაიწურა და ჩაიშალა ამ არაფრისმომტან ომებში.

რატომ მოხდა ყოველივე ეს, ამას ისტორია შეაფასებს.

— თქვენ შევარდნაძესთანაც გქონდათ კარგი ურთიერთობა.

— დღეს ასე შემიძლია შევაფასო: ედუარდ შევარდნაძე იყო დიდი პოლიტიკოსი.

სტალინი, ბერია და შევარდნაძე. ისტორია იტყვის თავის სათქმელს.

ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი, ეს იყო და არის ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი.

— მაგრამ ომები მაინც მოხდა.

— პოლიტიკოსმა ლავირება უნდა შეძლოს. შევარდნაძე ამას ახერხებდა.

უარესი სიტუაცია იქნებოდა, ის რომ არ ყოფილიყო.

არ ჩამოვთვლი გვარებს. მათი შეჩერება არ იყო ადვილი. ქვეყანა კატასტროფისკენ მიდიოდა და შეწყდა სისხლისღვრა...

საქმე ისაა, რომ ყველამ უნდა მოვუაროთ ჩვენს საქართველოს. ერთმანეთის ჯიბრს და ქიშპობას თავი უნდა დავანებოთ.

— არ ვაპირებდი პოლიტიკაზე საუბარს. მაინც იქამდე მივედით.

— ჩვენ, ყველანი, პოლიტიზირებულნი ვართ. ყველა ველოდებით, რა მოხდება პოლიტიკაში. სხვა არაფერი გვაინტერესებს?!

ორწამიანი გადაცემა იყო ტელევიზიით რუსში სავადმყოფოს მშენებლობაზე, არადა, ეს არის უმნიშვნელოვანესი რამ. ამის უფრო ფართოდ გაშუქება შეიძლებოდა, ჩემი აზრით, აუცილებელიც კი იყო.

ტელევიზორში სერიალები და ნახევრადშიშველი ადამიანები გამოჰყავთ. დგამენ შოუებს, თითქოს გასართობიაო, სინამდვილეში გონებას უწამლავენ ადამიანებს. ეს არის ხალხის მიზანმიმართული ფსიქოემოციონალური გადატვირთვა, რაც ჯანმრთელობაზე მოქმედებს.

საზღვარგარეთაც არის კომერციული ტელევიზიები. ზომიერების ფარგლებში უნდა ვაჩვენოთ ყველაფერი. საერთოდ, ზომიერი ცხოვრება უნდა ვისწავლოთ.

ახლა ვამბობთ, რომ კაპიტალიზმში ვცხოვრობთ, მაგრამ აი, ვინ ვარ მე. მე სოციალისტური წყობის, უხეშად რომ ვთქვა, პროდუქტი გახლავართ. სოციალიზმში გაზრდილი, მაგრამ ბევრს არ შეუძლია ჩემი ეს სიტყვები უცბათ აღიქვას ისე, რა მნიშვნელობითაც ვთქვი.

ზოგიერთმა საღამოს დაიძინა სოციალიზმში და დილით კაპიტალიზმი დახვდა. ამიტომ ხალხმა არ იცის, რა არის კაპიტალიზმი.

ადრეც ხშირად დავდიოდი კაპიტალისტურ ქვეყნებში, გვაჩვენებდნენ ფასადს, მაგრამ რა ხდებოდა ფასადს მიღმა, ეს არ ვიცოდით, არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, შიმშილი, უსახლკარობა და ა.შ.

სოციალიზმის დროს უფასო იყო სწავლა, მკურნალობა, მეცნიერება უმაღლეს დონეზე იყო. ამ 25 წლის განმავლობაში რა შევქმენით კულტურის მხრივ, მეცნიერების კუთხით. თითქოსდა გავშეშდით ერთ ადგილას.

რა მოგველის, როგორ უნდა ვიცხოვროთ?! — ხშირად ვფიქრობ ამაზე.

ჩვენ პატარა ერი ვართ.

ალყაშემორტყმულნი ყოველი მხრიდან. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიცხოვროთ არა ისე, რომ მხოლოდ ჩვენ ვიყოთ კარგად, არამედ სხვებიც, მთლიანად ჩვენი ქვეყანა იყოს ბედნიერი და წარმატებული.

რამდენიმე ხნის წინ ჩემს მეგობართან, მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთან თამაზ გამყრელიძესთან ერთად ვიდექი მეცნიერებათა აკადემიის კარებთან, ბატონ თამაზს ე. წ. ექსპერიმენტი შევთავაზე — გამვლელებს შევეკითხები, სად არის მეცნიერებათა აკადემია, ვნახოთ, რამდენს ეცოდინება-მეთქი. ვისაც შევეკითხეთ, არავინ იცოდა, არადა, აკადემიის კართან ვიდექით.

— სოციალიზმი ახსენეთ, რომელიც ცალსახად რუსეთთან ასოცირდება.

რუსეთი დღეს ბევრს არ უყვარს საქართველოში.

— მხატვრულად რომ ვთქვა, ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ, აივანზე ერთმანეთს ვხვდებით, მაგრამ გაბუტულები ვართ, ერთმანეთს არ ველაპარაკებით. როგორი შემთხვევაა ეს, თავად განსაჯეთ.

ჩვენს შორის მოხდა ტრაგედია, მაგრამ ამერიკასა და იაპონიას შორის 1945 წელს რომ საშინელება მოხდა, იმის მსგავსი ხომ არაფერი ყოფილა. ამერიკა და იაპონია დღეს ურთიერთობენ, სტრატეგიულ პარტნიორებად ითვლებიან.

არ შეიძლება „ოკუპანტის" ძახილი გამუდმებით. მაგრამ კარგი, ვეძახოთ ოკუპანტი, რას მოვიგებთ აქედან? აფხაზეთს და სამაჩაბლოს არავინ დაგვიბრუნებს მოლაპარაკებების გარეშე, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევძლოთ ეს. რუსეთთან ურთიერთობის დალაგება არ ნიშნავს ევროპის, ევროინტეგრაციის კურსის უარყოფას!

— თქვენ გისმენენ. არ მიგიციათ რჩევები ქვეყნის ხელმძღვანელებისთვის?

— წინა პრეზიდენტთან ხშირად მქონია ამაზე საუბარი. მათი თხოვნით ბევრჯერ წავსულვარ მოსკოვში. 2008 წლამდე სააკაშვილის მთავრობას ჰქონდა კონტაქტები რუსეთთან. მე თვითონ ვიყავი 2008-მდე რუსეთში სპეციალური მისიებით.

დღემდე მჯერა, რომ უნდა



12 gv.

„თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიცხოვროთ არა ისე, რომ მხოლოდ ჩვენ ვიყოთ კარგად, არამედ სხვებიც, მთლიანად ჩვენი ქვეყანა იყოს ბედნიერი და წარმატებული“

11 gv.

გამოინახოს საერთო ენა.

— ხომ ეუბნებოდით ამას სააკაშვილსაც?

— მე ყოველთვის ვამბობ ამას ღიად, პრესაშიც, ტელევიზიითაც, რომ უნდა შედგეს დიალოგი რუსეთთან. აღსდგეს დიპლომატიური ურთიერთობა, თუ გვინდა, დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო.

პოლიტიკოსი უნდა იყოს დინჯი, აწონილ-დაწონილი უნდა იყოს მისი სიტყვა.

ადრე ზრდიდნენ კადრებს როგორც სხვა სპეციალობებისთვის, ასევე პოლიტიკისთვისაც.

წელან ვილაპარაკეთ, რუხში შენდება დიდი საავადმყოფო, მაგრამ ვინ უნდა იმუშაოს იქ. სად არიან კვალიფიციური კადრები?!

— ამ თვალსაზრისით ქართული მედიცინა რა მდგომარეობაშია?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ქართული მედიცინა დღეს არის ძალიან მაღალ დონეზე. კარდიოქირურგია, ონკოქირურგია, ზოგადად, ონკოლოგია განვითარების მაღალ საფეხურზეა. საქართველოში არის კლინიკები, რომლებიც თავიანთი კადრებით და ტექნოლოგიური აღჭურვილობით ევროპის კლინიკებს არ ჩამოუვარდება. მაგრამ, ჩვენს კლინიკაში არის ისეთი ახალი ტექნოლოგიური დანადგარები, რომლებიც შესაძლოა, ევროპის ბევრ კლინიკაში არც იყოს. უნიკალური ოპერაციები ტარდება ქვეყანაში, მაგრამ არ შუქდება ეს. არ წერენ, არ აჩვენებენ ტელევიზიებით.

შარშან ჩვენმა ინსტიტუტმა 10 მლნ-იანი ინვესტიცია განახორციელა სხივური თერაპიის მიმართულებით, ასეთი აპარატურა არც რუსეთშია და არც ევროპის ბევრ სახელმწიფოში. სამწუხაროდ, არავის გაუშუქებია ეს.

— თქვენზე ამბობენ, რომ შეუსვენებლად მუშაობთ. როდის ისვენებთ, ბატონო ფრიდონ?

— როცა ვმუშაობ, მაშინ ვისვენებ.

მოსკოვში ამბობდნენ ჩემი ქართველი მეგობრები, ჩვენ დავისვენებთ დიდუბის პანთეონში, და იქვე ხუმრობით კითხულობდნენ — ვინ დაგვაწვენსო. მე ვპასუხობდი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საქართველოსთვის და სად დაგვაწვენენ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი.

არ მიყვარს უსაქმური კაცი. მშრომელ ადამიანებს დიდ პატივს ვცემ.

ადამიანს, რომელიც, სავარაუდოდ, სამსახურში უნდა ავიყვანო, სხვა კრიტერიუმებთან ერთად ვამოწმებ იმაშიც, არის თუ არა მოწესრიგებული.

— ექიმობა რა არის თქვენთვის.

— ბავშვობიდან მინდოდა ექიმი გამოვსულიყავი. რომ წამოვიზარდე, ვიშნევსკის ქირურგიის ინსტიტუტში მოხვედრაზე დავიწყე ფიქრი. ყველაფერს დაუღალავი შრომით მივაღწიე.

— როგორი დამოკიდებულება გაქვთ ქალბატონებთან?

— მამაკაცი უნდა იყოს კაცი. მამაკაცს უნდა უყვარდეს ქალი, პატივს უნდა სცემდეს. აი, მე და ჩემი მეუღლე 40 წელიწადია ერთად ვართ. რომ არ ვაფასებდე, ასე არ იქნებოდა. ის არის ჩემი მეგობარი ყველა საქმიანობაში.

გული მწყდება, რომ ახალგაზრდები უეცრად ქორწინდებიან და ასევე უეცრად შორდებიან.

ეკონომიკური მდგომარეობა არ უნდა იყოს მთავარი. მთავარი სიყვარული უნდა იყოს!..

— როგორ ფიქრობთ, საქართველოში უკეთესი ცხოვრება იქნება? ხედავთ ნაბიჯებს წარმატებებისკენ.

— იცით, მეტს მოველოდი.

— თქვენ ქართული ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს დაეხმარეთ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. უმკურნალეთ. ქართული ინტელიგენცია, ვისაც აქვს ღვაწლი საქართველოს წინაშე, იმსახურებს ამას!

— ადამიანმა, რომელმაც იშრომა, შექმნა თავისი დროის ეპოქა, ახლა მოდის, არ აქვს საშუალება, რომ იმკურნალოს და მე როგორ შემიძლია თავს უფლება მივცე, არ დავეხმარო?

* * *

საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი **მანანა ნინიძე**: „ინსტიტუტს და მის პერსონალს პროფესიული კონტაქტები აქვს მსოფლიოს წამყვან საუნივერსიტეტო კლინიკებთან გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, აშშ-ში, ბელგიაში, რუსეთში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში.

კავშირები გვაქვს სამედიცინო აპარატურის მწარმოებელ მსოფლიოს ყველა უდიდეს ფირმასთან, რომლებიც ინსტიტუტს ინფორმაციას აწვდიან უახლესი ტექნოლოგიების თაობაზე“...

* * *

ინსტიტუტში კომფორტული და მშვიდი გარემოა. პაციენტების სახეებზე არ იგრძნობა დაძაბულობა, შიში. აქ არ დგას პაციენტთა რუტინული რიგები ექიმების მოლოდინში. წესრიგი აქ მთავარი ფაქტორია. თუმცა მოლოდინიც არ არის მძიმე და აუტანელი. ავადმყოფები რბილ, ძვირფას სავარძლებში სხედან, უსმენენ კლასიკურ მუსიკას და ათვალიერებენ ქართველ მხატვართა ნამუშევრებს.

ეს კლინიკა კი არა გალერეაა. თანამედროვე ხელოვნების იშვიათი ნიმუშების მუდმივმოქმედი ვერნისაჟი, რომლის ავტორი, თვით ბატონი ფრიდონ თოდუაა. კაცი, რომრლმაც არაფრისგან შექმნა ულტრათანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, ევროპაში ერთ-ერთ ნომერ პირველ კლინიკად აღიარებული კლინიკა, სადაც მკურნალობენ როგორც ჩვენი თანამემამულეები, ისე აფხაზეთიდან ჩამოსული ჩვენი მეგობრები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები და ა.შ.

ერთგან წამიკითხავს ადრე — ყველაფერი უნდა უთხრა მღვდელს და ექიმსო. ბატონი ფრიდონი ისეთი გულღია თვალებით უყურებს ყველას, რომ შეუძლებელია მას არ ენდო. ენდო, ნიშნავს, რომ ნახევრად განიკურნო.

თოდუას კლინიკაში მკურნალობა ჯანმრთელობის გარანტიაა!

ირანდა კალანდაძე
593 561 118

ფრიდონ თოდუას სახელობის კლინიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ონკოლოგია.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს თორაკო-აბდომინალური ქირურგიის განყოფილება, ნეიროქირურგიის, ოპერატიული გინეკოლოგიის, მამოლოგიური, ქირურგიული ორთოპედიის, ქირურგიული უროლოგიის, ანესთეზიისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებები. აქვეა რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტი, ქიმიოთერაპიის, კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის, რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკის, ბირთვული მედიცინის, ენდოსკოპიისა და ენდოქირურგიის, კარდიოლოგიის, ნევროლოგიის, კონსერვატიული გინეკოლოგიისა და რეპროდუქციული მედიცინის, საშვილოსნოს ყელის პათოლოგიიის, ოფთალმოდიაგნოსტიკის, თერაპიის, რევმატოლოგიის, ებდოკრინოლოგიის, დერმატოლოგიის, ალერგოლოგიის, ფიზიო-ლაზერთერაპიის, კლინიკური კვლევების განყოფილებები. უახლესი და უნიკალური აპარატურით აღჭურვილი კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორია, იმუნოლოგიის, ბაქტერიოლოგიური, პათომორფოლოგიის, ონკოლოგიური გენეტიკის ლაბორატორიები.

რატომ აგინებს ქართველებს თვითმარქვია ეროვნული გმირი ანუ მოსიარულე პოლიტგვამი?

„ჰაა, ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში რუსეთის ნაბოზვარო მონებო და აგენტებო! ჯერ სად ხართ თქვე სამშობლოს გამყიდველო და თავისუფლების მტრებო, აუცილებლად და ყოველმიზეზგარეშე, რუსეთთან ერთად, საშვილთაშვილოდ და სამუდამოდ გეტირებათ დამსმელი დედები და კეთილები!“

ვისზედ მეტყველებს ეს კაცი, ვინმემ ხომ არ იცით?

ეს ის ირაკლი წერეთელია, რომელიც თვლის, რომ მას აქვს სახელოვანი და ჰეროიკული ბიოგრაფია და თახსირნი და რუსეთის ძუკნები ჯეროვნად ვერ აფასებენ. მისი სიტყვებია: – „შეუვარდეთ „კოლხურ კოშკში“, ავიყვანოთ მძევლად მისი ცოლ-შვილი და მერე ზვიად გამსახურდიასაც მოვუვლით!“ (1991წ.)

წერეთელმა ამა წლის 27 აპრილს შიმშილობის დაწყება გამოაცხადა მისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოთხოვნებით რომელიც მოკლედ ასე გამოიყურებოდა: შეწყდეს ყოვლად გაუმართლებელი, ყოვლად სამარცხვინო სისხლის სამართლებრივი დევნა მიხეილ სააკაშვილის მიმართ და სასწრაფოდ შეწყდეს მის წინააღმდეგ აღძრული ყოველგვარი სისხლის სამართლის საქმე და ბრალდება; დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ უსამართლო პატიმრობიდან ქართველი პოლიტპატიმრები: ბაჩანა ახალაია, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი; გადადგეს დღევანდელი მთავრობა, შეიქმნას დროებითი კოალიციური მთავრობა ოპოზიციის წარმომადგენელთა მონაწილეობით; საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის, ეროვნული უსაფრთხოების მიზნით საქართველოში, სასწრაფო წესით შემოვიდნენ აშშ-ის კონტინგენტები და საქართველოში განთავსდეს აშშ-ის სამხედრო ბაზები.

დაიგინა: იმ შხამიან არარაობებს, რომლებიც ქვეწარმავლებივით სისინებენ ჩემს წინააღმდეგ და მაბრალებენ, ვითომ ვთვალთმაქცობ, ჩემი მოთხოვნების გამოყენება ვითომცდა პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის მინდა, ყველას სამსიტყვიანი ლექსით მოგმართავთ – მოგი...ნთ დედის ტრ...კიო, ნამდვილ, კეთილშობილ და ღირსეულ ქართველებს და ადამიანებს ყველას გაგიმარჯოთო.

ძალიან იშიმშილა, ისე იშიმშილა, ეთქმევინა, როცა საჭიროდ ჩავთვლი, შემიძლია ეს შიმშილობა შევაჩეროო. აბა, რას იტყოდა, როცა უკვე ხმად იყო გამოსული, მოკვდა წერეთელი თურქული „ბიგ-შაურმის“ ჭამითო და „პარკეტის ბალონკის“ თიკუნიც მიიკრა, თანაც უზრდელობისთვის იქით მოუკითხეს დდედიკო...

ნამდვილ, კეთილშობილ და ღირსეულ ქართველებად ვისაც თვლის ეს სუბიექტი, თვითონვე ჩამოთვალა. ამდენად, მხოლოდ ის ვიკითხოთ, რა ბაფთიანი ცოცხი ეტაკა ამ „ეროვნულ გმირს“?

ან სულაც, ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ საქართველოს პრეზიდენტს რომ ებრძოდა ყველა ხერხით და საშუალებით 25 წლის წინ, თავგამოდებული „პუტჩისტი“ რომ იყო, ქართველი ქართველს რომ გადაჰკიდა, მათი სისხლის ტბები დააყენეს და რუსთაველი გადაწვეს, ამერიკულ-ევროპული პროექტის აღმასრულებელი იყო თუ საბჭოთა-რუსულისა?

როგორც ჩანს, ესეც ისეთივე ჩვეულებრივი შიზოფრენიკია როგორც მისი სათაყვანებელი მიხეილ სააკაშვილი, რომლის ფსიქიური მდგომარეობის აღწერილობა მსოფლიოს შვიდი წამყვანი ფსიქიატრიული კლინიკის დასკვნის სახით არის წარმოდგენილი. ეს უფრიკინე ისეთივე ავადმყოფური ფსიქიკისაა, როგორც მისი მიშიკო, ამიტომ უპრიანი იქნებოდა იმთავითვე ფეხით ჯაჭვგადაბმულებს ევლოთ ერთად კატორღელების მსგავსად, მაგრამ როგორც ჩანს, რომელიღაც უცხო ქვეყნის განგებამ არ ისურვა ასე, ამ უკანასკნელს წარსული აკავშირებდა სიტყვა „ეროვნულთან“... დიახ, სიტყვასთან და არა საქმე „ეროვნულთან“... რა გაუკეთებია ეროვნული ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ირაკლი წერეთელს? თუმცა, რა უნდა თქვას, დაუჩემებია, ცოცხალი ეროვნული გმირი ვარო და ვინ იცის, მართლაც სჯერა...

„ირაკლი წერეთელს აქვს ეროვნული გმირის რეპუტაცია და ვინც სხვანაირად იფიქრებს, ენას ამოვაგლეჯ! კაი ჩათლახები არიან ქართველები როცა სჭირდებათ. ილია ჭავჭავაძეს თავის დროზე ნოე ჟორდანია და სერგო ორჯონიკიძე ამჯობინეთ. სააკაშვილი, მიუხედავად მისი უკეთური ქმედებებისა, გადასაგდები პიროვნება არ არის“.

ნახეთ, ამ „მოკრძალებულმა გმირმა“ ილიამდეც რომ მოინდომა აბობღება?... ან რატომ იგესლება მესამე პირში, „კაი ჩათლახები არიან ქართველებიო“, წერეთელი უცხოტომელია და გვიმალავს?

ასეა თუ ისე, ეს, ბილწად მოუბარი ვინმე ირაკლი წერეთელი ბევრს და ბევრჯერ ეცადა პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას საქართველოში მრავალათასიანი მიტინგების მოწყობის მცდელობით ხან 26 მაისს, ხან 25 ივნისს, ხან როდის და ხან როდის, მაგრამ არ დაადგა საშველი 16+1 კაცის გარდა ვერავინ შეიამხანაგა, ის ერთიც მიშასთან საზიარო იშვიათობაა, „ქართული ოცნების რისხვად“ შერაცხული შავი კაცი, „მიშას ქურთი“; ანტისაოკუპაციო ორ კინკილაკაციანი დემონსტაციებიც (ამ სიტყვის მნიშვნელობა იცის, მაგრამ მოსწონს და ასე არქმევს) ჩაატარა, მაგრამ ვერა და ვერ გასწორდა წელში, იღუნება ცუდად შეხვეულ შაურმასავით...

ბონდო ქურდაძის
(გაზეთ „შანსის“ რედაქტორი)
მოგონება

90-იანი წლების დასაწყისია. „შანსის“ პირველ გვერდზე უცხოური ჟურნალიდან გადმობეჭდილი დიდმკერდიანი ქალის სურათი გამოვაქვეყნე, რომელიც გინესის წიგნში იყო შეყვანილი.

მეორე დღეს რედაქციაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები შემოცვივდნენ. ათ-თხუთმეტ კაცს ირაკლი წერეთელი შემოუძღვა.

– რა არის ეს! – მაგიდაზე დააგდო გაზეთი და სურათს ხელი დაარტყა.

– ქალი, ულიფო ქალი, – იხტიბარი არ გავიტეხე მე.

– მერე, ვერ ჩააცვი?! – შემომედავა ირაკლი – ეს ყველაფერი ეროვნული მოძრაობის მოდუნებისთვისაა გათვლილი და „კაგებესა“ და კომუნისტების მიერაა ინსპირირებული, – დაამატა ბოლოს.

– რუსეთის აგენტია ეგ! – სიტყვა წააშველა წვერმოშვებულმა კაცმა.

– დასარბევია ეს გარყვნილი რედაქცია! – აყვნენ სხვები.

ჩუმად, ბელადივით ხელი აწია ირაკლიმ. ყველა გაისუსა. ამას მე მოვუვლი, თქვენ გარეთ დამელოდეთო. როცა დარწმუნდა რომ მარტონი ვიყავით უცბად გამიღიმა „ნაპოლეონი ხარ ბიჭო!“ – მითხრა და მხარზე ხელი დამადო, მეორე ხელით კი ჯიბიდან ხუთვარსკვლავიანი კონიაკი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

– რა „ნაპოლეონი,“ ირაკლი? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– შენი სიმაღლე იყო ისიც და გიჟდებოდა დიდმკერდიან ჟოზეფინაზე...

– მადლობა, ირაკლი, შენ კი შარლ დე გოლს გავხარ, – უცებ ვესროლე კომპლიმენტი.

ამ ერთმანეთის ქებაში ვიყავით, რომ მოულოდნელად ირაკლიმ სურათზე დაბეჭდილი ქალის მისამართი მთხოვა, ვიცი, გლდანში ცხოვრობს, მისამართი დამეკარგაო. ვიფიქრე, ღადაობს და თამაშში ავყევი, ტელეფონით პასუხისმგებელი მდივანი და რედაქტორის მოადგილე თემურ ჟღენტი გამოვიძახე.

– მიეცით ამ ქალის მისამართი ბატონ ირაკლის, – ვთხოვე კოლეგებს.

თემოს და ავთოს გაკვირვებისგან თვალები შუბლზე აუვიდათ.

– თუ არ ვცდები, ამერიკაში ცხოვრობს, – ღიმილით უთხრა ჟღენტმა.

– ბებიაშენი მატრონა აღადავე, – იწყინა წერეთელმა.

– ჰო, ამერიკელია, გინესის რეკორდსმენი, – გამოექომაგა თემოს გურასაშვილი.

– რას გეტყვი, იცი, ქურდაძე, თუ საღამომდე არ მეტყვი მაგ ქალის მისამართს, ხვალ, კინოს სახლთან, მიტინგზე, მიწასთან გაგასწორებ! – თქვა ეს, ხუთვარსკვლავიანი კონიაკი ჯიბეში იტაცა და მთელი ძალ-ღონით მიიბრახუნა კარები.

– გარყვნილების ბუდე კოსტავას ქუჩაზე!!! – მთელი ძალით ყვიროდა მეორე დღეს კინოს სახლთან საბჭოთა ჯარში გაწვევის საწინააღმდეგო მიტინგზე ირაკლი წერეთელი.

გიორგი ჩხეიძე

გენმოდიფიცირებული საკვები

გამოცხადდება თუ არა საქართველო გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელებისგან თავისუფალ ზონად?

პრობლემა, რომელზეც მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები და მკვლევარები თავს იმტვრევენ, გასული საუკუნის 80-იან წლებში აღმოცენდა, როცა ამერიკულმა სამხედრო ქიმიურმა კომპანიამ „მონსანტო“ მსოფლიოს ტრანსგენური პროდუქტების შემუშავების შესახებ ამცნო. ექსპერიმენტის მიზანი გარემოს არახელსაყრელ პირობების მიმართ გამძლეობის გამომუშავების მიზნით, გენური ინჟინერიის გზით, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გენოტიპის ხელოვნურად შეცვლა იყო. მაგალითისთვის გეტყვით, რომ კარტოფილის დნმ-ში მორიელის, ხოლო პომიდორისაში კი პოლარული ზღვის — კამბალას გენები ჩასვეს და ამ პროდუქტების მოყვანა უკიდურეს ჩრდილოეთშიც კი შესაძლებელი გახდა.

თავდაპირველად, გმო-ს შექმნის არგუმენტი აფრიკის ულარიბესი ქვეყნების შიმშილისგან გადარჩენა იყო, თუმცა უკვე ხუთი წელია, აფრიკა გენმოდიფიცირებული პროდუქტების შეტანაზე უარს ამბობს. არგუმენტი: ამ პროდუქტების გამოყენებით მიღებული ზიანი შიმშილზე უარესია. რა არის, ის რასაც ასე უფრთხიან მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები?

პრობლემას ქმნის, რომ მოდიფიცირებული ორგანიზმების შესაძლო გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოსა და ბუნებაზე ბოლომდე არ არის მეცნიერულად შესწავლილი, თუმცა კვლევებმა უკვე დაადასტურა, რომ გმო პროდუქტების რეგულარული მოხმარება იწვევს სიმსივნურ დაავადებებს, სიმსუქნეს, ზრდის სასიკვდილო დაავადებათა განვითარების რისკს, აქვეითებს იმუნიტეტს და ამცირებს შობადობას. მკვლევარების აზრით, ტრანსგენებს გააჩნიათ ნაწლავის მიროორგანიზმის გენურ აპარატთან ინტეგრირების თვისება და მუტაცია. ადამიანის ორგანიზმში სიმსივნეების განვითარებას სწორედ უჯრედების მუტაცია იწვევს. გმო-ს უკავშირდება პლანეტის უახლესი დაავადება მარგელონი, რომლის დროსაც სხეულზე წყლულები წარმოიქმნება. პროცესი, რომელსაც წვა და ქავილი ახლავს, საკმაოდ მტკივნეულია. წყლულებიდან ამოდის 1,5-2 სმ-ის სიგრძის ძაფებისა თუ ბუსუსების მსგავსი პატაზიტი. ავადმყოფს ტანჯავს შეგრძნება, რომ კანქვეშ მატლები და ხოჭოები მოძრაობენ და კბენენ. ამ დროს ქვეითდება მხედველობა და მეხსიერება. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტების მწარმოებლები ჩართული არიან ბავშვთა საკვების წარმოებაში, რაც ბავშვების ჯანმრთელობაზე კატასტროფულად აისახება. ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა ბავშვებში ალერგიული დაავადებები, მიზეზად კი სწორედ გმო პროდუქტები სახელდება. მაგალითად, გენმოდიფიცირებული სოიო 7-ჯერ მეტ ალერგენს შეიცავს, ვიდრე ჩვეულებრივი.

კვლევებმა დაადასტურა, რომ გენმოდიფიცირებული საკვები უარყოფით გავლენას ცხოველებზეც ახდენს. რამდენიმე წელია, ევროპელი ფერმერები შეშფოთებული არიან მსხვილფეხა საქონლის გახშირებული სიკვდილიანობით. დამოუკიდებელი ექსპერტები და მეცნიერები ამას ამერიკიდან შემოტანილი, გენმოდიფიცირებული საკვებით პირუტყვის გამოკვებას უკავშირებენ.

ვითარებას ისიც ართულებს, რომ „მონსანტოს“ და მის ძლევამოსილ მფლობელებს დიდი გავლენა აქვთ სახემწიფოების მაღალ ეშელონებზე, რაც არაერთხელ დადასტურდა ჟურნალისტურ გამოძიებებში. აღსანიშნავია, რომ ყველა კვლევას, რომელიც გმო-ს უსაფრთხოებას ადასტურებს, თავად „მონსანტო“ აფინანსებს. ფრანგი მეცნიერები ორი წლის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ ვირთხებზე ტრანსგენური სიმინდის გავლენის შოკისმომგვრელ შედეგებს— საცდელ ორგანიზმებში გამოვლინდა სარძევე ჯირკვლის გიგანტური სიმსივნეები, მეორე თაობა განუვითარებელი დაიბადა, ხოლო მესამე საერთოდ სტერილური. ინგლისის მთავრობამ გმო პროდუქციის ქვეყნის ბაზარზე შეტანამდე, ცნობილ მეცნიერს არბა პუშტაის და 30-მდე მეცნიერს გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმებზე კვლევის ჩატარება დაავალა. შედეგები იმდენად შემაშფოთებელი აღმოჩნდა, რომ „ბი ბი სი“-თან ინტერვიუში მეცნიერმა ბრიტანელების საცდელ ბაჭიბერად გამოყენება ახსენა. ინტერვიუს ჩაწერის მეორე დღესვე პუშტაის და ექსპერიმენტზე მომუშავე ყველა მეცნიერს ლიცენზია ჩამოართვეს. იგივე ბედი ეწია სხვადასხვა ქვეყნის არა ერთ მეცნიერს, რომელმაც „მონსანტოს“ წინააღმდეგ ნეგატიური დასკვნა წარმოადგინა.

ევროსაბჭოს დპუტატმა კარენ ლეპაჟმა აღიარა „დიდი სისულელე ჩავიდინეთ, როცა ევროპაში გენმოდიფიცირებული საკვების შემოტანა დავუშვით. დროა გამოვაცხადოთ მორატორიუმი საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით.“

2000 წელს შემუშავდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი—ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, რომელიც ძალაში 2003 წელს შევიდა. ოქმის ძირითადი მიზანი თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდით მიღებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებისას, უსაფრთხოების სათანადო დაცვაა. ოქმი ქვეყნებს საშუალებას აძლევს, დაიცვან თავიანთი ეკოსისტემა და ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებას საზოგადოების სათანადო ინფორმირებისა და კონსულტირების შესახებ. 2015 წლის 11 მარტს მიიღეს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს ახალი რეგულაცია—დირექტივა 2015/412, რომელიც უფლებას აძლევს წევრი ქვეყნების ხელისუფლებას, თავად მიიღონ გადაწყვეტილება მათ ტერიტორიაზე გმოს-ს კულტივაციის აკრძალვასა და შეზღუდვების დაწესების თაობაზე. ეს გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს მომავალში, ევროკავშირის ქვეყნებში გმო-თან დაკავშირებით, უფრო მკაცრი შეზღუდვები დაწესდება.

სულ ახლახან, ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებები განახორციელა, რომელთა თანახმად, „ქვეყანაში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების განზრახ შეტანა, გაყიდვა და გამოყენება ლამის ნარკოდანაშაულს უტოლდება და 3-5 ათასამდე მანათით ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. როგორც ცნობილია, დღეს საქართველოში შემოდის ხორბლის 92%, მცენარეული ცხიმის 83%, ფრინველის ხორცის 76%, შაქრის 65%, ღორის ხორცის 65% და ბოსტნეულის 30%. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველო თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. პროდუქცია კი იმ ქვეყნებიდან მოედინება, რომლებიც გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებით არიან ცნობილი. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, ბოლო წლებში, ქვეყანაში იმატა გულსისხლძარღვთა, თრომბულმა და სიმსივნურმა დაავადებებმა, რაც არაჯანსაღი გარემოსა და კვების პროდუქტებზე მიანიშნებს. შექმნილ არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში მცირეოდენ იმედს გვაძლევს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან საქართველო 65-ე ქვეყანა გახდა, სადაც პროდუქტზე გმო-ს შემცველობის მარკირება სავალდებულოა. თუმცა, ეს



არსებული რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, ეს სრულიად არაა საკმარისი მოსახლეობის დაცვისთვის. უახლოეს ხანებში, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად წარუდგენენ საკანონმდებლო ინიციატივას საქართველოს ტერიტორიის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადების თაობაზე. კანონპროექტის ინიციატორებს მიაჩნიათ, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს პარლამენტის მიერ ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის 1994 წლის რატიფიცირების დადგენილებით აღებული ვალდებულება კანონმდებლობის აღნიშნული კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. მოახდინოს ამ კონვენციის ორგანული ნაწილის—კარტახენას ოქმის რატიფიცირება და ევროკავშირსთან ერთად გახდეს მისი მონაწილე მხარე.

გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან მომდინარე საფრთხეებზე და საკანონმდებლო ორგანოში წარსადგენ ინიციატივაზე კანონპროექტის ინიციატორს, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარეს **გოგი თოფაძეს** ვესაუბრეთ:

— დიდი ხანია, იმ საფრთხეებზე ვსაუბრობ, რომელიც გმო პროდუქციისგან მომდინარეობს და ვამბობ, რომ

გენმოდიფიცირებული გენები

არ შეიძლება ქვეყნის ნაგავსაყრელად ქცევა, თუმცა ეს სფერო ისევ არარეგულირებადი და უკონტროლო რჩება. კომპანია „მონსანტომ“ გათვალა, რომ საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მოსახლეობა 10-11 მილიარდს მიაღწევს და დედამიწას მათი გამოკვება გაუჭირდება, ამიტომ პრობლემის მოგვარება „მესამე ქვეყნების“ მაცხოვრებელთა შემცირებით გადაწყვიტა. წინა ხელისუფლების დროს, მოხდა სასურსათო პროდუქციაზე კონტროლის გაუქმება. ეს დიდი გარიგების შედეგი იყო, ვინაიდან არც ერთი პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება თავის მოსახლეობას იმ საფრთხეების წინაშე, რომელიც გმო პროდუქციისგან მომდინარეობს, დაუცველს არ დატოვებს. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ გენმოდიფიცირებული ნედლეული აბინძურებს გარემოს, აზიანებს მცენარეებს და ნათესებს, აავადებს ფრინველებსა და ცხოველებს, ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას და გამრავლებას. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ონკოლოგიური დაავადება გაახალგაზრდავდა და გაორმაგდა. ამასთან, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გმო-ს რეგულარული მოხმარება სისხლის შედედებას იწვევს. სტატისტიკის თანახმად, ონკოლოგიური ავადმყოფების უმეტესობა თრომბით იღუპება. გმო აქვეითებს იმუნიტეტს და ალერგიას იწვევს. ოფიციალური მონაცემებით, შარშან ევროპაში 40 000 ადამიანი დაიღუპა ალერგიისგან. გმ პროდუქციის რეგულარულად მოხმარება ამცირებს შობადობას, რაც ჩვენი დემოგრაფიული მონაცემების მქონე ქვეყნისთვის სრული კატასტროფაა. გმ პროდუქციის მავლებლობაზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, თუმცა საუბარზე მნიშვნელოვანიქმედებაა. საკუთარი მოქალაქეებისა და მომავალი თაობების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფოს პრესტიჟი და ვალდებულებაა, ამდენად ამ პრობლემის მოუგვარებლობა არ შეიძლება.

— რამდენად რეალურია გენ-მოდიფიცირებული პროდუქციისგან ქვეყნის ბიომრავალფეროვნების კუთხით მომდინარე საფრთხეები?

— სრულიად რეალურია. ქართული პროდუქციის უნიკალურობის შენარჩუნებას მხოლოდ გმო პროდუქციის აკრძალვით შევძლებთ. როგორ შეიძლება ჩვენს უგემრიელეს ჭოპორტულ პომიდორს გენმოდიფიცირებული პომიდორი შეადარო,რომლის ერთადერთი უპირატესობა ისაა, რომ ტრანსპორტირებას უკეთ უძლებს. გენმოდიფიცირებული კულტურების მოყვანა საფრთხეს შეუქმნის კულტურული ჯიშების წარმოშობის კერებს და ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას. გემახსოვრებათ, რამდენიმე წლის წინ შემოტანილი ჰიბრიდული სიმინდი. ჩემს სამონადირეო მეურნეობაში მყოფი ხოხბების და ტახების გამოსაკვებად, 10 ტონა სიმინდი ვიყიდე და წარმოიდგინეთ, რომ არც ხოხობი, არც ტახი და არც სხვა ცხოველი არ გაეკარა. რაში მდგომარეობდა ამ სიმინდის უპირატესობა? იმაში, რომ გლეხებმა მიიღეს ერთი მოსავალი, რომელიც ვერაფერში გამოიყენეს, სამაგიეროდ, ვალები დაედოთ და განადგურდნენ? თავის დროზე, ქართული მეფრინველეობის ფაბრიკები რომ დაეხურათ, თურქეთიდან ქათამი თვითღირებულებაზე დაბალი ფასით შემოჰქონდათ. ქათამი კილო-კილონახევარი რომ გახდეს, თვეზე ცოტა მეტი დრო უნდა. გმ საკვებით კი ინდაურისხელა ქათმის გაზრდა 14 დღეშია შესაძლებელი. ასე გამოკვებილი ქათმები შემოჰქონდათ ჩვენთან, 10 წელი გვწამლავდნენ და ხმის ამომღები არავინ იყო. ბიომრავალფეროვნების თემას დავუბრინდები და გეტყვით, რომ გენმოდიფიცირებული მცენარეები საფრთხეს უქმნიან ცოცხალი ბუნების ბინადრებს. ფუტკარი, რომელიც ჯანმრთელი გარემოს მანიშნებელია, მცენარეთა დამტვერვის შედეგად იღუპება და ბევრგან გადაშენების პირასაა. ფუტკრების სიკვდილიანობა ამერიკისა და კანადის შემდეგ, ევროპაშიც დაფიქსირდა. მეცნიერები ამას გენმოდიფიცირებულ მცენარეებში პესტიციდების სიჭარბით ხსნიან და გამოსავლის ძიებაში არიან. საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვა მხოლოდ ეროვნული საქმე კი არა, ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებაცაა. ერთ დროს, 5 მილიონი ვიყავით და სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან არაფრის შემოტანა არ გვჭირდებოდა. ახლა კი ერთან არგენტინიდან შემოტანილი ვაშლი ვნახე. ეს არაა ნორმალური მდგომარეობა..

— დაახლოებით, რა რაოდენობით გენმოდიფიცირებული პროდუქცია შემოდის ქართულ ბაზრებზე?

— ზოგიერთ შემოტანილ პროდუქტში გმო 80% შეადგენს. მაგალითად, ანალიზებმა დაადგინა, რომ ძეხვეულში და სოსისებში ხორცის მაქსიმალური შემცველობა 18% და ესეც მხოლოდ მოსკოვის მიქოიანის ქარხნის პროდუქციაში. დანარჩენებში ხორცი 14-15% და 50%-ზე მეტი გენმოდიფიცირებული სოიო გახლავთ. იგივე ხდება ზეთებში, მაიონეზებში, თევზეულში.. ამის გარდა, პროდუქცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ უამრავ ქიმიურ დანამატებს შეიცავს. ძეხვის შევახვის ვადა 19 დღეზე მეტი არაა, ამიტომ 6 თვე რომ გაძლოს, ქიმიკატებს უმატებენ, რომელიც მერე ადამიანის ორგანიზმში გადადის.

— როგორც ვიცი, სურსათის იმპორტს დაახლოებით, 4 მილიარდიანი ბრუნვა აქვს. გმო პროდუქტების სრულად აკრძალვა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და ლარის კურსზე როგორ აისახება?

— ამ საკითხზე მისაუბრია ეკონომიკისა და გარემოს დაცვის მინისტრებთან და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ გმ პროდუქციას არავითარი ეკონომუკური ეფექტი არ მოაქვს. უფრო პირიქით, იმიტომ, რომ სამი წლის შემდეგ, იმ მიწაზე, სადაც გმ პროდუქცია მოიყვანეს, არაფერი გაიხარებს. თუნდაც სოიო.. საქართველოში ამ კულტურის არსებობა ბოლო წლებში გაიგეს, მაგრამ დავუშვათ, რომ ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი კულტურაა და წელიწადში 1000 ტონა გვჭირდება. ფასში მცირეოდენი განსხვავების გამო რატომ უნდა შემოვიტანოთ გენმოდიფიცირებული სოიო, როცა ბელორუსია, რუსეთი, ყაზახეთი

და ა.შ. ნატურალურს აწარმოებს? გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის ელგუჯა ხოკრიშვილის დროს 800 ტონა გენმოდიფიცირებული სათესლე მასალის შემოტანა მოხდა. არგუმენტი იყო, რომ საცდელად და ანალიზებისთვის ჭირდებოდათ. ქიმიაში პროფესორის ხარისხი მაქვს, ათი წელი საკავშირო კვების მრეწველობის კვლევით ინსტიტუტში ვიმუშავე და იმდენი მაინც ვიცი, რომ ანალიზისთვის 10 კილო მასალაც საკმარისია და არა 800 ტონა. ვფიქრობ, ხოკრიშვილმა ვიღაცისგან ზეწოლას ვერ გაუძლო. პარასკევს გმ სათესლე მასალის შემოტანაზე დაწერა ბრძანება და ორშაბათს თანამდებობიდან წავიდა.

— საქართველომ მიიღო კანონი მარკირების შესახებ, რაც გმ პროდუქციაზე შესაბამისი აღნიშვნის დატანას გულისხმობს. რამდენად დაიცავს ეს მომხმარებელს?

— კანონში წერია, რომ საქონლის ეტიკეტზე გმო მკაფიოდ და გამოსაჩენ ადგილას უნდა ეწეროს, რეალურად კი მიკრისკოპული ასოებით აწერია მოდიფიცირებული. ეს ეშმაკური ხრიკია, რადგან მოდიფიცირებული შეიძლება ქიმიურითაც იყოს. რეალურად ყველა ეს პროდუქტი გენმოდიფიცირებულია. სფეროზე კონტროლი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოს აქვს დაკისრებული, რომელსაც ანალიზებისთვის სათანადო ლაბორატორია და აპარატურაც კი არ გააჩნია. მათი რამოდენიმე ანალიზის პასუხი გადამოწმების მიზნით, ავსტრიაში იქნა გაგზავნილი და სრულიად განსხვავებული პასუხი მოვიდა. ერთადერთი, რაც ამ სააგენტომ აღმოაჩინა, გენმოდიფიცირებული სოიოს პაშტეტი იყო. ვფიქრობ, მრავალმილიონიანი ბიუჯეტის მქონე სამინისტროს 200 000 ევრომდე ღირებულების თანამედროვე ლაბორატორიის შეძენა არ უნდა გაუჭირდეს. ნორმალურ ქვეყნებში რამდენიმე ასეთი ლაბორატორიაა და ერთი მაკონტროლებელი, რომ სადმე რამე უზუსტობა არ გაიპაროს და ჩვენ ერთიც არა გვაქვს.

— როგორ ფიქრობთ, დაუჭერს თუ არა პარლამენტი მხარს თქვენს მიერ მომზადებულ კანონპროექტს საქართველოს ტერიტორიის გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადების შესახებ?

— წინა ხელისუფლების „დამსახურებით“,გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმებთან მიმართებით, ქვეყანაში სრული განუკითხაობა იყო. აქედან გამომდინარე, ოპოზიციური პარტიებისგან მხარდაჭერის იმედი არ მაქვს, მაგრამ საქართველოს შეუძლია აირჩიოს ჯანმრთელი მომავალი და შეუერთდეს ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა შვეიცარია, ავსტრია, პოლონეთი, საბერძნეთი და გახდეს გმო-გან თავისუფალი ქვეყანა. საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას დაპირდა, რომ ქვეყანაში გატარდება ბიომრავალფეროვნების დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო მოქმედებები, შემუშავდება კანონი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ და შემუშავდება ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემა. ხელისუფლებას უფლება არა აქვს თავისი მოსახლეობის უსაფრთხო მომავლის უზრუნველსაყოფად, მდგომარეობა უსწრაფესად არ გამოასწოროს.

მსოფლიოს ცივილიზებულმა ქვეყნებმა, რომლებიც აცნობიერებენ გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან მომდინარე საფრთხეებს, მომხმარებელს დაუტოვეს არჩევანის უფლება— გადაიხადონ ოდნავ მეტი, შეიძინონ ნატურალური პროდუქტი და შესაბამისად, განავითარონ სამამულო წარმოება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბაზარზე მაღალი ორგანულეპტიკური პროდუქციის გაჩენას. ევროპასა და ამერიკაში პროდუქციას ეტიკეტზე მითითებული აქვს, რომ იგი არის გენმოდიფიცირებული გზით მიღებული, რაც ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით პრობლემად რჩება. ევროპაში დიდი ხანია მოქმედებს პროდუქტებში გმოს-ს შემცველობის ნორმა—არა უმეტეს 0,9%-სა. შვედეთში მთლიანად აკრძალულია. დანიამ გმო კულტურების როგორც იმპორტი, ისე ქვეყნის ტერიტორიაზე ყოველგვარი ექსპერიმენტი აკრძალა, 2009 წელს აიკრძალა ყოველგვარი გმ კულტურების მოყვანა დანიაში. გმო აკრძალა ავსტრიამ, უკომპრომისო პოზიციაზეა იტალია, სკეპტიკურადაა განწყობილი გერმანია, უნგრეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი. საფრანგეთსა და იტალიაში გმო-გან თავისუფალ ზონად გამოცხადებულია 16 რეგიონი, საბერძნეთში კი ორმოცდათოთხმეტივე პრეფექტურა.. შეუერთდება თუ არა საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებმაც გმ ცოცხალი ორგანიზმებისგან თავისუფალი ზონა გამოაცხადებს, ხალხის რჩეულებზეა დამოკიდებული.

ნელი თორდია
571 35 36 88

ზურაბ გაგნიძე:

მარგველაშვილის პრობლემა მისი დახშული ინდივიდუალიზმია

რას ფიქრობს სახელისუფლებო „შინაომებზე“ და გიორგი მარგველაშვილის მეტამორფოზაზე, რატომ გაუცრუვდა იმედები, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტად ფილოსოფოსი მარგველაშვილის არჩევას უკავშირდებოდა და რას მიაჩნია პრეზიდენტის მთავარ პრობლემად? „საერთო გაზეთს“ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე ესაუბრა:

— ალბათ გახსოვთ, რომ ქვეყნის სათავეში ფილოსოფოსი პრეზიდენტის მოსვლას განსაკუთრებული იმედებით შევხვდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მარგველაშვილი დანგრეული განათლების სისტემას ფეხზე დააყენებდა, გაუქმებული ფილოსოფიის ინსტიტუტს აღადგენდა, მიტაცებული და გაყიდული კვლევითი ინსტიტუტების შენობებს დააბრუნებდა და წინა ხელისუფლების მიერ „ჩარეცხილ“ პროფესურას თავის უფლებებში აღადგენდა, მაგრამ ყველაფერი მოლოდინის საპირისპიროდ მოხდა. მარგველაშვილის ინერტულობას ბევრი პრეზიდენტის შეზღუდული უფლებებით ხსნის, მაგრამ ეს ძალიან უსუსური არგუმენტი გახლავთ. არ მიყვარს სტალინის ეპოქის მაგალითად მოყვანა, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, როცა ლენინი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იყო, სტალინი პარტიის გენერალური მდივანი ბრძანდებოდა და თავისი მუშაობით ტექნიკური მდივნის დონის უმნიშვნელო პოსტი უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო პოსტად აქცია. შედეგად, თავმჯდომარის პოსტი იმდენად უმნიშვნელო გახდა, რომ მოგვიანებით, გაუქმდა კიდეც. ისტორიას ასეთი მაგალითები მრავლად ახსოვს, ასე, რომ შეზღუდული უფლებები უმოქმედობის ან ცუდად მოქმედების გასამართლებელ არგუმენტად არ გამოდგება, რადგან ძლიერი პოლიტიკოსები საკუთარ უფლებებს თავად აძლიერებენ. მარგველაშვილის სუსტმა მმართველობამ კი პრეზიდენტის ინსტიტუტი იმაზე მეტად დაასუსტა, ვიდრე იყო. იგივეს ვიტყვი განათლების მინისტრის რანგში მისი მუშაობის პერიოდზე. მე დიდხანს ვიკვლიე პრეზიდენტის წარუმატებლობის მიზეზები და მივედი დასკვნამდე, რომ ნაციონალური მოძრაობის ე.წ. ლიბერალურ ფრთასთან მისი მეგობრული კავშირები არაფერ შუაშია. ქვეყნის მართვაში მარგველაშვილს ხელს დახშული ინდივიდუალიზმი უშლის, რომელიც ჩემი აზრით, როგორც პიროვნებას, ფილოსოფოსს და პოლიტიკოსს ახასიათებს. ვაღიარებ, რომ ანალიტიკოსობის დროს, ინდივიდუალიზმი, თუნდაც დახშული, გარკვეულწლილად უხდებოდა და ეხმარებოდა, მაგრამ ამას ვერ გასცდა და თავისი ჩაკეტილობა ვერ გახსნა პრეზიდენტობის დროს, იმიტომ რომ არც ფილოსოფიური, არც ფსიქოლოგიური და ალბათ არც სოციალური საფუძველიარ ჰქონდა. განათლების მინისტრისა და პრეზიდენტის პოსტებისთვის კი ინდივიდუალიზმის გარდა, სხვა თვისებებიც აუცილებელია.

— თქვენი აზრით, რომელი თვისებები აკლია „თანამდებობისთვის შეუფერებელ“ პრეზიდენტს?

— ჩემთვის, პიროვნება გახსნილია სოციუმში. პოლიტიკოსისთვის აუცილებელია კომუნიკაბელურობა, კონტაქტურობა და ღია ჩართვები სოციალურ გარემოში, მასთან კი ინდივიდუალიზმი დახშულია... მარგველაშვილის ყველა განცხადება ღრმა ინდივიდუალიზმის ნიშნის მატარებელია. სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო განვითარებინა პრეზიდენტის ინსტიტუტი. პოლიციელების საავადმყოფოებში მონახულება, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი და ძალიან წააგავს საბჭოთა ეპოქის ლიდერების ვიზიტებს.

— როცა ქვეყნის პრეზიდენტი ისეთ მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებს, როგორიც ახალგაზრდული ოლიმპიადა და ევროპის სუპერთასის საფეხბურთო მატჩია, არ ესწრება, ესეც მისი ინდივიდუალიზმის მანიშნებელია?

— სწორედაც, ღრმა და დახშული ინდივიდუალიზმის მაჩვენებელია. ზოგადად, ინდივიდუალიზმი აღიარებს პიროვნების ინდივიდუალურ თავისუფლებას, მაგრამ დახშული ინდივიდუალიზმი ნიშნავს, რომ პიროვნება არის ღრმად ჩაკეტილი საკუთარ თავში, როგორც გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსის ლაიბნიცის მონადა(მოძღვრება მონადებზე ლაიბნიცის იდეალისტურ ფილოსოფიაში: განუყოფელი სულიერი პირველელემენტები, სულიერი ატომები, რომლებისგანაც თითქოს შედგება სამყარო.) დახშული ინდივიდუალიზმი მარგველაშვილს ხელს არა მარტო ქვეყნის მართვაში, არამედ ყოფით ცხოვრებაშიც უშლის. დარწმუნებული ვარ, რომ მისმა ამ თვისებამ განაპირობა ავლაბრის რეზიდენციაში გადასვლა, რასაც ადრე კატეგორიულად გამორიცხავდა.

— ეს სუბიექტური ინდივიდუალიზმია თუ განდიდებია მანია?

— არ ვიცი. ეს სხვა კვლევის საგანია, მაგრამ შთაბეჭდილებ მრჩება, რომ მარგველაშვილს მისი დახშული ინდივიდუალიზმი პრაქტიკაში ძალაუფლებას არ აძლევს და მოქმედებაში ხელს უშლის.

— თუ სწორად გავიგე, სახელმწიფო მოხელისათვის ინდივიდუალიზმი ხელისშემშლელი ფაქტორია?

— მხოლოდ უკიდურესი, დახშული ინდივიდუალიზმია ხელისშემშლელი, რომელიც პრაქტიკულ მოქმედებას არ ემყარება. ჩემი აზრით, დღეს მარგველაშვილი არა პრეზიდენტობის, არამედ მისი ინდივიდუალიზმის სასარგებლოდ იბრძვის. ვეტოს დადებით ის ცდილობს პარლამენტს ჭკუა ასწავლოს და ამით თავისი უკიდურესად დახშული ინდივიდუალობის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ამ დახშულობას იგი მიჰყავს არა სუბიექტურ იდეალიზმამდე, არამედ ვულგარულ მატერიალიზმამდე, რაც ძალიან სამწუხაროა.

არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს მარგველაშვილს ვუპირისპირდები. მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებული ჩემი არც ერთი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა, განათლების სამინისტროში წინა ხელისუფლების დროინდელი კადრები დატოვა და მსოფლმხედველობრივად უარესები დაამატა, პიროვნულად მის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და ვწუხვარ, რომ ობიექტურმა ანალიზმა ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა.

ნელი თორდია
571 35 36 88

სააკაშვილის „ნასედკები“ მოსახლეობის პროვოცირებას აგრძელებენ

გასულ კვირას ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე, ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი ბესარიონ მიქავა დაგვიკავშირდა და ყურადსაღები ინფორმაცია მოგვაწოდა.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

— აგვისტოს თვეში ჩემს საცხოვრებელ ბინაში ეი-ეს-თელასის წარმომადგენლებმა გათიშეს ელექტროენერგია დენის კარადიდან და დაწერეს აქტი, გამომიგზავნეს შეტყობინება, სადაც მითითებულია, რომ კარადა ხელუხლებელია, ელექტროენერგიის მიწოდება ჯერ შეწყვეტილი, შემდეგ კი აღდგენილი.

მეორე დღეს უწყება გამოაგზავნეს — „თელასში“ მიბარებდნენ.

— ვინ დაგიბარათ კონკრეტულად?

— ეს გახლავთ **ვლადიმერ იმედაშვილი,** ყოფილი სოდის თანამშრომელი, ამჟამად „ეი-ი-ეს თელასის“ უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი.

საქმე ისაა, რომ მე არასდროს დამიმალავს ჩემი ანტიამერიკული და ანტინატოური განწყობა. მე შევქმენი ჯგუფი „ნატო ნატოს წინააღმდეგ“, სადაც გაერთიანებული იყვნენ ქალბატონები, რომლებსაც ნატო ერქვათ, მათ შორის ჩემი მეუღლეც იყო.

ნიშანდობლივია, რომ „თელასში“ 11 სექტემბერს დამიბარეს. რადგან მთელი შეგნებული ცხოვრება აქციებზე ვარ, არ გამიჭირდებოდა იმ აქციის მოწყობა, ვაპირებდი კიდევაც, მაგრამ ვიფიქრე: 11 სექტემბერია, ისედაც მძიმე დღე, ნათლისმცემლის თავისკვეთის თარიღია და მოდი, მშვიდობიანად მივალ-მეთქი. ასეც მოვიქეცი, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ სწორედ ეს უნდოდათ — აქციები დამეწყო „თელასის“ წინ!

— რატომ უნდოდათ და ვის?

— ესენი, ჩემო კარგო, არიან „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები და ძველი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები. უგულავას გამოშვება-დაკავების თემები იყო აქტუალური, აქციებს მართავდნენ ეს გამყიდველები ივანიშვილის სახლთან და უნდოდათ მე აქ, „თელასის“ წინ, გამემართა აქცია. მათ მშვენივრად იციან, რა შემიძლია მე. მითხრა კიდევაც იმედაშვილმა — კარგად ვიცი, რუსეთის მეფე გიორგი რომანოვი რომ გყავდა ჩამოყვანილი და წმინდა გიორგის ხატიც რომ შექმენი, სადაც მარჯვნივ ქართველი, მარცხნივ — რუსი წმინდანებია გამოსახული, ხატი 2015 წლის 6 მაისს მოსკოვში

წმინდა გიორგის ქართულ ეკლესიაში იკურთხაო. მოკლედ, ყველაფერი იციან და მშვენივრად გეგმავენ პროვოკაციებს.

25 წელიწადია, არც შუქის, არც სხვა გადასახადს არ ვიხდი, რადგან არ ვცნობ არც ერთ მთავრობას, თუმცა ვარ აფხაზეთის ომის, 9 აპრილის ტრაგედიის მონაწილე და მეორე ჯგუფის ინვალიდი, ვეტერანი და ა.შ. სახელმწიფოსგან მეკუთვნის თანხა 300 ლარამდე, რომელსაც არ ვიღებ პროტესტის ნიშნად 1992 წლიდან.

მოკლედ, უწყებაში წერია, რომ თითქოს მე ვაღიარე კარადის დაზიანება და უნდა გადავიხადო ჯერ 100 ლარი მერე კი 1500 ლარი.

— რა აღიარეთ?

— რა უნდა მეღიარებინა ნასედკა ვლადიმერ იმედაშვილთან, ჩაუდენელი ქმედება? საერთოდ ვინ მისცა იმედაშვილს სასამართლოს გარეშე ასეთი ჯარიმის დაკისრების უფლება?

— ანუ რა ხდება?

— ზემოთაც გითხარით, ამათ უნდათ ჩემი გაღიზიანება, რომ ჩემს თანამოაზრეებთან ერთად დავიწყოთ აქციები. მერე თავიანთი ჭკუით ნაცები გამოიყენებდნენ შემოგვიერთდებოდნენ.

ეს კაცი, **ვლადიმერ იმედაშვილი,** რომელიც მე მიგზავნის უწყებას, არ გახლავთ ბრალმდებელი და ჩემი ქმედებების გამომძიებელი, მით უფრო, რომ ხულიგნობას მწამებს მაშინ, როცა კარადა დაუზიანებელია. ეს ადამიანი არის პროვოკატორი, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი, სოდ-ის ყოფილი თანამშრომელი და ციხის ყოფილი უფროსი. ასეთი ხალხი დაასაქმა ნაც-ბანდამ! ახლახან მე მოვიპოვე ვიდეო, სადაც თვითონ და მისი ძმა 23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციის“ დღეს ზეიმობენ და სადღეგრძელოებს უძღვნიან „ნაცმოძრაობას“. თავად განსაჯეთ, რასთან გვაქვს საქმე.

მინდა მივმართო ხალხს და ხელისუფლებას: სააკაშვილის „ნასედკები“ აგრძელებენ მოსახლეობის პროვოცირებას არეულობებისკენ.

გაითვალისწინოს ეს შესაბამისმა სტრუქტურებმა.

ანა ვადაჭკორია

ნინო მეტრეველი: „მემარცხენე ალიანსის“ მიერ გაჟღერებული ბრალდებები არის ყალბი!

საერთო გაზეთის“ გასულ ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერთან კახა ძაგანიასთან, სადაც ბატონი კახა შალვა ნათელაშვილს დიდძალი თანხების მევახშედ აცხადებს. რამდენიმე დღის წინ რედაქციაში „ლეიბორისტული პარტიის“ ანალიტიკური მდივანი, პარტიის ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გარდაბნის რაიონის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ნინო მეტრეველი გვეწვია და გვთხოვა მიგვეცა საშუალება პასუხი გაეცა აღნიშნულ ბრალდებებზე. მან რედაქციიდანვე დაგვაკავშირა ბატონ შალვა ნათელაშვილთან, დუშეთის რ-ნის სოფ. ბაზალეთში და ქალბატონ ბელა ალანიასთან, რომელიც სენაკში ცხოვრობს.

შალვა ნათელაშვილი (დუშეთის რ-ნი, სოფ. ბაზალეთი):

შალვა ნათელაშვილი



— გამარჯობათ, „საერთო გაზეთიდან“ გაწუხებთ.

— დიახ, გისმენთ.

— შალვა ნათელაშვილი ბრძანდებით?

— დიახ, დიახ.

— ბევრი შალვა ნათელაშვილი ხართ ბაზალეთში?

— იყვნენ ბევრნი. გარდაიცვალნენ. ახლა დავრჩით მე და „ლეიბორისტების“ ლიდერი. არის კიდევ ერთი შალვა ნათელაშვილი, რომელიც ბათუმში მუშაობს და წარმოშობით აქედანაა.

— იცნობთ ლეიბორისტების ლიდერს შალვა ნათელაშვილს?

— როგორ არა.

— ნახეთ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული მასალები თანხის გასესხებასთან დაკავშირებით?

— კი, ვნახე, მაგრამ ეს არ ეხება ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილს, მე ვარ ის, ვინც გაასესხა თანხა. სულ შემთხვევით, ბინის საყიდლად ვიყავი თბილისში და ქალს, ვინც საბუთში არის ნახსენები, მას სჭირდებოდა 10 000, მომდევნო თვეს უნდა მეყიდა ბინა და ვათხოვე თანხა იმ ქალბატონს. 3 000 იყო ჩემი, 7 000 იყო მისი.

— რომელ წელს მოხდა ეს ამბავი?

— 2010 წელი იყო, თუ არ ვცდები, 4-5- წლის წინ. იმ ქალბატონს მე არ ვიცნობდი, მაკლერების ამბავი ხომ იცით?! სავარაუდო ვარიანტებს ეძებდნენ და ის ბინა, რომელშიც იმ ქალბატონმა ბინა ჩადო, ფულს თუ ვერ გამოუგზავნიდნენ, მე მრჩებოდა. მეც მაწყობდა ეს საქმე.

ბატონ შალვას რატომ დააბრალეთ ეს, მე მიკვირს.

— პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ხომ არ გამოცვალეთ?

— გამოვცვალე ახლახან, მაგრამ ნომერი იგივე გადავიდა. ორი თვის უკან გამოვცვალე, აქცია იყო, უფასოდ იძლეოდნენ პირადობის მოწმობებს.

ვის აქვს უფლება ჩაიხედოს ჩემს პირად საქმეებში და იძიოს, რას ვასესხებ და რას ვსესხულობ. ჩემი აზრით, ასეთი რამ გასაიდუმლოებული უნდა იყოს.

— რომელ ნოტარიუსთან გააფორმეთ სესხის ხელშეკრულება, გახსოვთ გვარი?

— არ მახსოვს, მაგრამ ტერიტორიულად გლდანში იყო, თუ არ ვცდები, ხიზანიშვილის ქუჩაზე. მეტროს მხარეს ზევიდან რომ მოვდივართ, მარჯვენა მხარეს იყო.

— თქვენ რას საქმიანობთ?

— ვიყავი ხელოსანი, ახლა ვტაქსაობ. მაგრამ ის კი ვიცი, იმ საქმეზე, რაც გამომიქვეყნეს გაზეთში, სამართალდამცავი სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ. წესით უნდა ვიჩივლო, თუმცა ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს, ამ საქმეს ბოლომდე მივდიო. ტყუილების გავრცელება როგორ შეიძლება, ამაზე მწყდება გული. ერთი სოფლელი ადამიანი ვარ, განა რამდენი დამრჩა სიცოცხლის და არ მინდა ჩივილი და დავა.

— ბოდიში, რომ შეგაწუხეთ.

— არაფრის, კარგად ბრძანდებოდეთ.

ნინო მეტრეველის მიერ მოცემულ ნომერზე ქალბატონ **ბელა ალანიასაც** დავუკავშირდით.

— გამარჯობათ. თქვენ ბელა ბრძანდებით?

— დიახ.

— რა გვარი ხართ?

— ალანია.

— თქვენ სენაკში ცხოვრობთ?

— დიახ.

— თუ შეიძლება, მითხარით თქვენი საცხოვრებელი ბინის მისამართი.

— კალანდაძის 19-ში ვცხოვრობ.

— შეგიძლიათ თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი მითხრათ?

— კი, ბატონო, რა პრობლემაა? *(გვკარნახობს ციფრებს - „ს.გ.“)*

— თანხას ასესხებდით?

— არასდროს გამისესხებია თანხა. აფთიაქი მაქვს, ინდმეწარმე ვარ.

„საერთო გაზეთი“

„ლეიბორისტული პარტიის“ ანალიტიკური მდივანი, პარტიის ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გარდაბნის რაიონის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ნინო მეტრეველის განმარტება:

„მინდა საზოგადოებას განვუმარტო: ძალიან დიდი ხანი ვიკავებდით თავს მათთვის პასუხის გაცემისგან, მაინც ყოფილი თანაგუნდელები არიან, მაგრამ არა და არ თავდება ეს პროცესი პრესითაც და სოციალური ქსელებითაც, რის გამოც იძულებულნი გავხდით პასუხი გაგვეცა. პირადად ჩემს მიმართ უამრავი ცილისმწამებლური ბრალდება გაისმა, მაგრამ პასუხის გაცემის ღირსად არ ჩამითვლია. ასეთ დროს იტყვიან, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო. მათი თქმით, სუკ-ის აგენტი ვყოფილვარ, „მხედრიონელი“, ნარკოტიკის გამსაღებელი და მევახშე. ჩამოყალიბდნენ რომელი ვარ. ყველა ერთად მეტისმეტია. მთელი ჩემი პოლიტიკური ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში, თუ როგორი ჟურნალისტი ვიყავი, ამას ჩემი მკითხველები და რესპონდენტები იტყვიან. როგორც გითხარით, იმ არაერთ სიბინძურეზე პასუხი არ გამიცია, თუმცა, როგორც პარტიის ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გავაკეთე განცხადება და მივმართე გენდერულ საკითხებზე მომუშავე ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს თხოვნით, არ ითანამშრომლონ ასეთ მარგინალ პარტიებთან. მე მიცნობენ ჩემს სოფელში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მიცნობენ დაწესებულებებში, სადაც მიმუშავია, მიცნობენ გარდაბნის მუნიციპალიტეტშიც, რომლის საკრებულოს წევრიც ვარ. ცილისწამებებში და სიბინძურის ტირაჟირებაში „მემარცხენე ალიანსთან“ გაჯიბრებას არ ვაპირებ, რადგან, რასაც ისინი კადრულობენ, მე ვერ ვიკადრებ, ამიტომ ჩემს მიმართ ბრალდებებზე უფრო ვრცლად არ ვისაუბრებ. მაგრამ ჩემი პარტიის ლიდერზე ბრალდებებს გულგრილად ვერ ავუვლი გვერდს. როგორც ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელი და შალვა ნათელაშვილის გუნდის წევრი, ვალდებული ვარ, ვუპასუხო არა ცილისმწამებლებს, არამედ მოკლე განმარტება გავაკეთო ხალხისთვის. ე.წ. „მემარცხენე ალიანსის“ მიერ გაჟღერებული ნებისმიერი ბრალდება არის ყალბი. დარწმუნებული ვარ, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, ასეთი შეკვეთილი ბრალდებების მეტი ნიაღვარი წამოვა.

მთელი ეს კამპანია, რაც წამოწყებული აქვს „მემარცხენე ალიანსს“, მიმართული არის „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის, ბატონი შალვა ნათელაშვილის და მისი ოჯახის სახელის დისკრედიტაციის მიზნით. ცხადია, შალვა ნათელაშვილის დისკრედიტაცია ნიშნავს მთლიანად პარტიის დისკრედიტაციას. ამიტომაც მიმართავენ ყველა ბინძურ ხერხს ჩვენს წინააღმდეგ, თუმცა ამ ადამიანების არავის სჯერა. მით უმეტეს, ამ თაღლითურად გამოქვეყნებული დოკუმენტების შემდეგ აღარ დაიჯერებენ. „ლეიბორისტული პარტია“ არის მზარდი რეიტინგის მქონე პარტია და სწორედ ამით არიან აკვიატებულად გაღიზიანებულები ის ადამიანები, რომლებსაც ფული გადაუხადეს და გააფთრებით, შავი მეთოდებით იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ. ეს „კინო“ ბევრჯერ გვაქვს ნანახი და ვიცით კარგად, როგორც სრულდება. ჩვენი სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს. ვაკვირდები — საკმარისია, სადმე ხალხმრავალი აქცია მოვაწყოთ, ან ბატონ შალვას ჰქონდეს რომელიმე ტელევიზიაში წარმატებული ეთერი, მეორე დღესვე იწყება თავდასხმები და შემოტევები „მემარცხენე ალიანსისგან“. სხვათა შორის, სტატია, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ გამოქვეყნდა, ჩვენს მიერ კახეთში ჩატარებულ ხალხმრავალ მიტინგს და ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერს მოჰყვა, სადაც შალვა ნათელაშვილმა ბევრი ტაში მიიღო. როგორც ჩანს, გაღიზიანდნენ მავანნი „ზევით“და ასეთი უსუსური ბრალდებების, ცილისწამებების ნიაღვარი წამოვიდა, თუმცა ამ ადამიანებს აღარავინ უსმენს და მათი აღარავის სჯერა. სიცრუე და თაღლითობა, რაც მათ სპეცსამსახურების მეშვეობით იკადრეს, არ დარჩება დაუსჯელი. ჩვენ შეიძლება კიდევ მოგვეთმინა ეს ბრალდებაც, ისე როგორც არაერთი, მაგრამ დაზარალდა წესიერი, პატიოსანი მშრომელი კაცი, ბატონი შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მოსახელე და სენაკელი, ქალბატონი ბელა ალანია, რომელიც ჩვენი ლიდერის მეუღლის სეხნია და თანაქალაქელი გახლავთ. თვითონ ბატონმა შალვა ნათელაშვილმა (რომლის ხელი და გვარი ჩვენი პარტიის ლიდერის სახელსა და გვარს ემთხვევა) გუშინ შეიტანა განცხადება თბილისის პროკურატურასა და პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის სახელზე იმ მოტივით, რომ მისი პერსონალური ინფორმაცია უკანონოდ იქნა გამოყენებული საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და პოლიტიკური პიარის თვალსაზრისით და, რეაგირება მოითხოვა. მოგეხსენებათ, პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულია და კანონით ისჯება. უდაოა, რომ ეს ამ ყველაფერის უკან სპეცსამსახურები დგანან. თუნდაც ჟურნალისტმა, რომ მოითხოვოს მსგავსი ხელშეკრულება, არ მისცემენ. ასეთი ინფორმაციები მხოლოდ იმ „კანტორისთვისაა“ ხელმისაწვდომი, ვინც ამ სუბიექტებს მიაწოდა ეს სიყალბე და ვინც მათი მეშვეობით გვებრძვის. ამ ფაქტიდანაც ჩანს, რაოდენ სწორ და მართალ ინფორმაციას ავრცელებენ ეს ადამიანები ჩვენზე. როგორც ეს დოკუმენტები არის სისწორე, ისე „წყალგაუმტარია“ მათ მიერ გაჟღერებული სხვა ბრალდებებიც.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რატომ ფერხდება ავტობანის მშენებლობა გურიაში და რას ითხოვს სუფსის მოსახლეობა?

ხელმწიფო მოსახლეობას სთავაზობს ბევრად მეტს. ის 3 ლარი, რაზედაც ეს ხალხი საუბრობს, არ არის ყველა ტიპის მიწისთვის. ეს არის საწყისი ფასი და მას სახელმწიფო იხდის ისეთ მიწაში, რომელსაც არ იყენებს მფობელი. ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების, ხეხილისა და სხვა ნარგავების, საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო ნაკვეთის ან სხვა ტიპის ნაყოფიერი მიწის წაღების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფასი იმატებს, მიმდინარეობს ღირებულების დადგენა, შეისწავლიან ექსპერტები და თანხა, სხვადასხვა შემთხვევაში, ადის 7 ლარამდე.

E-60 მაგისტრალის, ე.წ ავტობანის, სამტრედია-გრიგოლეთის გზის პირველ მონაკვეთზე მშენებლობა 2014 წელს უნდა დაწყებულიყო და სამშენებლო სამუშაოები უკრაინულ ფირმას უნდა განეხორციელებინა, თუმცა ეს მშენებლობა საერთოდ შეჩერდა. ამჟამად კი იგივე პროექტის მეოთხე მონაკვეთზე (ხიდმაღალა-ხაჯალია) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე მუშაობა დაიწყო ჩინურმა კომპანიამ „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ჯგუფი“. მუნიციპალიტეტის იმ სოფლების მოსახლეობა, ვის მიწებზეც უნდა გაიაროს აღნიშნულმა ავტობანმა, უკმაყოფილებას გამოთქვამს ჯერ კიდევ 2014 წლის დასაწყისიდან, როგორც სუფსის მკვიდრმა ალეკო ევგენიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, თავდაპირველად ითხოვდნენ ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან და შესაბამის სამსახურებთან შეხვედრას, სურდათ საკითხში გარკვევა. ასეთი შეხვედრა ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე რამდენჯერმე შედგა, თუმცა უშედეგოდ. ხალხმა ამომწურავი ინფორმაცია ვერ მიიღო. სამაგიეროდ გაიგეს ის, რომ მათ საკუთრებაში არსებული ყოველი 1 m^2 მიწის ფართობი სახელმწიფომ 3 ლარად შეაფასა. როგორც სუფსის მცხოვრებლები აცხადებენ, ისინი შეხვდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანების მოსახლეობას, რომელთაც იგივე სიტუაცია ჰქონდათ 2012 წლისთვის. იმ პერიოდში ურეკი-ქობულეთის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობა სწორედ იმ ჩინურმა კომპანიამ დაიწყო, რომელიც რამდენიმე კვირის წინ სუფსაში შეუდგა მუშაობას. მოსახლეობამ მასშტაბური აქცია მოაწყო და მოახდინა ერთ-ერთი მთავარი შიდა გზის პიკეტირება.

„არსებობს ოფიციალური დოკუმენტები, რომელიც საჯარო რეესტრიდან გამოვითხოვეთ, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ნატანების მოსახლეობის კუთვნილ ფართობებში სახელმწიფომ 1 m^2-ზე 17-დან 25 ლარამდე გადაიხადა. იმათი მიწები თუ ამდენი ღირს, ჩვენ სხვა პლანეტაზე ვართ? მოვითხოვთ ხელახლა შეფასდეს ჩვენი მიწები. აქ ერთ-ერთმა ჩვენმა თანასოფლელმა კერძო აუდიტი დაიქირავა, რომელსაც უფლებამოსილებას პარლამენტი ანიჭებს. მან შეისწავლა მიწის ნაკვეთი და დადო დასკვნა, რომლის მიხედვითაც 1 m^2 12,5 ლარად არის შეფასებული. ჩვენ სუფსის მცხოვრებლები შევიკრიბეთ და შევხვდით ლანჩხუთის იმ სოფლების მოსახლეობას, ვის ფართობებზეც უნდა გაიაროს ამ ავტობანმა. ცენტრალური გზის გადაკეტვისგან თავი შევიკავეთ და მხოლოდ იმ გზის პიკეტირება მოვახდინეთ, რომლითაც სარგებლობდა ჩინელები. რამდენიმე დღეა მუშაობა შეჩერებულია და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ მოგვისმენენ და ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ. ჩვენ არ ვართ ამ მთავრობის მოწინააღმდეგეები, ჩვენ ჩვენს უფლებებს ვიცავთ“ — აცხადებს აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ალეკო ევგენიძე.

„მე, მართალია, დამოუკიდებელი დეპუტატი ვარ, მაგრამ მთავრობის მოწინააღმდეგე არ ვარ, დაველაპარაკოთ ამ ხალხს, შევთანხმდეთ როგორმე. თუკი ნატანების მოსახლეობას გადაუხადეს 17-25 ლარი, რა დააშავა ამ ხალხმა? ამხელა თანხაზე თუ ვერა, იქნებ ალტერნატიული აუდიტის მიერ დადებული ფასზე (12,5) მაინც შევთანხმდეთ? ან დაკმაყოფილდეს ხალხის სურვილი და ჩამოვიდეს მინისტრი, დანიშნოს ხელახალი აუდიტი და 2012 წლის მონაცემებით დადგენილი აბსურდული ფასების ნაცვლად რეალური და სწორი ფასები დადგინდეს.“- თქვა, სუფსის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ჯუმბერ ბლაგიძემ.

გია სალუქვაძე

აქციაზე საკრებულოს სხვა მაჟორიტარებთან ერთად, მოვიდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ბატონი ნუგზარ ცინცაძეც, რომელიც ამბობს რომ ხალხის პოზიცია მისთვის გასაგებია, გულშემატკივრობს მათ, თუმცა ადგილობრივ დონეზე არ წყდება ეს საკითხი.

სუფსაში მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა „თავისუფალი დემოკრატების“ ლანჩხუთის ორგანიზაციის ლიდერმა და უკვე გამგებლის ექსმოადგილემ, ბატონმა ვახტანგ ზენაიშვილმა: — „თავისუფალი ბაზრის არარსებობამ მოიტანა მიწებზე ასეთი დაბალი ფასები. არა მგონია, მოსახლეობის პროტესტს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვეს. სანამ მიწა არ იქნება ყიდვა-გაყიდვის ობიექტი და სანამ მისი რაოდენობის 80% სახელმწიფოს ხელში იქნება, მდგომარეობა არ შეიცვლება. რაც შეეხება იმ შემთხვევას, თუ მოსახლეობა არ დათანხმდება სახელწიფოს შემოთავაზებას, მათ სთავაზობენ არა იმ რეალურ ფასს, რაც დღეს არის, არამედ სამჯერ და ოთხჯერ მეტს. თუ ხალხი არ დათანხმდება, სასამართლოში წავა საქმე და ამ საქმეს აუცილებლად სახელმწიფო მოიგებს და არა იმიტომ, რომ სახელმწიფოა, არამედ იმიტომ, რომ მართალია. ამის შემდეგ გაიხსნება ანგარიშები კონკრეტული პირების სახელზე და თანხას ჩაურიცხავენ. თუ რაღაც დროის მანძილზე მოსახლეობა თანხას არ აიღებს, მაშინ სახელმწიფო მათ ალტერნატიულ მიწას გამოუყოფს და ამით დამთავრდება ყველაფერი.“ — ამბობს გამგებლის ყოფილი მოადგილე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კი პიკეტირებას აგრძელებს და აცხადებს, რომ მიწებს არ დათმობენ და ჩინურ კომპანიას არ მისცემენ სამუშაოს გაგრძელების საშუალებას, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

P.S. **აღნიშნულ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ გურიის მხარის გუბერნატორს, ბატონ გია სალუქვაძეს, რომელმაც ისაუბრა რეალურ სიტუაციაზე, რაც აღნიშნული საკითხის ირგლივ არსებობს და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები.**

„მიწის რეალური ფასი, რაც დადენილია აღნიშნულ ზონაში, არის 1 m^2-ზე 60 თეთრი. საუდიტო ფასი, ეს ხალხი საუბრობს, არ არის ყველა ტიპის მიწისთვის. ეს არის საწყისი ფასი და მას სახელმწიფო იხდის ისეთ მიწაში, რომელსაც არ იყენებს მფობელი. ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების, ხეხილისა და სხვა ნარგავების, საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო ნაკვეთის ან სხვა ტიპის ნაყოფიერი მიწის წაღების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფასი იმატებს, მიმდინარეობს ღირებულების დადგენა, შეისწავლიან ექსპერტები და თანხა, სხვადასხვა შემთხვევაში, ადის 7 ლარამდე.

თუ ვერ მოხდება ვერანაირი შეთანხმება, რეპროპრიაცია — არის ასეთი ჩანაწერი კანონში, რომელიც კონსტიტუციურია და სახელმწიფო მას გამოიყენებს. ამ კანონში წერია, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის მშენებლობების (მაგისტრალი, გაზსადენი და სხვა.) მიმდინარეობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მოქალაქისგან მიაქვს საკუთრებაში არსებული მიწა და ახდენს მის კონფისკაციას. ამ შემთხვევაშიც სპეციალურ ანარიშებზე მიწის მფლობელებს ჩაერიცხებათ შესაბამისი თანხები. თუმცა მანამდე იქნება მოლაპარაკებები და თუ ეს დიალოგი შედეგს ვერ გამოიღებს, სახელმწიფო კანონის შესაბამისად იმოქმედებს.

აქვე მინდა გითხრათ, რომ მოსახლეობამ გამოაგზავნა წერილი პრემიერ-მინისტრის სახელზე, რომელიც ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს პირადად გადავეცი გურიაში სტუმრობის დროს. მან ეს წერილი წაიკითხა და თქვა, რომ სახელმწიფო ინტერესების შეულახავად უნდა მოხდეს მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. სახელმწიფო პირნათელია და მხოლოდ ისე მოვიქცევით, რის შესაძლებლობასაც კანონი მოგვცემს.“ — გვითხრა გურიის გუბერნატორმა.

ელენე გურგენაძე
557 71 55 68

სახალხო მკურნალი (მცენარეული კანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს.

იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

მამია დუმბაძე – 100

გასულ კვირას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მამია დუმბაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ მეცნიერებათა აკადემიის წევრები, ისტორიკოსები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, ბატონი მამიას მოწაფეები.

სხდომა გაიხსნა და მამია დუმბაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ვრცლად ისაუბრა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა.

შეკრებილთა წინაშე მამია დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვრცელი მოხსენებით წარსდგა ისტორიკოსი ვაჟა კიკნაძე.

მამია დუმბაძის შესახებ დიდი სიყვარულით ილაპარაკეს ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ და სხვა გამომსვლელებმა.

„საერთო გაზეთის“ მკითხველებს ვთავაზობთ ფრაგმენტებს ვაჟა კიკნაძის ნარკვევიდან „მამია დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ღვაწლმოსილი მეცნიერის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოსცა.

„გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი მამია დუმბაძე დაიბადა გურიის პატარა სოფელ ზენობანში (მდ. გუბაზოულის პირას) 1915 წელს. ამ სოფელში მაშინ მხოლოდ დაწყებითი სკოლა არსებობდა და მისი დამთავრების შემდეგ, სწავლა მან შვიდწლიან სკოლაში, სოფ. ხიდისთავში გააგრძელა. შემდეგ კი, საშუალო სკოლა ქ. თბილისში დაასრულა. 1938 წელს მამია დუმბაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამთავრებს. 1943 წელს მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, 1957 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია. 1943 წლიდან იგი მუშაობას იწყებს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში (მაშინ ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი), აქ იგი გარდაცვალებამდე (1990 წ. მარტი) მუშაობდა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ისტორიის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი იყო; 1958-დან 1989 წლამდე მ. დუმბაძე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან უჯრედს – საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ამ განყოფილების ხელმძღვანელობა ერთი დიდი ინსტიტუტის მეთაურობის ტოლფასი იყო. ამ განყოფილებაში მოღვაწეობდნენ საქართველოს ისტორიის ისეთი წამყვანი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ და არიან: მარიკა ლორთქიფანიძე, ვიქტორ გუჩუა, შოთა ბადრიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ანრი ბოგვერაძე, თენგიზ პაპუაშვილი, ბაბილინა ლომინაძე, ოლღა სოსელია, გულჩინა აკოფაშვილი, ქველი ჩხატარაიშვილი, ჯემალ სტეფნაძე, დარეჯან მეგრელაძე, დერმიშა გოგოლაძე, გიული ძიძიგური, ვახტანგ გოილაძე და სხვები.

ბატონი მამიას კვლევის ძირითადი სფერო გახლდათ გვიანი შუა საუკუნეების (ახლა ვიტყოდით ახალი პერიოდის) საქართველოს ისტორია. მან ცალკე გამოკვლევები მიუძღვნა დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის ღვაწლის შესწავლას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები: „დასავლეთ საქართველო XIX ს-ის I ნახევარში“ (1957), „აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან“ (1953), „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე“ (1950) და ა.შ.

პირველი სერიოზული მონოგრაფია, რომელიც მამია დუმბაძის კალამს ეკუთვნის, არის გამოკვლევა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის შესახებ. მონოგრაფიის შესავალში მ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ ნაშრომის თავდაპირველი ვარიანტი მან შექმნა 1939 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის დროს. როგორც იგი აღნიშნავს, მისი შრომა წაუკითხავს და ღირებული შენიშვნები გამოუთქვამს ივ. ჯავახიშვილს. ბ-ნი მამუა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმაზეც, რომ მან მოისმინა ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის მოხსენებები, რომლებიც ს. ჯანაშიას ინიციატივით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა 1940 წლის 13 მარტს და დ. ბაქრაძის გარდაცვალებიდან 50 წლისთავს მიეძღვნა. შრომის პირველ თავში ავტორი დიმიტრი ბაქრაძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი მომენტებიდან განსაკუთრებით გამოყოფს მის ადრეულ ჩამოყალიბებულ პატრიოტულ სულისკვეთებას. მ. დუმბაძის სიტყვით, დიმიტრი ბაქრაძე აუცილებლად მიიჩნევდა ერის წარსულის ღრმა ცოდნას იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ერის მეობის დაცვა-შენარჩუნება.

მამია დუმბაძის შემდეგი მნიშვნელოვანი მონოგრაფია 1953 წელს გამოქვეყნდა. იგი ასეა დასათაურებული: „აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან“. ამ ნაშრომში მამია დუმბაძე ღრმად აანალიზებს იმ ვითარებას, რაც აღმოსავლეთ კახეთში, ისტორიული ჰერეთის ერთ ნაწილში, ე.წ. „საინგილოში“ შეიქმნა XVIII-XIX სს-ში.

კიდევ ერთი ღირებული გამოკვლევა, რომელსაც გვინდა შევეხოთ და გავაანალიზოთ, მამია დუმბაძის მონოგრაფიაა: „დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში“.

ბ-ნი მამია დუმბაძე იყო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომის რედაქტორი და ცალკეული თავებისა და პარაგრაფების ავტორი (ანგარიშგასაწევია თუნდაც ტომის მოცულობა: საძიებლების ჩათვლით ტომი მოიცავს ათას ორ გვერდს!).

მ. დუმბაძემ ცალკე გამოკვლევა უძღვნა ივ. ჯავახიშვილის ადრინდელ შემოქმედებას (1984). 1976 წელს კი, მეცნიერის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა საგაზეთო სტატია, რომელშიც მოკლედ მიმოიხილა ისტორიკოსის დიდი ღვაწლი.

მ. დუმბაძე იყო ავტორი აღიარებული დამხმარე სახელმძღვანელოსი („საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-მდე“, თბ., 1958), რომელზედაც მრავალი თაობა აღიზარდა.

იგი არჩეული იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად.

სიცოცხლის ბოლო წლებში მამია დუმბაძე მუშაობდა საქართველოს ფეოდალური ხანის პერიოდიზაციაზე და მონოგრაფიაზე „ერეკლე II“, რომლის დამთავრება ვეღარ მოასწრო...

ამგვარად, ბ-ნ მამიას ამაყად შეიძლება ეთქვა: „მე რაც შევძელ, ვქმენ, ვისაც შეგიძლიათ უკეთესად, შემდგომში თქვენ განაგრძეთო!“

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის თანამშრომელს თამარ ქობალიას ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ მამის

თემურ ქობალიას

გარდაცვალების გამო.

დავით ქობალია, როლანდ ჯალაღანია, ნუგზარ გოგუა

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კვლიოვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

-გთხოვთ, გაგვაცნოთ საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის პირთა ჩამონათვალი.

-საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი: სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

მე-2 ნაწილი: სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მე-3 ნაწილი: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი;

დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები.

მე-4 ნაწილი: სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.

* * *

-ვინ შეიძლება მიღებულ იქნას ან არ იქნას მიღებული საჯარო სამსახურში?

-კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-15 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

ამავე კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

ამავე კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი:

ა) ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

ბ) იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

* * *

-როგორია დახმარება საჯარო მოსამსახურის დაღუპვის ან დაინვალიდების შემთხვევაში?

-კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 49-ე მუხლი ითვალისწინებს დახმარებას საჯარო მოსამსახურის დაღუპვისას ან დაინვალიდებისას.

1. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურეზე თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით.

2. მოსამსახურეს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით თავდასხმის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც ცნობილ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ან დასახიჩრდა, ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 5 000 ლარისა.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით.

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაჭრის/დასახიჩრების ან მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში თანამშრომელს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

ჟურნალ „შარლი ებდოს“ სატირიკოსები კვლავ სკანდალის ცენტრში მოექცნენ. ამჯერად მათ წინააღმდეგ ევროპელი ჰუმანისტები და მორალისტები ამხედრდნენ.

პრეტენზია იგივეა — „არაფერი წმინდა“, მაგრამ მათ „შემოქმედებაზე“ ზემოქმედების ზომები, საბედნიეროდ, განსხვავებულია. წლეულს, იანვარში შეურაცხყოფილმა მოქალაქეებმა რედაქციის ათი თანამშრომელი ჩაცხრილეს, ახლა კი კარიკატურისტებს სასამართლო ემუქრებათ, თუმცა ძნელად თუ სჯერა ვინმეს, რომ ეს შედეგს მოიტანს.

კარიკატურისტები თუ პროვოკატორები?

მთელი მსოფლიოს ტერორისტები სხვას არაფერს იმსახურებენ, გარდა გაკიცხვისა. „შარლი ებდოზე“ იანვარში განხორციელებული ტერაქტის მონაწილეებს შესაბამისი სასჯელი ერგოთ. მაგრამ რატომ არ ასამართლებენ პროვოკატორებს, რომლებიც სიტყვისა და აზრის თავისუფლების თეზისს არიან ამოფარებული?! იქნებ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ დაღუპულ სირიელ ბიჭუნაზე გაკეთებული კარიკატურა პროვოკაცია არ არის?!

ის, რაც ჟურნალის გარეკანზეა გამოქვეყნებული — ჟურნალისტიკის საზღვარს მიღმაა. ეს სიკეთისა და ბოროტების საზღვრებს მიღმაცაა. ეს არის გააზრებული და მკრეხელური ხერხი, მიიპყრო ყურადღება და არანაირი ანგარიში არ გაუწიო სირიიდან თუ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დევნილ ათასობით ადამიანს, რომლებიც თავის გადარჩენას ცდილობენ, სად — სულერთია. მათი ქვეყნები საბრძოლო

მოქმედებების ასპარეზად არის ქცეული. და ამ საქმეში ლომის წილი უძევთ ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსებს, რომლებიც „დემოკრატიის გავრცელებაზე“ მჭევრმეტყველებენ, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ინტერესებს იცავენ. ახლა, როცა „შარლი ებდოს“ მორიგი პროვოკაციის ამბავი შეიტყვეს, დუმილი ამჯობინეს.

საინტერესოა, როგორ მოიქცეოდნენ პატარა სირიელი ბიჭის — აილანის მამის ადგილას (რომელსაც ზღვაში ცოლი და ორი შვილი დაეღუპა და რომელიც მათ საფლავებზე სიკვდილის მოლოდინში ატარებს დღეებს), თვალში რომ მოხვედროდათ პროვოკაციული ჟურნალის ეს გამოშვება? ამ ბავშვის დაღუპვიდან ხომ 40 დღეც არ იყო გასული?

შესაძლოა, ვინმეს კიდევაც სურს, „შარლი ებდოს“ რედაქციასთან ან რომელიმე თანამშრომლის სიახლოვეს ისევ გაისმას სროლის ან აფეთქების ხმა, რომ პოლიტიკოსები ქუჩაში გამოვიდნენ და პათეტიკური სიტყვები წარმოთქვან სიტყვის თავისუფლების დაცვის აუცილებლობაზე?

დადგა დრო, რომ ხალხი დავიცვათ პროვოკატორებისგან, რომლებიც სიტყვის თავისუფლების ლოზუნგს ამოფარებულნი ბღალავენ ხალხის გრძნობებს.

* * *

2015 წლის 7 იანვარს პარიზში ფრანგულ სატირულ ჟურნალზე თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი მოკლეს, მათ შორის — ორი პოლიციელი. მთელი ევროპა ქუჩაში გამოვიდა, როგორც მაშინ ამბობდნენ, „თავისუფალი სიტყვის დასაცავად“.

ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნას პარიზში გრანდიოზული მარშით მიაგეს პატივი. ამ მარშის მსვლელობაში მსოფლიოს რამდენიმე ათეული სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო მონაწილეობა, კერძოდ: დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ესპანეთის, იტალიის, პოლონეთის... მთავრობების მეთაურებმა თუ პრეზიდენტებმა. გარდა ამისა, ფრაზა — Je suis Charlie („მე შარლი ვარ“) მთელს მსოფლიოში სიტყვის თავისუფლების დამცველთა ლოზუნგად იქცა.

ახლა, როცა ჟურნალმა გამოაქვეყნა კარიკატურები აილან კურდიზე — დაღუპულ სირიელ ბიჭუნაზე, რომლის გვამი ზღვამ თურქეთის სანაპიროზე გამორიყა, მზად არიან, კვლავაც ატარონ მაისურები წარწერით — „მე შარლი ვარ“? რას გრძნობენ ამჯერად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები, რომლებმაც პარიზის ქუჩებში ჩაიარეს? შესაძლოა, ეს უპასუხო შეკითხვებია, მაგრამ როგორ შეიძლება გაჩუმდე, როცა დაღვრილ სისხლზე ასეთ მოურიდებელ ცეკვა-თამაშს უყურებ?

* * *

ფრანგული სატირული ჟურნალი „შარლი ებდო“ კვლავ სკანდალში გაეხვია. ევროკავშირის საიმიგრაციო პოლიტიკისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოშვებაში, არაერთი კარიკატურაა, რომლებითაც ათასობით ლტოლვილის ახლანდელი სავალალო მდგომარეობაა გაშარჟებული. ამ ნომერმა საზოგადოებრიობის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით კი ჟურნალის მთავარი რედაქტორის ლორან სურისოს ორმა კარიკატურამ. ერთი მათგანი ასეა დასათაურებული: „მტკიცებულება იმისა, რომ ევროპა ქრისტიანულია“: მასზე გამოსახულია მამაკაცი გრძელ შესამოსელში (რომელიც ქრისტესას ჰგავს) და მიდის „წყალზე, ვითარცა ხმელეთზე“, ხოლო მის წინ მოჩანს ფეხები მოკლეშარვლიანი ბავშვისა, რომელიც იხრჩობა. და წარწერები: „ქრისტიანები დადიან წყალზე. მუსლიმანი ბავშვები იძირებიან“. ეს რელიგიური შეუწყნარებლობის მოწოდებას ჰგავს: ქრისტიანი რომ ყოფილიყო, წყალზე სიარული შეეძლებოდა და არ დაიხრჩობოდაო.

მეორე სკანდალური კარიკატურა თურქეთის სანაპიროზე გამორიყული პატარა სირიელი ბიჭის ცნობილი ფოტოს გამოყენებით არის შექმნილი. პატარა მუცელზე წევს, სახე წყალში აქვს ჩარგული, მის წინ კი სწრაფი კვების სარეკლამო ბანერია, რომელზეც მოღიმარი პერსონაჟია, რონალდ მაკდონალდსის მსგავსი და სლოგანით: „პრომო-აქცია! ორი საბავშვო მენიუ ერთის ფასად!“ გვერდით კიდევ ერთი წარწერაა: „თითქმის მიაღწია მიზანს...“ შოკისმომგვრელია! ბევრმა ამ კარიკატურასა და წარწერაში ამოიკითხა მინიშნება, თითქოს შემზარავი ომებისგან დატანჯული ხალხი ევროპას მხოლოდ სიცოცხლის გადასარჩენად როდი მიაწყდა.

The Daily Mirror: „ნომრის შემქმნელები იმსახურებენ, პასუხი აგონ საერთაშორისო სისხლისსამართლის სასამართლოში. „მუქკანიან ადვოკატთა საზოგადოება“ აპირებს სარჩელი შეიტანოს სკანდალური გამოცემის ჟურნალისტებზე, რათა მათ პასუხი აგონ სიძულვილის გაღვივებისთვის. ამ საზოგადოების ხელმძღვანელის პიტერ ჰერბერტის თქმით, „შარლი ებდო“ რასისტული, ქსენოფობიური და იდეოლოგიურად გაბანკროტებული გამოცემაა, რომელიც შეუწყნარებლობის კულტის პროპაგანდას ეწევა — ჟურნალისტებმა თუ მხატვრებმა ყველანაირ დასაშვებ ზღვარს გადააბიჯეს და ბოროტად იყენებენ თავისუფალ სიტყვას.

ამ კარიკატურებზე სიტყვაც კი არ დაუწერიათ ფრანგულ გამოცემებს. კომენტატორთა შეფასებით, საფრანგეთში კარგა ხანია მიეჩვივნენ „შარლი ებდოს“ სტილს. ასეთი კარიკატურები იმის დამამტკიცებელია, რომ საფრანგეთი მორალურად გაიხრწნა.

* * *

რატომ მოხდა, რომ პირველი სკანდალის დროს გამოცემის ჟურნალისტებს ხალხმა მხარი დაუჭირა, ახლა კი ხალხის რისხვა დაატყდათ? რა შეიცვალა იანვრიდან აქამდე? სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტებს თავიანთი ახსნა აქვთ:

ახლა ევროპაში საზოგადოებრივი გარემო შეიცვალა. და ამ ტალღაზე დამოკიდებულებაც შეიცვალა ასეთი კარიკატურების მიმართ. ბოლო დრომდე ევროპაში იქმნებოდა სიტუაცია, რომელსაც ცნობილი ფუტუროლოგი ფუკუიამა ისტორიის აღსასრულს უწოდებს. ევროპას გაუჩნდა განცდა, რომ მიაღწია მაქსიმალურად იდეალურ ცივილიზაციას, სადაც ყველაფერი საერთო კეთილდღეობას ემსახურება და შემდგომი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თვითონ კარიკატურისტებიც მოდუნებული, მოშვებული და თვითდამშვიდების ეპოქის ნაყოფი არიან. სინამდვილეში, რა არის მსგავსი მწვავე კარიკატურები? ეს არის იუმორის ფორმით გადმოცემული აგრესია, ხალხს აღარ სურს ამ „საყოველთაო კეთილდღეობის კისელში“ ცხოვრება, ისინი ცდილობენ, უკმაყოფილება მწვავე ნახატებით გამოხატონ.

* * *

რატომ არა ვარ „შარლი“?

იმიტომ, რომ ისინი ჩვენც გვატყუებენ და საკუთარ თავებსაც:

ამტკიცებენ, ჩვენი იუმორისთვის აკრძალული თემები არ არსებობსო. ეს რომ ასე იყოს, მკვდარი სირიელი ბავშვის კარიკატურა შეიძლებოდა ყოფილიყო გასაგები (გასაგები და არა მისაღები). ოღონდ ერთი პირობით — „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის მეორე დღეს, რედაქციას ახალი ნომერი რომ გამოეშვა დაღუპულ თანამშრომლებზე შექმნილი კარიკატურებით და მკვდარი ჟურნალისტების გამოსახულებებზე მინაწერებით:

„როგორც იქნა, თავიდან მოვიშორეთ კოლეგები, რომელთა გათავისუფლებასაც თავს არიდებდნენ“;

„გული გვწყდება, რომ შემდეგი ტერაქტის დროს თქვენ ჩვენთან აღარ იქნებით“;

„დედა, ბოლოს და ბოლოს, მამამ სახელი გაითქვა. შენც ხომ ეს გინდოდა?“

სასაცილო არ არის, ხომ?!

შარლიებდოელებო, იქნებ იუმორის გრძნობა დაკარგეთ?

მოამზადა
გიორგი ჭავჭავაძემ.